საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№32 (408)
6 – 12 სექტემბერი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

7 **ოპოზიცია იმის იმედადაც არის, რომ ევროპელები ორიოდ ბროშს გადმოუგდებენ რუსეთის ბინებაში**

3 **«კვირიკაშვილი ჩაილაგებს მილიონებს და წავა შვეიცარიაში, ჩვენ დაგვრჩება გადამწვარ-გადაბუგული საქართველო»**



«დღეს საქართველოს ჰყავს უცხო ქვეყნის აგენტურით დაკომპლექტებული ხელისუფლება, ამიტომ ჩვენ, ფაქტობრივად, სადგისის ფუნქცია გვაკისრია და, როცა დასჭირდება ამერიკას, უჩხვლეტს რუსეთს ამ სადგისს»

## ცეცხლთან თამაშის ნაციონალური თავისებურებები 2

**შენც კახი?!**
2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კალაძე სააკაშვილს ხოტბას ასხამდა! 4

**მთვრალი ზალიკოს, ბოზი თინიკოსა და ტაქსისტი დეფიკოს ქვეყანა** 6

BRICS **«ბრიქსი – სტრატეგიული პარტნიორობის ახალი ჰორიზონტებისკენ»** 9

**«როგორ უნდა გვასწავლოს დასავლეთმა ქალის პატივისცემა, როცა იქ ქალი და კაცი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ?!»** 5



«მათ სურთ, რომ ოჯახი, როგორც ასეთი, საერთოდ აღარ არსებობდეს; რომ ცოლისა და ქმრის, მშობლისა და შვილის, დედისა და მამის ცნებები გაქრეს»

**პირველი შესწორება და ბოლო ზარი** 8




«განხეთქილება ამერიკელ საზოგადოებაში იზრდება, ასეთი მწვავე დაპირისპირება შტატებში ვიეტნამის ომისა და უოტერგეიტის სკანდალის შემდეგ არ ყოფილა»

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ძალზე მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ ის მაინც მოახერხოს, რომ ხანძარსაშიშ პერიოდში დაიქირაოს დროებითი თანამშრომლები და საპატრულო ჯგუფების რაოდენობა გაზარდოს, რომლებიც დროულად აღმოაჩენენ არა მხოლოდ ხანძრის კერებს, არამედ მათ, ვინც ხეტყეს უკანონოდ ჭრის ან ტყის შუაგულში ცეცხლს აჩენს.**

**ბოლო კვირებმა საქართველოში ტყის ხანძართან ბრძოლის და ცეცხლთან თამაშის ნიშნით ჩაიარა. ამ პერიოდში საზოგადოებას ხელისუფლების მიმართ უამრავი პრეტენზია დაუგროვდა, გაჩნდა არაერთი ეჭვი და გამოქვეყნდა სიტუაციის გამოსწორების უამრავი რეცეპტი. ალბათ, სასურველია, ყოველივე ეს გავაანალიზოთ.**

# ცეცხლთან თამაშის ნაციონალური თავისებურებები



**ძალზე მნიშვნელოვანია «ტყის ხანძრების პოლიტიკის დოკუმენტის» დამტკიცება, რომლის უზრუნველყოფა, «კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის» 2017-20 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურს, სატყეო სააგენტოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაევალა**

დღეს ინტერნეტი აჭრელებულია სახანძრო ავიაციის უზარმაზარი ესკადრილიების შექმნის გეგმებით, მაგრამ ეს და სხვა მსგავსი იდეები შედეგებთან, და არა მიზეზებთან, ბრძოლას ეხება. მონიტორინგისა და კონტროლის სისტემა კი ყველას როდი ახსენდება. საქართველოში ტყის ერთ მცველზე დაახლოებით 4-5 ათასი ჰექტარი გასაკონტროლებელი ტერიტორია მოდის, ხშირ შემთხვევაში კი მეტი, — ზოგჯერ 10 ათას ჰექტარამდე, მაშინ, როდესაც ის, იდეაში, 2-3-ჯერ ნაკლები უნდა იყოს. თანამშრომლების რიცხვის გაზრდა, როგორც ჩანს, ვერ ხერხდება, მითუმეტეს, რომ ეროვნული სატყეო სააგენტო თავის შეზღუდულ რესურსებს ერთობ უცნაურად ანაწილებს. მაგალითად, მისმა უფროსმა თორნიკე გვაზავამ, ქონებრივი დეკლარაციით თუ ვიმსჯელებთ, გასულ წელს გაიორმაგა ხელფასი დანამატებისა და პრემიის ხარჯზე. **ძალზე მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ ის მაინც მოახერხოს, რომ ხანძარსაშიშ პერიოდში დაიქირაოს დროებითი თანამშრომლები და საპატრულო ჯგუფების რაოდენობა გაზარდოს, რომლებიც დროულად აღმოაჩენენ არა მხოლოდ ხანძრის კერებს, არამედ მათ, ვინც ხეტყეს უკანონოდ ჭრის ან ტყის შუაგულში ცეცხლს აჩენს.** პრევენციის კიდევ ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად, ალბათ, უნდა ჩაითვალოს პრობლემურ ტერიტორიებზე (ხანძარსაშიშროების I და II კლასი) დამატებითი ბილიკების გაჭრა, ვიდეოკამერების დაყენება და ა.შ.

ცხადია, ყველა ეს ღონისძიება სისტემურ ხასითს უნდა ატარებდეს, ამიტომ **ძალზე მნიშვნელოვანია „ტყის ხანძრების პოლიტიკის დოკუმენტის" დამტკიცება, რომლის უზრუნველყოფა, „კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის" 2017-20 წლების სამოქმედო გეგმის თანახმად, გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურს, სატყეო სააგენტოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაევალა.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ახალი „ტყის კოდექსის" მიღებაა. ევროკავშირთან დაახლოების პროცესში საქართველომ ეს ვალდებულებაც აიღო, თუმცა ხელისუფლება არ ჩქარობს, შესაძლოა იმიტომ, რომ კოდექსი ზიანს მიაყენებს ხეტყის ჩრდილოვან ბიზნესსა და მალალჩინოსნების ინტერესებს. ახალი კოდექსის თანახმად, იმაზე მეტს ვერ მოვჭრით, ვიდრე ბუნებრივი მატება გვაქვს, ამასთანავე, გაუქმდება „სოციალური ჭრის" სისტემა. თავის დროზე, ის განიხილებოდა როგორც გალატაკებული მოსახლეობის შეშით მომარაგების ერთადერთი საშუალება, მაგრამ დღეს მის ფარგლებში ადგილობრივი ჩინოვნიკები და ბიზნესმენები უამრავ მაქინაციას მიმართავენ. არის სხვა პრობლემური საკითხები, რომელთაც ახალი კოდექსი დაარეგულირებს, მაგრამ ის, სავარაუდოდ, კარგად ვერ იმუშავებს თუ არ გამკაცრდება სანქციები ხეტყის უკანონო ჭრისათვის.

სასჯელის გამკაცრებამ შეიძლება შეამციროს პრობლემის მასშტაბი, მაგრამ ვერ მოაგვარებს მას, რადგან ის, არსებითად, სოციალურ-ეკონომიკურია. მარტივად რომ ვთქვათ, ხალხი უნდა დასაქმდეს, მათ შორის ხე-ტყის გადამამუშავებელ საწარმოებში, იმისთვის, რომ „დრუჟბით" ხელში ტყეში არ დარბოდეს და უკანონო ჭრის კვალის დასაფარად ხანძარს არ აჩენდეს. ახალ კოდექსის პროექტში ხეტყის გადამუშავების განვითარება (და სამუშაო ადგილების შექმნა) დასახულია ერთ-ერთ პრიორიტეტად, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ხელისუფლება მის მიღებას არ ჩქარობს.

**რაც შეეხება სახანძრო სამსახურს, ბუნებრივია, საჭიროებს გაძლიერებას, მათ შორის საჰაერო კომპონენტში, იმ შესაძლებლობიდან გამომდინარე, რომელსაც ჩვენი ბედკრული, ჩინოვნიკების კეთილდღეობაზე ორიენტირებული ბიუჯეტი გვაძლევს. თუმცა არანაკლებად და, ალბათ, უფრო მეტად მნიშვნელოვანია დროული რეაგირება ხანძარზე და სხვადასხვა უწყების მუშაობის კოორდინაცია.** სამწუხაროდ, პოლემიკა კრიზისების მართვის საბჭოს გარშემო დღეს იმდენად პოლიტიზებულია, რომ ნეიტრალურ დამკვირვებელს მისი მუშაობის შეფასება გაუჭირდება.

თავის დროზე, 2014 წლის იანვარში, ის შეიქმნა როგორც ერთგვარი „ალტერნატიული უშიშროების საბჭო", რომელმაც ნაწილობრივ წაართვა როლი და ფუნქციები პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფ უშიშროების საბჭოს და დაუყონებლივ მოექცა დაპირისპირების ეპიცენტრში პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. მეტიც, ვინაიდან ამ ორგანოში კონცენტრირებულნი არიან ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებული კადრები, კონფლიქტს მის გარშემო შიდაპარტიული განზომილებაც აქვს. მისი კრიტიკა დღეს უკიდურესად პოლიტიზებულ ხასიათს ატარებს და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება კრიზისის საწყის ეტაპზე, როგორც მინიმუმი მოუქნელად მოქმედებდა, საბოლოო ვერდიქტის გამოტანა რთულია.

საინტერესოა, რომ კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე ავანსცენაზე ბორჯომის ხეობის ხანძრის პირველ დღეებში ჩანდა, როდესაც სტიქიის ლოკალიზება ვერ ხერხდებოდა. შემდგომ კი, როდესაც ხანძართან ბრძოლაში გარდატეხა მოხდა, ის თითქოსდა გვერდზე გაწიეს, როგორც დამარცხებული გენერალი, ხოლო „მთავარი მეხანძრის" მოვალეობის შესრულებას პრემიერმინისტრი კვირიკაშვილი შეუდგა — მთავრობამ სცადა დადებითი ემოციები, რომელიც საზოგადოებაში ხანძრის ლოკალიზების პარალელურად ჩნდებოდა, საკუთარ თავთან დაეკავშირებინა.

ერთნი ნებისმიერი თხოვნის წინააღმდეგნი იყვნენ, მეორენი მძლავრი რუსული სახანძრო ავიაციის არგამოყენების გამო საყვედურობდნენ. მოკლედ, ოპერაცია „მწვადი და შამფური" ხელისუფლებისათვის მორიგი საიმიჯო მარცხით დასრულდა.

ბოლო კვირებში ხანძარი ისე ხშირად ჩნდებოდა, რომ კონსპიროლოგიისგან შორს მდგომი მოქალაქეებიც კი დივერსიასთან დაკავშირებით დაეჭვდნენ, მითუმეტეს რომ ამის შესაძლებლობა შინაგან საქმეთა მინისტრმა და სხვა მაღალი რანგის პირებმა არ გამორიცხეს. ხანძარი, პრინციპში, შეიძლება არა მხოლოდ დივერსანტმა და ბრაკონიერმა, არამედ მენტალურად არასტაბილურმა პირმაც გააჩინოს — 2006-ში რეიმონდ ლი ოილერი, „რათა ყურადღება მიექცია და ქაოსი დაეთესა", კალიფორნიის ტყეებს ცეცხლს უკიდებდა. 2009-ში მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, რადგან ამის გამო 5 მეხანძრე დაიღუპა. გასულ კვირას კალიფორნიაში დააკავეს კიდევ ერთი პირი, ჯონ ბალენჯერი, რომელმაც ხანძარი განგებ გააჩინა. მაგრამ საქართველოში 99% შემთხვევაში უფრო რთული, პოლიტიკურად მოტივირებული ვერსიები განიხილება.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საკამათო განცხადება ხანძრის მიზეზებთან დაკავშირებით პარლამენტარმა სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა: „თუკი ეს რუსეთია, ცოტა არ იყოს, ალოგიკურია, რომ არ მიუმართავს მისთვის სტრატეგიულად უფრო ხელმისაწვდომ და ბევრად ეფექტურ ხერხს: ანუ ენერგეტიკულ საბოტაჟს (მილსადენები, ჰესები, მაღალძაბვიანი დენის მავთულები და ასე შემდეგ), იმის მაგივრად რომ ქვეყნის ყველა კუთხეში გაეგზავნა თავისი „აგენტები", ისე რომ არავის შეემჩნია! ეს ვერსია ასევე ბადებს ერთ მთავარ კითხვას: **თუ კი ოცნება პრორუსული ხელისუფლებაა, როგორც ამტკიცებენ სწორედ ამ ვერსიის მომხრეები, რაღა მაინდამაინც რუსეთმა ამ მთავრობის დესტაბილიზაციაზე გადაწყვიტა ემუშავა წინასაარჩევნოდ?**

თუკი, როგორც ზოგი ამტკიცებს, ეს თავად „ოცნების" ნამოქმედარია და კერძოდ ბიძინა ივანიშვილის მოწყობილია (ხომ ამტკიცებდნენ რომ ბაზრობებს ანადგურებდა „კარფურების" ასაშენებლად!), გაუგებარია, რა უნდა იყოს მიზანი ასეთი დესტრუქციულ სტრატეგიისა: წინასაარჩევნოდ დაძაბულობის შემოტანა და საკუთარ რესურსების მაქსიმალურად ამოწურვა? ხალხში ღელვა და ნეგატიური განწყობის დათესვა?! სხვა გარე ძალების (ეგრეთწოდებული ტერორისტული კვალი) ხელწერას არ ატარებს ჩვენთან ორგანიზებული საბოტაჟი. ლოგიკური ანალიზს მივყევართ შიდა ორგანიზატორებისკენ! **ეს ყველაფერი კარგად გათვლილი მავნებლობაა, რომელიც აზარალებს ყველაზე წარმატებულ ეკონომიკურ სექტორს — ტურიზმს,** რომელიც ამავე დროს ინიციატორების მოსაზრებით, ალბათ, უნდა ხაზს უსვამდეს ხელისუფლების ეგრეთ წოდებულ „უნიათობას", რომელიც კარზე მომდგარ არჩევნებს უქმნის დესტაბილიზაციის ფონს...

ამის ორგანიზება შეუძლია მხოლოდ ძალიან შეკრულ გუნდს, რიმელსაც ქვეყნის ბედი ნაკლებად ადარდებს, ვიდრე საკუთარი, რომელსაც არჩევნებით ხელისუფლებაში დაბრუნების ნოლი შანსი გააჩნია, რომელთა შორის შიზოფრენიკი, მანიაკი მავნებლები და წვალებლები არსებობდნენ და არც არსად წასულან..."

ამასთანავე, ზურაბიშვილმა ხელისუფლებას მოუწოდა დახმარებისთვის დასავლეთის საგამოძიებო ორგანოებს მიმართოს.

**მაგრამ კვირიკაშვილის მთავრობას პრობლემა სხვა მიმართულებით შეექმნა, როდესაც, ტრადიციისამებრ, შეეცადა, არ მწვადი და არც შამფური დაეწვა და საბოლოოდ ორივე დაწვა. მან რუსეთს დახმარება სთხოვა, მაგრამ რაღაც მომენტში შეჩერდა და არ გამოიყენა ის. ამით მან როგორც ანტირუსული, ისე პრორუსული ძალები გაალიზიანა.**

ეჭვგარეშეა, რომ არც ჭკუა, არც გონება, არც მორალი ან რაიმე სხვა შემაფერხებელი ფაქტორი მიხეილ სააკაშვილს მსგავს განზრახვაზე ხელს არ აალებინებს, მაგრამ ამ ვერსიას ფაქტებით გამყარება სჭირდება. აქ უფრო საინტერესოა სხვა რამ — წინასაარჩევნოდ ცხადი გახდა, რომ ძველი ბიპოლარული მოდელი, რომელიც „ქართული ოცნების" და „ნაცმოძრაობის" ყოვლისმომცველ დაპირისპირებას ეფუძნება, ამომრჩეველთა დიდი ნაწილისთვის ნაკლებად აქტუალური გახდა. „ნაცმოძრაობა" დასუსტდა, ნაწილობრივ დაიშალა, ხოლო მისი ლიდერის მენტალური სტაბილურობა უფრო მეტად შეირყა. „ოცნებას" აქვს იმის რესურსი, რომ არჩევნები ძველი საფრთხის აქტუალიზაციის გარეშეც მოიგოს (გაჭირვებით, მაგრამ მაინც), თუმცა, სავარაუდოდ, სააკაშვილის რევანშის ძველი საფრთხობელას დაკარგვის პერსპექტივა არ ხიბლავს, რადგან ის, პოლიტტექნოლოგიური თვალსაზრისით, ფრიად მოსახერხებელი იყო.

**რა მოხდება, თუ სამართალდამცავები დააკავებენ ძველ რეჟიმთან დაკავშირებულ პირებს, რომლებიც ტყეებში ხანძარს აჩენენ? ეს წინასაარჩევნოდ ძველი დაპირისპირების რეანიმირებას მოახდენს და კამპანიის დრამატურგიას შეცვლის, კვლავ წარმოაჩენს „ქართულ ოცნებას" „ნაკლებ ბოროტებად" და ხელს შეუწყობს მისი ამომრჩევლების ემოციურ მობილიზაციას.** ეს იქნება საკმაოდ უხეში ტაქტიკა, თუმცა მიზნობრივ აუდიტორიასთან მიმართებაში ის, სავარაუდოდ, იმუშავებს. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, რეალურად არსებობენ ჩირაღდნებით აღჭურვილი „ნაცდივერსანტები" თუ „ქართულ ოცნებას" მათი „გამოგონება" დასჭირდება. ასე იქნება თუ ისე, ხელისუფლებას ნებისმიერ შემთხვევაში მოუწევს გარკვეული ზომების მიღება, რათა გაფანტოს წარმოდგენები საკუთარი უსუსურობის შესახებ, რომელიც ცეცხლოვან აგვისტო-სექტემბერში ძალიან ფართოდ გავრცელდა.

**„საქართველომ დახმარება რუსეთს სთხოვა, რომელიც მზად იყო ამისათვის, ეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინორმაციის დეპარტამენტის დირექტორმა მარია ზახაროვამაც დაადასტურა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმისთვის კვირიკაშვილს ყური აუწიეს და სწორედ ამის შემდეგ მან უარი თქვა რუსეთისგან დახმარების მიღებაზე და საქართველოს ეკოსისტემა ცეცხლს მისცა. ეს იყო შეგნებული გადაწყვეტილება: ვიღაცამ ჩათვალა, ოკუპანტისგან დახმარება არ უნდა მიგვეღო“.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ნიკოლოზ მჟავანაძე:

# კვირიკაშვილი ჩაილაგებს მილიონებს და წავა შვეიცარიაში, ჩვენ დაგვრჩება გადამწვარ-გადაბუგული საქართველო

**პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ძალისხმევას არ იშურებს ქვეყნის სწორი მიმართულებით წასაყვანად. ეს მან ქუთაისში, რეგიონულ საარჩევნო შეხვედრაზე განაცხადა. კვირიკაშვილის შეფასებით, ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი შედეგზე ორიენტირებულობაა და მთავრობამ ეს მოკლე ხანში დაამტკიცა. „შედეგზე ორიენტირებულობა „ქართული ოცნების“ მთავარი პრიორიტეტია და ჩვენ ეს ძალიან მოკლე დროში დავამტკიცეთ... თუმცა ვიცით, რომ ეს არ არის საკმარისი და ვაპირებთ კიდევ უფრო მასშტაბური პროექტების განხორციელებას ყველა მიმართულებით. სწორედ ამას ემსახურება მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმა, რომელიც სულ უფრო იკრებს ძალას და ქვეყნის სწრაფი ტემპით წინსვლასა და ხალხის კეთილდღეობას ისახავს მიზნად“, — განაცხადა კვირიკაშვილმა. მართებული და ადეკვატურია „ქართული ოცნების“ პოლიტიკა, რა მოუტანა მან ქვეყანას ხუთი წლის განმავლობაში და რას უნდა ველოდოთ მომავალში? — ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**



**«საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ისეთი სამარცხვინო ხელისუფალი, როგორიც პრემიერი კვირიკაშვილია»**

**— ბატონო ნიკოლოზ, პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ამბობს, რომ ხელისუფლების პრიორიტეტი „შედეგზე ორიენტირებულობაა“. მისი თქმით, „ოცნებამ“ ეს ძალიან მოკლე დროში დაამტკიცა. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე: არის კი „ქართული ოცნების“ პოლიტიკა რეალურად შედეგზე ორიენტირებული?**

— სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რას გულისხმობდა პრემიერი, რომელსაც მე გიორგი ყრუ შევარქვი იმიტომ, რომ მას საქართველოს მოსახლეობის საერთოდ არ ესმის. ან რა შედეგზე ლაპარაკობს, როცა მისი მმართველობის პერიოდში 700 ჰექტარი ტყის მასივი დაიწვა და ძალიან მალე, დარწმუნებული ვარ, საბრალდებო სკამზე მოუწევს ამის გამო დაჯდომა. როცა რაღაც გევალება და საჭიროების შემთხვევაში მოვალეობას არ შეასრულებ, ეს სერიოზული დანაშაულია, მითუმეტეს, აქ საუბარია სახელმწიფოებრივ დანაშაულზე. პირდაპირ ვიტყვი, რომ **საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ისეთი სამარცხვინო ხელისუფალი, როგორიც პრემიერი კვირიკაშვილია. მას თავისუფლად შეეძლო, გადაერჩინა საქართველოს ეკოსისტემა, რომ მიეღო დახმარება რუსეთისგან, მაგრამ ეს არ გააკეთა (რატომ და რის გამო, გასაგებია) და საქართველოს ტყეები ცეცხლს მისცა...**

**— რატომ არ გააკეთა?**

— იმიტომ, რომ რეალურად ის ვერ იღებს გადაწყვეტილებებს. **საქართველომ დახმარება რუსეთს სთხოვა, რომელიც მზად იყო ამისათვის, ეს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინორმაციის დეპარტამენტის დირექტორმა მარია ზახაროვამაც დაადასტურა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმისთვის კვირიკაშვილს ყური აუწიეს და სწორედ ამის შემდეგ მან უარი თქვა რუსეთისგან დახმარების მიღებაზე და საქართველოს ეკოსისტემა ცეცხლს მისცა. ეს იყო შეგნებული გადაწყვეტილება: ვიღაცამ ჩათვალა, ოკუპანტისგან დახმარება არ უნდა მიგვეღო.** ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: თუ რუსეთი ოკუპანტია, რატომ ვიღებთ მისგან ბუნებრივ აირს, ნავთობს, ტურისტებს?! რატომ გვაქვს ცალმხრივად გახსნილი უვიზო მიმოსვლა?! რატომ ვთანამშრომლობთ რიგ საკითხებში?! ამერიკა, რომელიც სანქციას სანქციაზე უწესებს მოსკოვს, ტერორიზმის საკითხებში თანამშრომლობს მასთან. ჩვენ რა გამოვედით ასეთი?! ან ვინც რუსეთთან თანამშრომლობის მომხრეა, ყველა მისი აგენტია?! კვირიკაშვილისა და მისნაირების ლოგიკით, **გიორგი ბრწყინვალე** მონღოლების აგენტი ყოფილა, **დავით აღმაშენებელი** — თურქ-სელჩუკების, ერეკლე მეორე — რუსების... ამაზე შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ?! რა წარმატებაზე ლაპარაკობს კვირიკაშვილი, რა გააკეთეს? სოფლის მეურნეობაში გვაქვს წარმატებებიო, — გაიძახიან. სამეგრელოსა და გურიის რეგიონები წელს, ფაქტობრივად, შიმშილისთვისაა განწირული, რადგან დროულად არ შეწამლეს თხილის პლანტაციები...

დავუბრუნდეთ ხანძრის თემას. ვთქვათ, არ გინდა რუსეთის დახმარება და ეს პრინციპული გადაწყვეტილებაა, მაგრამ სად არის შენი მეგობარი დასავლეთი?! **ამერიკული „აბრამსები“ რომ ჩამოხრიგინდა ახლა და სიხარულით მეცხრე ცაზე არიან, — ავშენდითო, რომელი უფრო სჭირდება დღეს საქართველოს: ტანკები თუ სახანძრო თვითმფრინავები?** თუ ეს ქვეყანა შენი მოკავშირე და სტრატეგიული პარტნიორია, დაგეხმაროს, ან შენ სთხოვე დახმარება... თუმცა ვიცი, რომ წერილი გაგზავნილი იყო დახმარების თხოვნით და უარი გვითხრეს. მერე გამოგზავნეს ტანკები. ორი კვირა ცეცხლის ალში რომ ვიყავით გახვეული, ერთი თვითმფრინავის გამოგზავნის ღირსი არ ვიყავით?! ეს არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა?! კიდევ ვიმეორებ: **კვირიკაშვილი, ადრე თუ გვიან, მართლმსაჯულების წინაშე წარდგება, როგორც დამნაშავე. ამას გააკეთებს ეროვნული ხელისუფლება, რომელიც აუცილებლად მოვა.**

**— ხანძრის გამო ხელისუფლების მიმართ ბევრი ბრალდება გაისმა. თქვენც ფიქრობთ, რომ ეს საკითხი მომავალში სისხლისსამართლებრივი დევნის საბაბი შეიძლება შეიქნას პრემიერისა და სხვა თანამდებობის პირების წინააღმდეგ?**

— მოდი, ასე მივუდგეთ საკითხს: ვთქვათ, რაღაც ეპიდემია მოედო ქვეყანას, ხალხი იღუპება და ვერავინ გვიწევს დახმარებას, რუსეთის გარდა. რა ვქნათ: გავწიროთ საქართველოს მოსახლეობა? უნიკალური ეკოსისტემა განადგურდა და ასეულობით ჰექტარი ნაცარტუტად იქცა. რომ გამოდიან და ამბობენ, აღვადგენთო, ვინ აღადგენს, რისი აღმდგენები არიან?! თუმცა მაგათ რა ანაღვლებთ: კვირიკაშვილი ჩაილაგებს მილიონებს და წავა შვეიცარიაში. ჩვენ კი დაგვრჩება გადამწვარ-გადაბუგული საქართველო. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ პასუხიმგებლობას, რა თქმა უნდა, დანაშაულია, როცა რაღაცის გადარჩენა შეგიძლია და არაფერს აკეთებ, როცა შენი ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამო ნადგურდება ყველაზე დიდი სიმდიდრე, რომელიც ქვეყანას გააჩნია. ჩვენ არ გვაქვს ნავთობი და გაზი, ჩვენი სიმდიდრე ეს უნიკალური ეკოსისტემაა. და, როცა ამ ეკოსისტემას მოღალატეობრივი პოლიტიკით ანადგურებ, ეს უმძიმესი დანაშაულია. ამის გამო პასუხი უნდა აგოს ყველამ, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია...

**— მოდი, არჩევნებზე ვისაუბროთ. როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ჩვენი საარჩევნო სისტემა რეალური წინაპირობაა იმისა, რომ 22 ოქტომბრის შემდეგ პოლიტიკურ სპექტრში ძირეული ცვლილებები მოხდეს? აქვს კი ამ პირობებში არჩევნებს აზრი?**

— არავითარი აზრი საქართველოში არჩევნებს არ აქვს. რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერს პატივს ვცემ, მაგრამ მიკვირს, რატომ მონაწილეობენ ისინი ამ არჩევნებში. ჩვენთან ისეთი სისტემაა, მნიშვნელობა არ აქვს, პეტრე მოვა თუ პავლე, პასუხს მაინც არავინ აგებს. დღეს ხომ ვხედავთ, რომ კვირიკაშვილს არავინ არაფერს ეკითხება, ამიტომ თვითონ ეს მახინჯი სისტემა უნდა მოისპოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნებით არანაირი ცვლილება არ მოხდება. ამის ნათელი დადასტურება იყო პრეზიდენტ **მარგველაშვილის** განცხადება, როდესაც პუტინმა მას მოლაპარაკება შესთავაზა და მან, — ჯერ დასავლეთთან უნდა გავიაროთ კონსულტაციებიო, განაცხადა. აი, ეს არის მთავარი. თუ დაუკვირდებით, აშკარაა, რომ რუსეთი ყველანაირად ცდილობს, ეს ვითარება ჩიხიდან გამოიყვანოს, მაგრამ, პუტინმა ხვალ რომ გამოგვიცხადოს, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს გიბრუნებთო, ამ ტვინნაღრძობი ხელისუფლების წარმომადგენლები, ალბათ, იტყვიან, რუსეთის დაბრუნებული ტერიტორიები არ გვინდაო. მათგან გასაკვირი არაფერია, რადგან საქართველოს მტრები არიან. ამჟამინდელი ხელისუფლება საქართველოს ისტორიაში შავ ლაქად დარჩება, რადგან მისი მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად საქართველო ნადგურდება, ქართველი ერი კი დღითიდღე მცირდება.

**— თქვით, არჩევნებს აზრი არ აქვსო, თქვენი აზრით, რამ შეიძლება შეცვალოს ვითარება, არჩევნებს აზრი აზრი რომ მიეცეს?**

— უწინარესად, უნდა მოხდეს ყველა საღი პოლიტიკური ძალის კონსოლიდაცია, ჩატარდეს რეალურად დემოკრატიული არჩევნები და ხელისუფლებაში მოვიდეს ეროვნული ძალები. ეროვნულ ძალებში ვგულისხმობ პოლიტიკურ სუბიექტებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საკუთარი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებით იმოქმედებენ და არა უცხო ქვეყნის დირექტივებით. **დღეს საქართველოს ჰყავს უცხო ქვეყნის აგენტურით დაკომპლექტებული ხელისუფლება, ამიტომ ჩვენ, ფაქტობრივად, სადგისის ფუნქცია გვაკისრია და, როცა დასჭირდება ამერიკას, უჩხვლეტს რუსეთს ამ სადგისს. „აბრამსები“ რომ შემოახრიგინეს ახლა, იმიტომ კი არ გააკეთეს, რომ ჩვენს უსაფრთხოებაზე ფიქრით ღამეები არ სძინავთ, არამედ იმიტომ, რომ მოსკოვს უჩხვლიტონ.** ასეთმა ჩხვლეტებმა 2008 წელს კატასტროფამდე მიგვიყვანა და, რამე რომ მოხდეს, იმ „აბრამსებს“ ისევ გაგვირჭობენ ერთ ადგილას. მერე ვინ რას გვიშველის, კარგად ვიცით და ეს 2008-შიც ვნახეთ, ამიტომ, კიდევ ვიმეორებ: უნდა მოხდეს ჭეშმარიტად ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, ჩაატაროს ობიექტური არჩევნები და ამ გზით მოვიდეს სათავეში საღი ძალა. ასე მესახება რეალური გამოსავალი და, თუ ეს არ გამოვა, მერე აქვს ხალხს უფლება, მიმართოს პროტესტის უკიდურეს ფორმებს. როგორც ჩანს, არც ეს ფორმებია მაინცდამაინც შორს და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ გაყალბებული არჩევნებით დიდხანს იპარპაშებს ქვეყნის სათავეში, ეს წარმოდგენა მისთვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს...

**«დღეს საქართველოს ჰყავს უცხო ქვეყნის აგენტურით დაკომპლექტებული ხელისუფლება, ამიტომ ჩვენ, ფაქტობრივად, სადგისის ფუნქცია გვაკისრია და, როცა დასჭირდება ამერიკას, უჩხვლეტს რუსეთს ამ სადგისს. «აბრამსები» რომ შემოახრიგინეს ახლა, იმიტომ კი არ გააკეთეს, რომ ჩვენს უსაფრთხოებაზე ფიქრით ღამეები არ სძინავთ, არამედ იმიტომ, რომ მოსკოვს უჩხვლიტონ»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

O, TEMPORA...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაუპატიურებამდეც არ არის შორს, გვერწმუნეთ. არ არის შორს, რადგან „ქართული ოცნების“ ქურქში გახვეულმა ნაციონალებმა თვითმმართველობის არჩევნებზე უკვე ყოფილი ზონდერები წამოწიეს, ისევ მათ ჩაუგდეს ხელში ძალაუფლება, კანდიდატებად დაასახელეს, „ვლასტი“ დაუბრუნეს და ისინიც ჩუმად, ქირქილით იმუქრებიან, — გვაცადეთ, 2012 წელს ყელში ახლა ამოგადენთო. ხუთი წლის თავზე, სიმბოლურად ხუთი წლის თავზე, ნაციონალებს რევანშის შანსი აქვთ და ამ შანსს ბოლომდე გამოიყენებენ, თავგადადებულებს თავებს დააყრევინებენ და განმკითხავი არავინ იქნება.**

**ვერ გეტყვით, დაწყევლილია საქართველო თუ სხვა რამ გვჭირს, მაგრამ ფაქტია: 2012 წელს არჩევნები გვქონდა, 2013 წელსაც არჩევნები იყო, 2014-შიც ჩავატარეთ არჩევნები, მერე ერთი წელი ამოვისუნთქეთ და 2016-შიც არჩევნები დაგვიდგა. ახლა 2017-ია და ისევ საარჩევნო რეჟიმი, გაისადაც არჩევნები გველის და პოლიტიკოსებს კიდევ უკვირთ, რატომ დაიღალა ხალხი არჩევანის გაკეთებით. არადა, რეალურად ხალხი არჩევნებით კი არ დაიღალა, ის ვერ გაუგია, ვის მისცეს ხმა, ვის ენდოს, რატომ ენდოს?! ამომრჩევლის მეხსიერებას პოლიტიკოსები არად აგდებენ და მხოლოდ პარტიულ ნომრებს იცვლიან, პლაკატებზე კი ერთი და იგივე სახე ჩანს.**

# შენც კახი?!

# 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში კალაძე სააკაშვილს ხოტბას ასხამდა!



**ხელისუფლების ცვლილების შემდეგ პენსია კი არ გაიზარდა, შემცირდა, რადგან 2012 წელს დაბალი პენსიითა და მაშინდელი კურსით 88 დოლარის შეძენა შეიძლებოდა, ახლანდელი გაზრდილი პენსიითა და მიმდინარე კურსით კი მხოლოდ 73 დოლარის შეძენაა შესაძლებელი. რაც შეეხება ერთ-ერთ დაპირებას — ღირსეულ სამსახურსა და ათას (ჰო, ათას!) საწარმოს — ღიმილის მომგვრელიც აღარ არის**

„მე მაშინ პატარა ბიჭუნა ვიყავი, სამტრედიაში ვიზრდებოდი და ვუყურებდი, როგორი ცუდი იყო ჩვენი ქვეყანა. ახლა კი ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო განვითარება და არ მესმის იმ ადამიანების, ვისაც ჩვენ ვეზიზღებით“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები? — ვის და თბილისის მერობის კანდიდატს, მოქმედი ხელისუფლების ერთ-ერთ ლიდერ **კახა კალაძეს.** პატარა ბიჭუნას ისტორია კალაძემ მაშინ გაიხსენა, როცა ნახევარ საქართველოზე მეტი **მიხეილ სააკაშვილს** უკიჟინებდა გადადგომას, მაგრამ იმხანად კახა მიშას მხარეს იყო, გვმოძღვრავდა, — სააკაშვილს დავუდგეთ გვერდითო და მის ერთადერთ შეცდომად **სანდრო გირგვლიანის** მკვლელობის საქმის გამოუძიებლობა მიაჩნდა. სიმართლე გითხრათ, მე ვერ ვიხსენებ და იქნებ თქვენ გამახსენოთ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიიყვანეს გირგვლიანის საქმის ძიება ბოლომდე და დასაჯეს დამატებით ვინმე თუ დედის რძესავით შეირგო **მელნიკოვმაც, ახალაიამაც, დგებუაძემაც** და **დონაძემაც** სანდროს სისხლი? მხოლოდ სანდროსი? **ირინა ენუქიძეც** წინა რეჟიმის მსხვერპლი რომ არის, ფაქტია. მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კახა აღარ იყო სამტრედიელი პატარა ბიჭუნა, პოლიტიკოსი გახდა, პოლიტიკოსი, რომელსაც დაავიწყდა საარჩევნო დაპირებების უმრავლესობა, ზუსტად ისე, როგორც **ბიძინა ივანიშვილს.** კახას კიდევ დავუბრუნდებით, მანამდე კი ბატონ ბიძინაზე ვთქვათ.

**ბილ კლინტონს** ამერიკელებმა თავის დროზე მხარი იმიტომ დაუჭირეს, სიმპათიური იყო და ამის გამო აპატიეს **მონიკა ლევინსკისთან** რომანის გაბმაო. კლინტონისგან განსხვავებით, ივანიშვილი სიმპათიურობის გამო არ აურჩევია ერსა და ბერს, **მხოლოდ ივანიშვილისა და მისი სამტრედიელი ბიჭუნას გამო არ წასულა ქართველი ერი სამსხვერპლოზე.** ხომ ყველამ იცოდა, რომ, თუ ნავსი არ გატყდებოდა, ნაციონალების შურისძიება იმაზე მკაცრი იქნებოდა, ვიდრე **კადაფს** მოექცნენ ლიბიაში. ხალხმა გარისკა, დაიჯერა, რომ ათასი საწარმო აშენდებოდა, ენერგოტარიფები განახევრდებოდა; დაიჯერა სოფლის მეურნეობაში ჩადებული მიალირდების და ბოლოს, სულ ბოლოს მიხვდა, რომ „უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია“.

და მაინც, რა იყო 2012 წლის დაპირებების კასკადი — გაუთვლელი და დაუთვლელი პროექტები თუ ფიქრი იმისა, რომ ბოლომდე გამწარებული, ნაცემ-ნაგვემი, სულში ჩაფურთხებული და გაუპატიურებული ერი ყველა დაპირებას მიიღებდა, ოღონდ კი ნაციონალების უღელი გადაეგდო? გადაეგდო იმისთვის, რომ მეოთხე, საოცარ წელიწადს ახლიდან დაედგა უღელი, ოღონდ სახეშეცვლილი, სახელშეცვლილი და იმავე ადამიანებისგან აეტანა დაცინვა, ცემა, გვემა, სულში ჩაფურთხება... **გაუპატიურებამდეც არ არის შორს, გვერწმუნეთ. არ არის შორს, რადგან „ქართული ოცნების“ ქურქში გახვეულმა ნაციონალებმა თვითმმართველობის არჩევნებზე უკვე ყოფილი ზონდერები წამოწიეს, ისევ მათ ჩაუგდეს ხელში ძალაუფლება, კანდიდატებად დაასახელეს, „ვლასტი“ დაუბრუნეს და ისინიც ჩუმად, ქირქილით იმუქრებიან, — გვაცადეთ, 2012 წელს ყელში ახლა ამოგადენთო. ხუთი წლის თავზე, სიმბოლურად ხუთი წლის თავზე, ნაციონალებს რევანშის შანსი აქვთ და ამ შანსს ბოლომდე გამოიყენებენ, თავგადადებულებს თავებს დააყრევინებენ და განმკითხავი არავინ იქნება — სამტრედიაში გაზრდილ ბიჭუნას 2012 წლის აქტივისთვის არ სცალია, სოლოლაკელ „კლინტონს“ კი...**

„დღესვე შეიძლება ენერგოტარიფების განახევრება, დღესვე შეიძლება, ღირსეული საარსებო მინიმუმის დადგენა და ამ მინიმუმზე პენსიის გათანაბრება. პენსია უნდა იყოს, სულ ცოტა, 220 ლარი და ამას დამატებული ყველა ის დანამატი, რომლებიც ნაციონალებმა მოხსნეს. საერთო ჯამში, პენსია 250-დან 300 ლარამდე უნდა იყოს და ჩვენ ამას გავაკეთებთ“, — ეს წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილმა თქვა.

რეალურად კი **ხელისუფლების ცვლილების შემდეგ პენსია კი არ გაიზარდა, შემცირდა, რადგან 2012 წელს დაბალი პენსიითა და მაშინდელი კურსით 88 დოლარის შეძენა შეიძლებოდა, ახლანდელი გაზრდილი პენსიითა და მიმდინარე კურსით კი მხოლოდ 73 დოლარის შეძენაა შესაძლებელი. რაც შეეხება ერთ-ერთ დაპირებას, ღირსეულ სამსახურსა და ათას (ჰო, ათას!) საწარმოს, ღიმილის მომგვრელიც აღარ არის.** ივანიშვილის გათვლით, თითო მუნიციპალიტეტში დაახლოებით 15 საწარმო უნდა აშენებულიყო, ანუ იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე კომუნისტების პერიოდში იყო, და ეს დავიჯერეთ. ჰო, დავიჯერეთ იმიტომ, რომ აღარ შეგვეძლო ძველი რეჟიმის ატანა; აღარ შეგვეძლო ის, რასაც წინა ხელისუფლება ერს უშვრებოდა, მაგრამ, ისევ ის ხალხი რომ ბრუნდება, უფრო სწორად, რომ აბრუნებენ, ვინ არის იმის გარანტი, რომ ანალოგიურს არ ჩაიდენენ? ვინ მოგვცემს ამის პირობას? სამტრედიაში გაზრდილი ბიჭუნა თუ მილიარდერი?

ისევ საარჩევნო რეჟიმში ვართ და ისევ ვისმენთ დაპირებებს. მართალია, ივანიშვილი აღარაფერს გვპირდება (რაც შეიძლებოდა ადამიანის ფანტაზიას გასწვდომოდა, უკვე დაგვპირდა), მაგრამ სხვები გვპირდებიან. **ისინი, ვინც ერზე ძალადობდა, დღეს ისევ ხელისუფლებაში არიან და უფრო დაბალი ეშელონები მოჰყავთ, მოჰყავთ დაპირებით, რომ საოცრებებს იზამენ და ეს მაშინ, როცა მათი საოცრებები ნანახი გვაქვს, განცდილიც გვაქვს საკუთარ თავზე და ახლა იძულებულნი ვართ, ისევ ერთად ჩავატაროთ საკუთარ თავზე ექსპერიმენტი, ისევ ერთად მივცეთ ხმა იმას, რაზეც უარი ვთქვით ხუთი (ისევ ხუთი) წლის წინათ და დაველოდოთ, როდის გამოგვიყვანენ წირვას.** სამტრედიაში გაზრდილი ბიჭუნა კი სიცოცხლით სავსე ქალაქს გვპირდება და უნდა დავუჯეროთ. უნდა დავუჯეროთ იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ წლების წინათ, როცა ხელისუფლებაში არ იყო, მაგრამ მხარს უჭერდა სააკაშვილს, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდის დაკვლა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) აწუხებდა თურმე და მერე, როცა „ძლიერი ამა ქვეყნისა“ გახდა, აღარ შეაწუხა. არადა, ის ახალგაზრდაც ხომ იმ ქალაქში დადიოდა, ახლა რომ სიცოცხლით სავსე უნდა გახდეს თურმე?!

ამომრჩეველი, არჩევნებიდან არჩევნებამდე კი არა, დაპირებიდან დაპირებამდე ცხოვრობს და პოლიტიკოსებმაც ზუსტად იციან, რომ მათ მოკლე მეხსიერება აქვთ. ზუსტად იციან, რომ აღარ ახსოვთ არც გასული წლები, არც ის, რომ თავის დროზე სწორედ ისინი დასცინოდნენ, სწორედ ისინი ატყუებდნენ, სწორედ ისინი ჰპირდებოდნენ „მთვარეზე კოოპერატივს“ და საბოლოოდ პირში ჩალაგამოვლებული ტოვებდნენ. მაგრამ ბოლო ხუთ წელიწადში ჩალაც ისე გაძვირდა, ამ საარჩევნოდ მაგასაც აღარ გამოგვავლებენ.

დაიჯერებთ თუ არა ქოცნაცდაპირებებს, თქვენი საქმეა, მაგრამ ფაქტია, რომ არც კომუნისტების მმართველობის პერიოდში გაზრდილი ბიჭუნები, არც დამოუკიდებლობის წლებში დაბადებულები და არც ძალიან ადრე დაბადებულები სიმართლეს არ გვეუბნებიან. ისინიც არჩევნებიდან არჩევნებამდე ცხოვრობენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მოკლე მეხსიერება არ აქვთ და ძალიან კარგად ახსოვთ, რაზე წამოეგო ყველაზე კარგად ამომრჩეველი ბოლო წელს და ახალ ანკესზე ისევ ძველ სატყუარას ამაგრებენ.

**სამტრედიაში გაზრდილი ბიჭუნა სიცოცხლით სავსე ქალაქს გვპირდება და უნდა დავუჯეროთ. უნდა დავუჯეროთ იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ წლების წინათ, როცა ხელისუფლებაში არ იყო, მაგრამ მხარს უჭერდა სააკაშვილს, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდის დაკვლა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) აწუხებდა თურმე და მერე, როცა «ძლიერი ამა ქვეყნისა» გახდა, აღარ შეაწუხა. არადა, ის ახალგაზრდაც ხომ იმ ქალაქში დადიოდა, ახლა რომ სიცოცხლით სავსე უნდა გახდეს?!**

**ბესო ბარბაქაძე**

**„სურთ, რომ ოჯახი, როგორც ასეთი, საერთოდ აღარ არსებობდეს; რომ ცოლისა და ქმრის, მშობლისა და შვილის, დედისა და მამის ცნებები გაქრეს. ამიტომა ევროპის რიგ ქვეყნებში უკვე სერიოზულად დგას საკითხი, რომ სიტყვები: „დედა“ და „მამა“ აღარ გამოიყენონ, მათ ნაცვლად შემოიღონ ცნებები: „მშობელი №1“ და „მშობელი №2“. აი, ამის დამკვიდრება უნდათ საქართველოშიც და ეს ე.წ. საკანონმდებლო ცვლილებები ზუსტად ამას ემსახურება. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა მიგვათრევენ იმ უბედურებისკენ, რომელიც, დიდი ხანია, მათ სათაყვანებელ ევროპაში ტრიალებს“.**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### მამა გურამი (გამცემლიძე):

# როგორ უნდა გვასწავლოს დასავლეთმა ქალის პატივისცემა, როცა იქ ქალი და კაცი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ?!

**ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ საკანონმდებლო ცვლილებებსა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიღმის სამი მღვდელმთავრის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გურამი (გამცემლიძე).**

**— მამაო, 1 სექტემბრიდან საქართველოში ოფიციალურად ამოქმედდა ევროსაბჭოს მიერ 2011 წლის 11 მაისს მიღებული დოკუმენტი, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის სტამბოლის კონვენციის სახელითაა ცნობილი. ეს დოკუმენტი ქალთა მიმართ ყველა სახის ძალადობის აღმოფხვრას გულისხმობს და ამისთვის უკვე სპეციალური მონიტორინგის ჯგუფიცაა შექმნილი. რა მიზანს ემსახურება ამ კონვენციის ამოქმედება ჩვენს ქვეყანაში და, საზოგადოდ, პროპაგანდა, რომ თურმე საქართველოში ქალთა უფლებების კუთხით მძიმე მდგომარეობაა?**

— ეს არის მორიგი გამიზნული თავდასხმა ქართული ტრადიციების, თვითმყოფადობისა და ყველაფერი ეროვნულის წინააღმდეგ. ამაში ახალს და გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. სინამდვილეში მათ ჩვენზე უკეთ იციან, ისტორიულად რამხელა პატივს სცემდნენ საქართველოში მანდილოსანს, იქნებოდა ეს მეუღლე, დედა, და თუ სხვა, მაგრამ ამას ისე გიტრიალებენ, როგორც სჭირდებათ. ამ ე.წ. საკანონმდებლო ცვლილებებისა და ახალ-ახალი კონვენციების ავტორებს აღიზიანებთ ის, რომ საქართველო მართლმადიდებლური ქრისტიანული სახელმწიფოა. ისინი **ქრისტიანობას, კონკრეტულად, მართლმადიდებლობას აღიქვამენ მთავარ საფრთხედ. რატომ? იმიტომ, რომ მართლმადიდებლობა არის უკომპრომისო რელიგია და მართლმადიდებელი სამყარო, სამღვდელოება იქნება თუ მრევლი, ყოველთვის მოურიდებლად ამხელს მათ მიერ ამა თუ იმ კანონში ჩადებულ მზაკვრობას.** არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: არანაირი დაცვა აქ არავის სჭირდება. საქართველოში ყოველთვის იყო და დღესაც არის ქალთა უფლებები დაცული. ან **როგორ უნდა გვასწავლოს დასავლეთმა ქალის პატივისცემა, როცა ქალი და კაცი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ?!** კოლჰოტიან კაცებს რომ ეძახიან ქალებს და რომ ჰკითხოთ, ასამდე გენდერი არსებობს თურმე, ესაა ქალის პატივისცემა. მამაკაცს რომ ცოლი შეიძლება ერქვას, ეს არის ქალთა უფლებები?!

კიდევ ვიმეორებ: **ამდენი წელია, სასულიერო პირი ვარ და მუდმივად მიწევს ადამიანებთან ურთიერთობა. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა თუნდაც ერთი შემთხვევა, მოსულიყო ქალი და ეთქვა, რომ ოჯახში ან სადმე მისი უფლებები ირღვევა. ეს არის თავიდან ბოლომდე თითიდან გამოწოვილი თემა და რა ინტერესი, რა განზრახვა იმალება ამ ქმედების უკან, ყველამ კარგად იცის.** ამას საქართველოს მტრები ამბობენ, მხოლოდ მტრებსა და მოღალატეებს ხელს აძლევთ გამუდმებით იმის მტკიცება, რომ თურმე საქართველოში ვიღაცის უფლებები ირღვევა, თურმე ქართული კულტურა და მენტალობა ძალადობრივია, ჩაგვრაზე, ძალმომრეობაზეა დამყარებული...

**— პროპაგანდისტებმა, რომლებიც გამუდმებით ქალთა მიმართ ძალადობაზე მიუთითებენ, თავის დროზე პატრიარქსაც დასდეს ბრალი ამ ძალადობის წახალისებაში. მოგეხსენებათ, ადრე პატრიარქმა ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანა, რომ ოჯახის თავი მამაკაცია და ამაზე ერთი ამბავი ატეხეს. სხვათა შორის, იმ ქადაგებას დღესაც ხშირად ახსენებენ ჩვენი ე.წ. არასამთავრობო უფლებადამცველები.**

— დიახ, ოჯახის თავი მამაკაცია და რა არის ამაში მიუღებელი?! რა არის ცუდი იმაში, რომ ყველას თავის ადგილი ჰქონდეს ყველა ოჯახში?! აქ, უბრალოდ, საქმე რა არის, იცით? — **მათ სურთ, რომ ოჯახი, როგორც ასეთი, საერთოდ აღარ არსებობდეს; რომ ცოლისა და ქმრის, მშობლისა და შვილის, დედისა და მამის ცნებები გაქრეს. ამიტომაა, ევროპის რიგ ქვეყნებში უკვე სერიოზულად დგას საკითხი, რომ სიტყვები: „დედა“ და „მამა“ აღარ გამოიყენონ, მათ ნაცვლად შემოიღონ ცნებები: „მშობელი №1“ და „მშობელი №2“. აი, ამის დამკვიდრება უნდათ საქართველოშიც და ეს ე.წ. საკანონმდებლო ცვლილებები ზუსტად ამას ემსახურება.** ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა მიგვათრევენ იმ უბედურებისკენ, რომელიც, დიდი ხანია, მათ სათაყვანებელ ევროპაში ტრიალებს; და ჩვენ ვხედავთ, სადამდე მიიყვანა ამან ევროპა — ისტორიული ევროპული კულტურა უკვე აღარ არსებობს, კრიზისი აქვს ევროპულ ცივილიზაციას...

რაც შეეხება კონკრეტულ დოკუმენტს, რომელიც 1 სექტემბერს ამოქმედდა, ყველა კანონი თუ კონვენცია, რომლებიც ჩვენს მენტალიტეტსა და ტრადიციებს არ მოერგება, ჩვენთვის ყოველთვის იქნება მიუღებელი. არავინ მას საქართველოში არ დაიცავს და არ გაითვალისწინებს.

**— „უფლებადამცველები“ ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში ამა თუ იმ დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული კანონები ეფექტიანად ვერ ხორციელდება. თქვენი აზრით, რას მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ სტამბოლის კონვენცია მათთვის მისაღები ფორმითა და ეფექტიანობით ამოქმედდება? კონკრეტულად რა ქმედებებს უნდა ველოდოთ?**

— დავიწყოთ იმით, რომ **არანაირი უფლებადამცველები არ გვყავს საქართველოში, ჩვენ გვყავს უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ დაქირავებული ჯაშუშების ჯგუფი, რომელიც, უკვე წლებია, გარკვეული ფინანსური კეთილდღეობის სანაცვლოდ ეწევა სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას. ამ ადამიანებს არ გააჩნიათ სამშობლო, ეროვნება, მორალი და ღირსება.**

რაც შეეხება შეკითხვას, მიზანი არის ის, რაც უკვე მოგახსენეთ, რომ ადამიანებს წაართვან ყველანაირი ადამიანური ნიშანი: ქალს ქალი არ უნდა ერქვას, კაცს — კაცი. ოჯახში არ უნდა იყოს უფროს-უმცროსი და ა.შ. ანუ, რაც ღირებულია და რაც ადამიანს აძლევს ადამიანურ სახეს, უნდა წაიშალოს და უნდა მოხდეს ამის ჩანაცვლება რაღაც საერთო ფსევდოდემოკრატიული, „ლიბერალური“ ღირებულებებით. ეს — რაც გლობალურად მიმდინარეობს, ხოლო **საქართველოში, კიდევ ვიმეორებ, ნებისმიერი კანონი თუ კონვენცია, რომელიც ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის, მენტალობისა და ტრადიციებისთვის იქნება მიუღებელი, დარჩება ფარატინა ქაღალდად. ეს ფარატინა ქაღალდი, სადაც უნდათ, იქ შეინახონ.**

**— ეს ფარატინა ქაღალდები საერთოდ არაფერს ნიშნავს?**

— **ამ ხელისუფლების მიერ მიღებული არც ერთი კანონი არაფერს ნიშნავს, იმიტომ, რომ ესენი არიან მშიშრები და ვაჟკაცობა არ ჰყოფნით, რომ, როცა დასავლეთი რაღაცის მიღებას აძალებს, ელემენტარული წინააღმდეგობა გაუწიონ.** მიიღეთ, რაც გინდათ და როგორც გინდათ, მაგრამ მოდი ამ „კანონებს“ ჩემ წინააღმდეგ ნუ გამოიყენებთ, ნუ მიიყვანთ საზოგადოებას უკიდურეს ზღვრამდე, თორემ მერე განახვებთ ვაჟკაცობას! — ასე ვეტყოდი მე ამ მშიშარა და უნიათო ხელისუფლებას, რომელიც თავისით კი არ იღებს რომელიმე გადაწყვეტილებას, არამედ უმნიშვნელო ნაბიჯსაც კი დასავლეთის კარნახით, მისი მითითებით დგამს.

**— მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლის კონვენცია სწორედ ფარატინა ქაღალდია საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის, ხელისუფლება, ალბათ, მაინც შეეცდება მის რეალურად განხორციელებას.**

— ქართველი ბუნებით შემწყნარებელია, მაგრამ ისიც ვიცით, როგორ უნდა მოვექცეთ მტერს. ქართველი კაცს ცოცხალი ვერ გაასწრებს ვერც ერთი, ვინც შევა მის ოჯახში და მის საქმეში ჩაერევა ნებისმიერი ფორმით. დანარჩენი, კიდევ ვიმეორებ, რაც უნდათ და რამდენიც უნდათ, დაწერონ, შეინახონ ფარატინა ქაღალდად.

**— გინდათ, თქვათ, რომ სტამბოლის კონვენციის ამოქმედებას შეიძლება ცუდი შედეგები მოჰყვეს?**

— საერთოდ ვგმობ ყველანაირ ძალადობას, ქალზე იქნება, კაცზე თუ სხვა ვინმეზე ან რამეზე, მაგრამ ოჯახი არის შეუხებელი. მით უმეტეს შეხება არ უნდა მოხდეს იმ ფორმით, რა ფორმითაც დასავლეთში ხდება და, **თუ ამ ხელისუფლებას საერთოდ საღი აზროვნების უნარი შერჩენია, უნდა ესმოდეს, რომ მისთვის ამგვარი ქმედებები საბედისწერო იქნება.**

ახლა, ალბათ, ვიღაც გამოხტება და იტყვის, რომ ბოლო პერიოდში გახშირდა ძალადობის ფაქტებიო, რომ ხშირია შემთხვევები, როცა ქმარმა ცოლი სასიკვდილოდ ცემა, დაჭრა და ა.შ. ეს ჩვეულებრივი კრიმინალია. ამ კრიმინალის აღსაკვეთად არსებობს შესაბამისი სტრუქტურები და ამაზე მათ უნდა იზრუნონ. აი, ეს არის სახელმწიფოებრივი მიდგომა და არა ის, რომ სადღაც სტამბოლში ვიღაცამ რაღაც კონვენცია მიიღოს, თავს მოგახვიოს და მერე ისევ იმ კონვენციის მიმღებმა გარეძალამ შექმნას შენს ქვეყანაში რაღაც ჯგუფი, რომელიც შევა თითოეულ ოჯახში. კიდევ ვიმეორებ: **ღმერთმა ნუ ქნას, მათი აგენტები ჩემს ოჯახში შემოვიდნენ, ამის წარმოდგენაც არ მინდა...** ეს კონვენცია თავიდან ბოლომდე უაზრობაა და საქართველოში ვერ განხორციელდება. მას არავინ დაიცავს და არც არავის სჭირდება მათი დაცვა ამ ქვეყანაში.

**— მაგრამ ხომ არ სჯობს, მანამდე დაირაზმოს საზოგადოება, სანამ მსგავსი კონვენციები ოფიციალურად ამოქმედდება?**

— მე მხოლოდ მრევლზე ვარ პასუხისმგებელი, ხოლო საზოგადოება, რომელიც ჭრელია და ვერ გაუგია, რა უნდა, ვერ გეტყვით, რამ შეიძლება დარაზმოს და როგორ. თუ ვინმეს შეუძლია მისი გაერთიანება, მაგას რა სჯობს, მაგრამ რა პროტესტი უნდა გამოთქვან მათ ან რის თავი აქვთ, არ ვიცი. არც პოლიტიკურ სპექტრში დღეს ვინმე ისეთი (ერთიორი გამონაკლისის გარდა, რომლებიც ჯერჯერობით ამინდს ვერ ქმნიან), ვისაც ხალხი შეიძლება გაჰყვეს. ეს შეიძლება ერთგვარ პოლიტიკურ პესიმიზმადაც აღვიქვათ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ასეთია რეალობა.

**— ამ რეალობის გათვალისწინებით, აქვს კი აზრი არჩევნებს, შესაძლებელია ამ გზით რამის შეცვლა?**

— საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა არჩევნები ისე, როგორც უნდა ტარდებოდეს, ანუ ხალხს არავინ ეკითხება არაფერს და არასოდეს ხალხი არ ირჩევს არავის. არჩევნები აქ არის გარედან მართული, ევროპის დასანახავად გამართული სპექტაკლი, ამიტომ არჩევნების გზით აქ რამის შეცვლისა არ მჯერა. აქ ვითარება შეიცვლება მაშინ, როდესაც ქართველი კაცის ცნობიერება იქნება მართლმადიდებლური და, რას ნიშნავს მართლმადიდებლობა, თუ არ იციან, მობრძანდნენ ეკლესიაში. ვიცხოვროთ ეკლესიურად, მართლმადიდებლურად და, როცა ადამიანის ცნობიერება შეიცვლება, შველასა და გადარჩენაზე მერე შეიძლება ფიქრი. სხვა ჩვენ ვერანაირი ძალა, ვერანაირი „მეგობარი“ და „პარტნიორი“, რა მხარდაჭერასაც უნდა გვიცხადებდეს, გნებავთ, განცხადებებით, გნებავთ, ქმედებებით, ვერ გადაგვარჩენს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«მათ სურთ, რომ ოჯახი, როგორც ასეთი, საერთოდ აღარ არსებობდეს; რომ ცოლისა და ქმრის, მშობლისა და შვილის, დედისა და მამის ცნებები გაქრეს»**

**«ჩვენ გვყავს უცხოეთის სპეცსამსახურების მიერ დაქირავებული ჯაშუშების ჯგუფი, რომელიც, უკვე წლებია, გარკვეული ფინანსური კეთილდღეობის სანაცვლოდ ეწევა სახელმწიფოსთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას»**

ბაჩო სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დღეს სხვა დროა, გენაცვალე, და დეფისნაირი პოეტები, ზუმბასნაირი მომღერლები, ტურიკასნაირი მწერლები სამშობლომ, ქება-დიდებასთან ერთად, ჰონორარ-შემოსავლითაც უნდა აავსოს და ცივი ნიავი არ მიაკაროს, თორემ ნიუ-იორკში მანქანის თავზე დადგმულ ტაქსის „პეტუშოკზე“ მიაწერენ, რა უმადურად ექცევა მათ თავიანთი ქვეყანა და თავს მოგვჭრიან მსოფლიოს მასშტაბით, აბა!**

**„მაგათია, ძმაო, და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროსო“, — ქურდებსა და ციხეზე ამბობს პატიმარი ჭიჭიკო გოგოლი ნოდარ დუმბაძის ცნობილ რომანში „თეთრი ბაირაღები“. მაგათია ეს ქვეყანა და ხუმრობენ კიდეც. — ხმარობენ, როგორც სურთო, — ამბობენ საქართველოს მოქალაქეები, როდესაც მედიასაშუალებებით ბიუჯეტის მორიგი უაზრო და უტვინო ხარჯვის შესახებ შეიტყობენ, თუმცა ციხის შემთხვევაში ყველაფერი გასაგები და გარკვეულია — ის კონკრეტულად ქურდების რომ არის, ვიცით. აი, „ეს ქვეყანა“ კი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში — საქართველო) ვისია, ნამდვილად ვერ გავიგეთ ასე კონკრეტულად, რადგან ამ ქვეყანას ხან ვინ ხმარობს და ხან ვინ.**

# მთვრალი ზალიკოს, ბოზი თინიკოსა და ტაქსისტი დეფიკოს ქვეყანა







## ბოზი თინიკოს სწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს 165 ათასი დოლარი უჯდება და ამის შემდეგ მოდი და შეედავე იმ მოქალაქეებს, რომლებიც ირონიით ჩაილაპარაკებენ ხოლმე: «მაგათია ეს ქვეყანა და ხმარობენ, როგორც უნდათ!»

„ეს ქვეყანა“ ამჯერად **თინა მახარაძემ** იხმარა. ოფიციალური წყაროებით, მსახიობ თინა მახარაძის ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად წასვლა წელიწადში 55 ათასი დოლარით ფინანსდება (3 წლის განმავლობაში — 165 ათასით). აქვე შევნიშნავ, რომ სათაურში გატანილი სტატუსი — „ბოზი თინიკო“ — მკითხველმა არ უნდა ჩაგვითვალოს ჩვენი მხრიდან უხამსობად ან ამ ადამიანის შეურაცხყოფად, რადგან ეს ტიტული საკუთარ თავს თვითონვე მიანიჭა სატელევიზიო ეთერში და თანაც დასძინა, ვამაყობ იმით, რომ ბოზი ვარო. ასე რომ, ჩვენი აზრით, თინას შეიძლება ეწყინოს კიდეც, მასზე საუბრისას ეს სტატუსი რომ არ მივუთითოთ. მოკლედ, **ბოზი თინიკოს სწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს 165 ათასი დოლარი უჯდება და ამის შემდეგ მოდი და შეედავე იმ მოქალაქეებს, რომლებიც ირონიით ჩაილაპარაკებენ ხოლმე: „მაგათია ეს ქვეყანა და ხმარობენ, როგორც უნდათ!“**

ჩვენს ქვეყანაში უკვე მართლაც ისეა საქმე, რომ თინიკოსნაირები დღის, კვირის, თვის „მთავარი თემები“ ხდებიან ხოლმე. მაგალითად, გასული კვირის მთავარი სალაპარაკო ხალხში **ბოზი თინიკო, მთვრალი ზალიკო და ტაქსისტი დეფიკო იყო.**

უზომოდ მთვრალმა **ზალიკო ბერგერმა** (ქალიშვილობის გვარი — ხეცურიანი) ბათუმის ქუჩებში სელფ-გასეირნება მოაწყო და ქართველი საზოგადოება ნამუსზე ააგდო, — მიშას რატომ არ უფასებთ ამაგსო. ნახეთ, ეს ქალაქი რას ჰგავდა მიშამდე და ახლა როგორი დამშვენებულია, სასტუმროებია აშენებული და იმდენი მაინც უნდა ჰქნათ, რომ მიხეილ სააკაშვილი ბათუმის მერად აირჩიოთ, თორემ უნამუსოები და უსინდისოები იქნებითო.

მანიაკი ექსპრეზიდენტის კარიერის ასეთი გაგრძელება მისაღები თუ არის თვით სააკაშვილისთვის, ამის შესახებ პოზიცია ჯერ არ გამოუხატავს „ბათუმის მომავალ მერს“, თუმცა ეს კაცი ყოველთვის თანხმდება ნებისმიერ თანამდებობას, ოღონდაც კი კაბინეტი ჰქონდეს და იქ ამა თუ იმ ეროვნების ლამაზმანთან განმარტოება შეეძლოს და, სავარაუდოდ, არც ბათუმის მერობაზე იტყვის უარს.

რაც შეეხება ბერგერს, მისთვის, ჩანს, ფეშენებელური სასტუმროებია იმის განმსაზღვრელი, როგორ და რა წარმატებით მართავს ქვეყანასა თუ ქალაქს ესა თუ ის მმართველი. ცხონებული **კახა ბენდუქიძის** ახლო მეგობრებისთვის ხომ ფეშენებელური სასტუმროები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, აკი თვითონ კახა ბენდუქიძეს, გარდა საკუთარი სახლისა, თბილისისა და ბათუმის „მერიოტებში“ ნომერიც ჰქონდა დაქირავებული განსაკუთრებით „საპატიო სტუმრების“ მისაღებად...

სათაურშივე ვთქვი, რომ, გასულ კვირაში კი არა, ლამის გასულ თვეში ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მთავარი თემები ბოზი თინიკო, გეი (თან მთვრალი) ზალიკო და პოეტ-ტაქსისტი დეფიკო იყვნენ-მეთქი.

„პოეტად“ თავწოდებული (რადგან მხოლოდ თვითონ უწოდა საკუთარ თავს პოეტი) **დავით (დეფი) გოგიბედაშვილი** მსახიობ (რეჟისორობის ამბიციის მქონე) თინა მახარაძეს, მიშას მანიაკური რეჟიმის მხარდამჭერის გარდა, იმაშიც დაემსგავსა, რომ ორივე ამერიკის შეერთებულ შტატებში განაგრძობს „მოღვაწეობას“.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ თინა მახარაძეს ნაცებმა ამ ეტაპზე უშველეს და, **ნიკა რურუას** რეკომენდაციით, „განათლების საერთაშორისო ცენტრმა“ მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, როგორც გითხარით, 165 ათასი ლარი გამოუყო ამერიკაში რეჟისორის პროფესიის დასაუფლებლად, ხოლო „პოეტი“ დეფი თავისი „ფეისბუქ“-გვერდის საშუალებით გულისამაჩუყებელ ამბავს გვაუწყებს: „ამერიკაში ვარ. ნიუ-იორკში ვტაქსაობ, რომ ჩემი ოჯახი შევინახო. ასე დამაფასა ჩემმა ქვეყანამ. მალე აქ, აშშ-ში, გამოვა ჩემი ლექსების თარგმანი და, იმედია, სულ სხვა ცხოვრებას დავიწყებ!“ როგორც ხედავთ, ბოლოს ცოტა დაგვაიმედა გენიალურმა პოეტმა დეფიმ, თორემ ამ ფრაზის პირველი სტრიქონის წაკითხვამ შეიძლება გული გაგიხეთქოს კაცს! **რა პოეტი, რა გენიოსი, რა დიადი ადამიანი ვაიძულეთ, სამშობლოდან ოკეანის გაღმა გასულიყო და იქ ტაქსაობა დაეწყო.**

მგონი, დეფი, თავისი ამ „ფეისბუქ“-პოსტით სწორედ ნიკა რურუასა და „განათლების საერთაშორისო ცენტრს“ აგდებს ნამუსზე, — რა იყო, თქვე კაი ხალხო, თინა მახარაძეზე ნაკლებად ვლანძღე **ბიძინა ივანიშვილი** და თინა მახარაძეზე ნაკლებად ვაქე მიშა სააკაშვილი, მაგისთვის 165 ათასი რომ გაიმეტეთ „რეჟისორობის“ სასწავლად, მე კი, ამისთანა ლირიკოს კაცს, სულ ისე მაგდებთო?!

და განა მართალი არ არის? ადამიანს რომ მიაჩვევ მისი შტერული წიგნების, ფაქტობრივად, ბიუჯეტის ხარჯზე გამოცემას, ჟურნალებში მისი სულელური ლექსების ბეჭდვას და ამაში არაადეკვატურად მაღალი ჰონორარების მიცემას, იმის საფასურად, რომ მანიაკი ხელისუფლება და ტვინით ავადმყოფი პრეზიდენტი აქოს და ადიდოს, მერე მისი ასე მივიწყება აღარ შეიძლება, ძმაო!

კი, ბატონო, ხელისუფლებაში აღარ ხარ და ისე არაადეკვატურად ბევრ ფულს ვეღარ ჩაურიცხავ ანგარიშზე, მაგრამ იმის მეოთხედი მაინც, კეთილი ინებე და, დაურიცხე! ძნელია, ბიძია, მუქთამჭამელობას მიჩვეული კაცის უცებ უსახსროდ დატოვება.

თუ არა, აგერ, ჯერ მხოლოდ დაგემუქრა, — ულუკმაპუროდ ვარ და ვტაქსაობო. სიგნალი მოგცა („ნაციონალური მოძრაობის“ გასაგონად ვამბობ!), არ მიხედავ და მოვა დრო, არ გაუჭირდება დეფის ბიძინა ივანიშვილის დიადი საქმეებისთვის დითირამბების მიძღვნაც! ისიც ისევე გადახტება „ოცნებაში“, როგორც აქამდე არაერთი სხვა დეფისმაგვარი გადამხტარა, მე შენ გეტყვი, „ოცნება“ ასეთების მიღებაზე უარს ამბობს და მათ ხელისგულზე არ ატარებს თუ რა?!

საზოგადოდ კი, საქართველოში, ძალიან მოდურია „ხელოვანი ხალხის“ მიერ სამშობლოსთვის საკუთარი თავის დაყვედრება. ამას წინათ, გახსოვთ, ალბათ, მომღერალი **ზაზა კორინთელი**, იგივე „ზუმბა“ გვაგდებდა ნამუსზე, — სამშობლოში არ მაფასებენ და იძულებული ვარ, აშშ-ს შევალიო ჩემი ნიჭი, უნარი და მუსიკალური პოტენციალიო. როგორ დააფასა „ზუმბა“ ამერიკამ და როდის დადგამენ ამ მსოფლიო დონის ხელოვანის ძეგლს მანჰეტენზე, ამის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ მიგვიღია. არადა, ფაქტია: სულ უფრო მეტი „ქართველი ხელოვანი“ ითხოვს სამშობლოსგან უშრომელ ფულს და განცხრომას. რა გაეწყობა, ყველაფერ დანარჩენთან ერთად, ხელოვნების საქმეც წინ მიდის და სულ სხვა სტანდარტებს ამკვიდრებს. ეგეთი ჩამორჩენილი, რომელიც რამეს კი არ მოითხოვდა სამშობლოსგან, არამედ იქით ეკითხებოდა კოლეგებს: „თქვენ გეკითხებით ძმებო, მგოსნებო... ამ უხეირო ლექსების გარდა, რას გავუკეთებთ ჩვენ საქართველოს?“-ო, მხოლოდ **ლადო** იყო, **ასათიანი**. დღეს სხვა დროა, გენაცვალე, და დეფისნაირი პოეტები, ზუმბასნაირი მომღერლები, ტურიკასნაირი მწერლები სამშობლომ, ქება-დიდებასთან ერთად, ჰონორარ-შემოსავლითაც უნდა აავსოს და ცივი ნიავი არ მიაკაროს, თორემ ნიუ-იორკში მანქანის თავზე დადგმულ ტაქსის „პეტუშოკზე“ მიაწერენ, რა უმადურად ექცევა მათ თავიანთი ქვეყანა და თავს მოგვჭრიან მსოფლიოს მასშტაბით, აბა!

არადა, სახუმაროდ სულაც არ გვაქვს საქმე, რადგან საქართველოს ასეთი „ტაქსოპულოები“ მართლაც უამრავი ჰყოლია. ნაცებისა და მიშა სააკაშვილის მიერ მართლა მუქთად ჭამას მიჩვეულმა მსგავსმა „ხელოვანებმა“ იმ 9 წლის განმავლობაშიც აქტიურად წარმოაჩინეს თავი, როგორც საკუთარი კეთილდღეობის გამო საკუთარივე ხალხის ბედის ფეხებზე დამკიდებლებმა. მათ მიერ მშვიდობიანი მიტინგების უმოწყალოდ დარბევის, პატიმართა არაადამიანური წამების, ქუჩებში უდანაშაულო ადამიანების დახვრეტის უსირცხვილო „გაპრავებამ“ ყოველგვარი უტიფრობის ზღვარს გადააბიჯა და ამ მდგომარეობას უკვე ისე არიან შეჩვეული, სრულიად ბუნებრივი ამბავი ჰგონიათ სახელმწიფოსგან გარკვეული თანხების მუქთად მიღება — „სწავლის გაგრძელების“, „ახალი პროფესიის დასაუფლებლად ამერიკაში წასვლის“, „ხელოვანთა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის“ თუ კიდევ თითიდან გამოწოვილი სხვა მოტივებითა და მიზნებით.

რაც ყველაზე სავალალოა, ასეთი უტიფრების გარკვეული ნაწილი მართლაც დღემდე აღწევს იმას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისედაც მიზერული ხელფასის მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის ბიუჯეტის მიერ დაქვითული „საშემოსავლო“ თუ კიდევ სხვა სახის გადასახდებიდან, უცხოეთში საკუნტრუშოდ მიიღოს ფული ისევ და ისევ ბოლოს „ნაცების“ რეკომენდაციით...

არგუმენტი, რომ სწავლა სწავლაა და, სასწავლებლად როდესაც იყენებს ადამიანი ფულს, თანაც კონკურსში იმარჯვებს, მაშინ რა გინდათ და რას ერჩითო, ისევ და ისევ დახვეწილი დემაგოგიის ნიმუშია.

როგორ ტარდება ასეთი კონკურსები, როგორ „არ იციან“ კომისიის წევრებმა, ვის აძლევენ დაფინანსებას და როგორი „უძლურია“ მთავრობა ასეთ შემთხვევებში, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, ხოლო რამდენად იმსახურებენ სამშობლოსგან ასეთი ნაძირალები არათუ ათეულობით ათას ლარს, არამედ თუნდაც ერთ თეთრს მაინც, ეს მკითხველმა თვითონ გააანალიზოს და მივიღებთ კიდეც პასუხს კითხვაზე — **ვისია დღეს ეს ქვეყანა?**

თუ ფიქრი გეზარებათ, მაშინ კიდევ ერთხელ დახედეთ სათაურს და საინტერესოა, დადგებით თუ არა ისეთივე პასუხის გაცემის ხასიათზე, როგორიც პატიმარმა ჭიჭიკო გოგოლმა გასცა პატიმარ შოშია გოგოლაძეს: „მაგათია, ბატონო, მაგათი და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ!“

**P.S. საქართველოს ხელისუფლება აპირებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მსახიობ თინა მახარაძის სწავლა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 165 ათასი დოლარით დააფინანსოს, 22 წლის ნიჭიერ ქართველ სტუდენტ გიორგი მჭედლიშვილს კი, რომლის მიერ შემუშავებულმა მომავლის თვითმფრინავის ძრავისა და ფიუზელაჟის მოდელმა აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (NASA) მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა, კოლუმბიის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლის დაფინანსება შეუწყვიტა.**

**მსგავსება წინა და მოქმედ მთავრობებს შორის სულ უფრო თვალში საცემი ხდება, მაგრამ რატომ არ ითვალისწინებენ წინამორბედთა შეცდომებს, ნამდვილად ვერ გეტყვით. იმის იმედი თუ აქვს მმართველი გუნდის წარმომადგენლებს, რომ მოსახლეობას ისევ ნაციონალების „საგმირო საქმეებს“ გაახსენებენ და ამით ქულებს დაიწერენ, ძალიან, ძალიან ცდებიან.**

ჩეჰლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოპოზიცია იმის იმედადაც არის, რომ ევროპელები ორიოდ გროშს გადმოუგდებენ რუსეთის გინებაში

**საქართველოს პარლამენტმა საშემოდგომო სესია დაიწყო, მაგრამ, როგორც წესი, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მუშაობას შეაჩერებს. შესაბამისად, ამ თვეში მხოლოდ რამდენიმე სხდომის ჩატარებას თუ მოასწრებს და იმასაც კონსტიტუციის იმ ვარიანტის განხილვას მოანდომებს, რომლის მიღებაც უკვე გადაწყვეტილია და რომლის მიხედვითაც, მმართველი გუნდის შეცვლა არჩევნების შედეგად პრაქტიკულად გამორიცხული.**

კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ გადაუნაწილებელი მანდატები, ახალი წესით, პირველ ადგილზე გასულ პარტიას ერგება და იმის გათვალისწინებით, რომ, სულ ცოტა, 2020 წლამდე მაჟორიტარული სისტემა იქნება, ადვილი გამოსაცნობია, ვინ გავა პირველ ადგილზე. და მეორეც — კონსტიტუციაში კი წერია, რომ ქვეყანა პროპორციულ არჩევნებზე 2024 წელს გადავა, მაგრამ ისიც წერია, რომ ამ გადასვლას 2020 წლის მოწვევის პარლამენტის თანხმობა უნდა, ანუ როგორც ამ მოწვევის მაჟორიტარებმა „დაუჭირეს მხარი“ მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლას, ისე „დაუჭერენ მხარს“ მომავალი პარლამენტარებიც.

„ამა წლის ივნისში ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა კონსტიტუციის პროექტი, მათ შორის, გამოცხადებული გადასვლა პარლამენტის წევრების სრულად პროპორციული სისტემით არჩევაზე. გარდა ამისა, ჩვენ მივესალმეთ საქართველოს პარლამენტის თანამშრომლობასა და ნაკისრ ვალდებულებას: არ მიეღოთ ის ცვლილებები, რომლებიც ვენეციის კომისიამ უარყოფითად შეაფასა.

შესაბამისად, პროპორციული სისტემის 2024 წლისთვის გადავადება, ასევე ის, რომ მხარეებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს, იმედგაცრუებას იწვევს. 2017 წლის 6 სექტემბრის შეხვედრა გაუქმდა. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქართულ მხარეს ეკისრება შემდგომი მოლაპარაკებების ჩატარება და ვენეციის კომისიის ჩარევა ამ პროცესში საჭირო არ არის.

ჩვენ მოკლე ვადაში საქართველოს ხელისუფლებისგან კონსტიტუციის პროექტის მიღებას მოველით და ერთ თვეში ჩვენს მოსაზრებას გამოვთქვამთ ამ საკითხზე (6-7 ოქტომბერს პლენარული სესიის ფარგლებში). იმედი გვაქვს, რომ საქართველოს პარლამენტისთვის შესაძლებელი იქნება ცვლილებების შეტანა ამ მოსაზრების თანახმად და ფართო კონსენსუსის მიღწევა კონსტრუქტიული დიალოგის მეშვეობით“, — განაცხადა ვენეციის კომისიის თავმჯდომარე **ჯანი ბუკიკიომ** და ოქტომბრამდე დაგვემშვიდობა.

**ოპოზიციის ლომები კი გამოვიდნენ ტელევიზიით და ხმაური ატეხეს, — ხომ ხედავთ, ბუკიკიომ რა თქვა: ხელისუფლება ჩიხშიაო, მაგრამ, სიმართლე რომ გითხრათ, ხელისუფლების ვერც ერთი წარმომადგენლის სახეზე ვერ ამოვიკითხე ვერც შეშფოთება, ვერც აღშფოთება, ვერც ის, რომ ისინი ჩიხში შესულად მიიჩნევენ თავს და ამით დადასტურდა, რომ მმართველ გუნდს ცალ ფეხზე ბუკიკიო და მისი განცხადება ჰკიდია, მეორეზე — მთელი ოპოზიცია.**

ამ ყველაფრის ფონზე ვილაცებმა გაბედეს და რევოლუციური სცენარი დააანონსეს. პრინციპში, რაღა ვილაცებმა: ჯერ **კახა კუკავამ** თქვა, რევოლუციისკენ მიდის ხელისუფლებაო, მერე **ნინო ბურჯანაძემ** გაიმეორა იგივე, — სხვა გზას არ გვიტოვებენო. და ბოლოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამოიღო ხმა, კანონიერ შესაძლებლობებს, რომ ხელისუფლება შევცვალოთ, უბრალოდ, აღარ გვიტოვებენო.

სიმართლე გითხრათ, **მსგავსება წინა და მოქმედ მთავრობებს შორის სულ უფრო თვალში საცემი ხდება და რატომ არ ითვალისწინებენ წინამორბედთა შეცდომებს, ნამდვილად ვერ გეტყვით. იმის იმედი თუ აქვს მმართველი გუნდის წარმომადგენლებს, რომ მოსახლეობას ისევ ნაციონალების „საგმირო საქმეებს“ გაახსენებენ და ამით ქულებს დაიწერენ, ძალიან, ძალიან ცდებიან.** ჯერ ერთი, მოსახლეობამ უკვე დაინახა, უფრო სწორად, მოისმინა, რომ ხელისუფლება მთავარი დამნაშავის დაკავებას არ აპირებს (არც პრემიერს უნდა სააკაშვილის დაკავება თურმე და არც შს მინისტრს) და მეორეც — გადახედეთ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატებს მუნიციპალიტეტებსა და დიდ ქალაქებში: მათი უმრავლესობა ყოფილი ნაციონალია და, ნაცებზე როცა აკეთებს ხელისუფლება აქცენტს, მერე უკვე მოსახლეობაც ხვდება, რომ რეალურად არაფერი შეცვლილა, ვინც იყო, ისევ ისინი არიან, უბრალოდ, სხვა სახელი ჰქვიათ და... **მერობის კანდიდატებს ვინ ჩივის, მინისტრთა კაბინეტშიც არიან ყოფილი ნაციონალები და თანაც ისეთები, მოწინავე რიგებში რომ იდგნენ და დიქტატორული სახელმწიფოს მშენებლობაში აგურს აგურზე დებდნენ.** სავარაუდოდ, სწორედ ისევ მათ მიჰყავთ ქვეყანა დიქტატისკენ, ანუ რაც არ გამოუვიდათ ნაციონალებს, ცდილობენ, „ოცნებამ“ გამოიყვანოს და სულ არ აინტერესებთ, რას იზამს ხალხი. ცხრა წელი ითმინა ამომრჩეველმა წინა ხელისუფლება, ამ ხელისუფლებას ცხრა წლის გასვლამდე გვარიანი დრო აქვს, მერე კი... მერე სხვა რამეს მოიფიქრებენ, სხვანაირად დაატრიალებენ ბორბალს... ერთმა ჩემმა მეგობარმა თქვა, ამ არჩევნებისგან ნურაფერს ელოდები, გულზე მჯიღს კი ვიცემთ, მაგრამ ბოლოს, არჩევნების დღეს, უკანალის მორიგი კოლექტიური მიცემის აქტს განვახორციელებთ და მეორე დღიდანვე ვინანებთ საკუთარ არჩევანს, რადგან სულ ასე იყო, ასე არის და ასე იქნებაო.

კოლექტიურად უკანალის მიცემის მაგალითი არაერთი ყოფილა და ვაი, რომ ამ მაგალითს ხშირად ის ოპოზიცია გვიჩვენებს, რომელმაც, წესით, ქუდზე კაცი უნდა შეკრიბოს, მაგრამ დრომ ისე მოიტანა, რომ ოპოზიციას დღეს აღარც ქუდი შერჩა და აღარც კაცები და მთავარი პრობლემა სწორედ ესაა. **დღეს არ არსებობს ძალა, რომელსაც ამომრჩეველი უკან გაჰყვება, რომლისთვისაც ერი და ბერი დაიძახებს „ჰკა მაგათ“ და... ამით არის გათამამებული ხელისუფლება, მან ზუსტად იცის, რომ კონკურენტი არ ჰყავს, ზუსტად იცის, რომ, თუ ვინმე გამოჩნდება, გამოხრულ ძვალს გადაუგდებს და აბეზარი მყეფარივით გააჩუმებს.** ეს ის მწარე რეალობაა, რომელშიც ცხოვრება გვიწევს. ოპოზიცია ქულების დაწერას იმით ცდილობს, რომ რუსეთს აგინებს, ოკუპანტს ეძახის და ამით ევროპელებისა თუ ამერიკელებისთვის თავის მოწონებას ცდილობს. იმ ევროპელებისთვის, რომლებმაც რამდენიმე დღის წინათ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველი ძიუდოისტი **ნინო ოძელაშვილი** ტურნირიდან გულსაკიდის ტარების გამო მოკვეთეს. დიახ, ნინო ნიგერიელ მეტოქეს უგებდა, შეხვედრის დასრულებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, როცა მსაჯმა ქართველი გოგონას ყელზე გულსაკიდი (სავარაუდოდ, ჯვარი) შენიშნა, მოხსნა უბრძანა და, როცა ჩვენმა ფალავანმა მოიხსნა, მსაჯმა დისკვალიფიკაცია მისცა — შეხვედრა აღარ გააგრძელებინა.

რეალობა ასეთია: ხელისუფლება იმ კონსტიტუციას, რომელიც იმაზე მეტ უფლებას აძლევს, ვიდრე ჩრდილოეთ კორეის ლიდერ **კიმ ჩენ ინს** აქვს, შემოდგომაზე დააჩაქუჩებს, ოპოზიცია ისევ ბუკიკიოს იმედზეა, იმ ბუკიკიოსი, რომელმაც გასაგებად თქვა, — ჩვენ განცხადებას გავაკეთებთ, დანარჩენი თქვენი საქმეაო. ბუკიკიოს გარდა, ოპოზიცია იმის იმედადაც არის, რომ ევროპელები ორიოდ გროშს გადმოუგდებენ რუსეთის გინებაში, წინასაარჩევნოდ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოში სამიოდე კაცს გაიყვანენ, ფრაქციებს შექმნიან და ზუსტად ისე იტივტივებენ, როგორც თურქული ვერტმფრენის მიერ გადმოსხმულ წყალში ტივტივებდა ბორჯომის ნაძვნარის ფერფლი. ბოლოს კი, თუ ხელისუფლებას გაუჭირდება, ოპოზიცია უკანალის კოლექტიურ მიცემაზე გადავა... არ მიუციათ თუ?!

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. „ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!“ ახლა სწორედ აბსოლუტური რყვნის პროცესშია ხელისუფლება.**





ჯანი ბუკიკიო

**ხელისუფლება იმ კონსტიტუციას, რომელიც იმაზე მეტ უფლებას აძლევს, ვიდრე ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინს აქვს, შემოდგომაზე დააჩაქუჩებს, ოპოზიცია ისევ ბუკიკიოს იმედზეა, იმ ბუკიკიოსი, რომელმაც გასაგებად თქვა, ჩვენ განცხადებას გავაკეთებთ, დანარჩენი თქვენი საქმეაო. ბუკიკიოს გარდა, ოპოზიცია იმის იმედადაც არის, რომ ევროპელები რუსეთის გინებისთვის ორიოდ გროშს გადმოუგდებენ, წინასაარჩევნოდ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოში სამიოდე კაცს გაიყვანენ, ფრაქციებს შექმნიან და ზუსტად ისე იტივტივებენ, როგორც თურქული ვერტმფრენის მიერ გადმოსხმულ წყალში ტივტივებდა ბორჯომის ნაძვნარის ფერფლი. ბოლოს კი, თუ ხელისუფლებას გაუჭირდება, ოპოზიცია უკანალის კოლექტიურ მიცემაზე გადავა... არ მიუციათ თუ?!**



## საპენსიო რეფორმა 2018 წლის მესამე კვარტლიდან ამოქმედდება

**პრემიერმინისტრმა მთავრობის ადმინისტრაციაში საპენსიო რეფორმისა და კაპიტალის ბაზრის რეფორმის მიმდინარეობაზე შეხვედრა გამართა.**

პრემიერმინისტრის პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრაზე ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებმა და ეროვნულმა ბანკმა წარადგინეს ანგარიში რეფორმების მიმდინარეობის შესახებ, იმსჯელეს ცალკეულ საკვანძო საკითხებსა და რეფორმის განხორციელების ვადებზე.

საპენსიო რეფორმაზე მუშაობა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და ის 2018 წლის მესამე კვარტლიდან ამოქმედდება. მანამდე მზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ინსტიტუციური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგეს აპრიორი უწოდებენ „ფაშისტს“, წინა პლანზე საომარი რიტორიკა და მეთოდები გამოდის. ამ მხრივ, საქართველოსა და აშშ-ში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, თითქმის ერთი და იგივე ხდება, მაგრამ არის მნიშვნელოვანი სხვაობაც – ძნელი წარმოსადგენია, საქართველოში მოიძებნოს ლიბერალური ორიენტაციის უფლებადამცველი ორგანიზაცია, რომელიც ისევე პრინციპულად დაიცავს იდეური ოპონენტების ინტერესებს, როგორც ამას „ამერიკის სამოქალაქო უფლებების დაცვის კავშირი“ აკეთებს.**

# აშშ: პირველი შესწორება და ბოლო ზარი

**ვირჯინიის შტატის ქალაქ შარლოტსვილში მომხდარი სისხლიანი შეტაკებების შემდეგ, სადაც ერთმანეთს სამხრეთელი გენერლის, რობერტ ლის, ძეგლის დემონტაჟის მომხრეები და მოწინააღმდეგეები დაუპირისპირდნენ, შეერთებულ შტატებში მწვავე დაპირისპირება კვლავ გრძელდება. გაუაზრებელი კომენტარი ამ თემაზე პრეზიდენტ ტრამპს საკმაოდ ძვირი დაუჯდა. შარლოტსვილის ინციდენტს დაუკავშირდა, აგრეთვე, საინტერესო დისკუსია აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორებით გარანტირებული უფლებების თაობაზე.**




**აგვისტოში ტრამპის რეიტინგი რეკორდულად დაბალ ნიშნულამდე — 34 პროცენტამდე — დაეცა. ექსპერტთა შეფასებით, მთავარი როლი ამაში «ძეგლების ომის» დროს გამოხატულმა პოზიციამ და ავღანეთში კონტიგენტის გაზრდის გადაწყვეტილებამ შეასრულა. გამორიცხული არც ისაა, რომ შარლოტსვილის მოვლენები გახდება ბოლო ზარი დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის წინ, რომელზეც მისი ოპონენტები განუწყვეტლივ საუბრობენ**

პირველი შესწორება გამორიცხავს სიტყვის, შეკრებებისა და პრესის თავისუფლების შეზღუდვას, მთავრობისადმი პეტიციებით მიმართვის აკრძალვას, აგრეთვე, ხელისუფლების მიერ რომელიმე რელიგიის მხარდაჭერასა და სახელმწიფო რელიგიის გამოცხადებას. ბოლო დროს ის აქტუალური იმიტომ გახდა, რომ შარლოტსვილის ინციდენტის შემდეგ, როდესაც ძეგლის ერთ-ერთი დამცველი მოწინააღმდეგეების რიგებში ავტომანქანით შეიჭრა, არაერთმა ლიბერალმა და მემარცხენე ავტორმა მოუწოდა ხელისუფლებას ულტრამემარჯვენეების დემონსტრაციების ჩატარების უფლების შეზღუდვისკენ. ისინი მიუთითებენ ევროპულ გამოცდილებაზე, რომ გარკვეული შეხედულებების დეკლარირება, მაგალითად, ჰოლოკოსტის უარყოფა, დასჯადია. ისინი ხშირად ადარებენ ერთმანეთს ნაცისტებისა და თანამედროვე ამერიკელი რასისტების ლოზუნგებს; საუბრობენ იმაზე, რომ სამოქალაქო ომის დროინდელი სამხრეთული სიმბოლიკა, უპირველესად კი — კონფედერაციის დროშა, ნაცისტურთან უნდა გათანაბრდეს და ა.შ.

აქ მნიშვნელოვანია ამერიკისა და კონტინენტური ევროპის სამართლებრივ სისტემებს შორის სხვაობის გამოკვეთა. ევროპაში მსგავსი აკრძალვები ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს, ხოლო აშშ-ში, სადაც სამართალი პრეცედენტულია, სასამართლომ ყოველი ახალი სადავო ეპიზოდი ცალკე უნდა განიხილოს და მხედველობაში მიიღოს სხვა, მსგავს შემთხვევებში გამოტანილი გადაწყვეტილებები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლემ არ შეიძლება საპირისპირო ვერდიქტი გამოიტანოს.

დღევანდელი სიტუაციის შეფასებისას მნიშვნელოვანია 1977 წლის პრეცედენტის გახსენება. მაშინ ნეონაცისტურმა ,ამერიკის ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ მარშის ჩაატრება ჩიკაგოს გარეუბან სკოკიში დააპირა, სადაც არაერთი ჰოლოკოსტს გადარჩენილი ებრაელი ცხოვრობდა. ილინოისის საოლქო სასამართლომ დემონსტრაციის დროს ნაცისტური უნიფორმისა და სვასტიკის გამოყენება აკრძალა, მაგრამ ნეონაცისტებს დამცველები გამოუჩნდნენ: „ამერიკის სამოქალაქო უფლებების დაცვის კავშირმა“ საჩივარი ჯერ სააპელაციო ინსტანციებში შეიტანა, შემდგომ კი — უზენაეს სასამართლოში. ამ უკანასკნელმა კი დაასკვნა, რომ ნეონაცისტებს დაუყოვნებლივი აპელაციის უფლება შეუზღუდეს და საქმე ილინოისში დააბრუნა, სადაც სააპელაციო სასამართლომ შეზღუდვა ყველა სიმბოლოზე მოხსნა, სვასტიკის გარდა. მოგვიანებით, შტატის უზენაესმა სასამართლომ შეზღუდვა სვასტიკაზეც გააუქმა, რადგან მიიჩნია, რომ მისი გამოყენების აკრძალვა პირველი შესწორებით გარანტირებულ უფლებებს არღვევს.

ყველაზე საინტერესო და პარადოქსული ამ სიტუაციაში ისაა, რომ „ამერიკის სამოქალაქო უფლებების დაცვის კავშირი“ არასდროს გამოირჩეოდა ნეონაცისტების მიმართ სიმპათიით, მისი წევრების უმრავლესობა მემარცხენე და ლიბერალი გახლდათ. ამ ეპიზოდს ორგანიზაციაში დიდი დაპირისპირება მოჰყვა, ის წევრთა 15%-მა დატოვა. მისი ხელმძღვანელი იმ პერიოდში **არიე ნეიერი** გახლდათ. ის 1937 წელს ბერლინში, ებრაელთა ოჯახში დაიბადა, 1939 წელს კი ნაცისტური გერმანიიდან ინგლისში გაიქცა. მიუხედავად ამისა, 1977-ში ნეიერი თავდაუზოგავად იბრძოდა ნეონაცისტების უფლებების დასაცავად, 1979-ში კი გამოსცა წიგნი „როგორ ვიცავდი ჩემს მტრებს“. ავტორი შეეცადა, აეხსნა, რომ პირველი შესწორების ერთგულება ნაციზმის გავრცელების საუკეთესო პრევენციაა.

განხილულ კონტექსტში, აგრეთვე, მნიშვნელოვანია საქმე „კოქსი ლუიზიანას შტატის წინააღმდეგ“. უზენაესმა სასამართლომ მაშინ დაადგინა, რომ ხელისუფლებას არ შეუძლია მიმართოს კანონით გათვალისწინებულ საგანგებო ზომებს, მაშინაც კი, თუ დემონსტრაციას პოტენციურად საშიშად მიიჩნევს, ვიდრე კანონდარღვევა არ მოხდება. ამასთანავე, მან გამოაქვეყნდა ვრცელი დასკვნა იმის თაობაზე, რა შეიძლება განიხილებოდეს პირველი შესწორების შეზღუდვად დემონსტრაციის ორგანიზების პროცესში (მოძრაობის გადაკეტვის პრობლემა და სხვ.). თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ამ პრეცედენტების არსებობა არ ნიშნავს, რომ დღევანდელ სიტუაციაში რომელიმე შტატის (ან უზენაესი) სასამართლო იდენტურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

1920 წელს დაარსებული აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული უფლებადამცველი ორგანიზაცია **„ამერიკის სამოქალაქო უფლებების დაცვის კავშირი“** დღესაც ულტრამემარჯვენეების უფლებებს იცავს და ამის გამო მას ისევ მწვავედ აკრიტიკებენ, თუმცა პრობლემა ერთი ორგანიზაციის პოზიციაზე გაცილებით მნიშვნელოვან საკითხებს ეხება.

დიდი ხანია, მემარჯვენეები ჩივიან, რომ მასმედიის წამყვანი საშუალებები ლიბერალების ხელშია და ამის გამო კონსერვატიული ამერიკის ხმა ძალიან ცუდად ისმის. ისინი ოპონენტებს „ლიბერალურ დიქტატში“, განსხვავებული აზრის ჩახშობაში ადანაშაულებენ, მითუმეტეს, რომ ლიბერალი ავტორები ბოლო დროს სულ უფრო ხშირად მოუწოდებენ ხელისუფლებას, მათ ოპონენტებს დემონსტრაციების ჩატარებისა და (მათი აზრით) ექსტრემისტული სიმბოლიკის გამოყენების უფლება შეუზღუდონ.





რაღაც მსგავსი ახლახან თბილისშიც ვიხილეთ: „ქართველთა მარშის“ წინ ლიბერალური ჯგუფები ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ ხელისუფლება, რომ ოპონენტების წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომები უნდა მიეღო. ისინი სწორედ „პოტენციურ საშიშროებაზე“ მიუთითებდნენ, მოითხოვდნენ საგანგებო პოლიციური ზომების გატარებას და აქციის ადგილის შეცვლასაც კი. მათი კომენტარებისა და კონტრაქციების ზოგადი სულისკვეთება მიუთითებდა იმაზე, რომ მათ სურთ არა იმდენად დისკუსიის გამართვა, რამდენადაც ოპონენტების გაჩუმება და მათი ამოშანთვა საინფორმაციო სივრციდან. **ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგეს აპრიორი უწოდებენ „ფაშისტს“, წინა პლანზე საომარი რიტორიკა და მეთოდები გამოდის. ამ მხრივ, საქართველოსა და აშშ-ში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, თითქმის ერთი და იგივე ხდება, მაგრამ არის მნიშვნელოვანი სხვაობაც — ძნელი წარმოსადგენია, საქართველოში მოიძებნოს ლიბერალური ორიენტაციის უფლებადამცველი ორგანიზაცია, რომელიც ისევე პრინციპულად დაიცავს იდეური ოპონენტების ინტერესებს, როგორც ამას „ამერიკის სამოქალაქო უფლებების დაცვის კავშირი“ აკეთებს.**

დღეს დონალდ ტრამპს მწვავედ აკრიტიკებენ იმის გამო, რომ შარლოტსვილში მომხდარი შეტაკებების შემდეგ პასუხისმგებლობა ორივე მხარეს დააკისრა, ნამდვილი ქარიშხალი კი პრეზიდენტის შემდეგ ფრაზას მოჰყვა: „ამ ჯგუფში იყო რამდენიმე ძალიან ცუდი ადამიანი. მაგრამ ორივე მხარეს იყვენენ ძალიან კარგი ადამიანებიც“. ლიბერალები პრეზიდენტისგან მკაფიო შეფასებასა და ულტრამემარჯვენეების დადანაშაულებას მოითხოვდნენ. უკმაყოფილება როგორც დემოკრატიული, ისე რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებმა გამოხატეს. არაერთმა ბიზნესმენმა დატოვა ტრამპის მიერ დაარსებული საკონსულტაციო საბჭოები და პრეზიდენტი იძულებული გახდა, ისინი გაეუქმებინა. შარლოტსვილის მოვლენები გახდა „ბოლო წვეთი“ ტრამპის და მისი ყოფილი მთავარი მრჩევლის, სტივ ბენონის, ურთიერთობის გასაწყვეტად (თუმცა ბენონის გადადგომას სხვა მიზეზებიც ჰქონდა). და ბოლოს, 27 აგვისტოს, ტელეკომპანია „ფოქს ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა უპრეცედენტო განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ შარლოტსვილზე საუბრისას „ტრამპი საკუთარ პოზიციას აფიქსირებს“. სახელმწიფო მდივნის პრეზიდენტისგან ასეთ დისტანცირებას აშშ-ის უახლეს ისტორიაში ანალოგი არ აქვს. ტრამპის განცხადება უცხო ქვეყნებშიც დაგმეს. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმა განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა „უდიდესი შეცდომა დაუშვა“.

**„ვაშინგტონ პოსტისა“ და „ეი-ბი-სის“ გამოკითხვის თანახმად, ამერიკელების 56% უკმაყოფილოა შარლოტსვილის მოვლენებზე ტრამპის რეაქციით, 28% კი — კმაყოფილი. პრეზიდენტის მომხრეები თვლიან, რომ მსგავსი გამოკითხვები მის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ნაწილია. თითქმის ყველა ექსპერტი მიიჩნევს, რომ განხეთქილება ამერიკელ საზოგადოებაში იზრდება, ასეთი მწვავე დაპირისპირება შტატებში ვიეტნამის ომისა და უოტერგეიტის სკანდალის შემდეგ არ ყოფილა.**

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კონტექსტში, ალბათ, იმ ადამიანების დემონიზაციაა, რომლებიც კონფედერატების ძეგლების განადგურებას არ ემხრობიან და ზომიერ კონსერვატიულ პოზიციებზე დგანან, რადგან მათ რადიკალ რასისტებთან და ნეონაცისტებთან ათანაბრებენ. თუ ტრამპი მათ წინააღმდეგ წავა, როგორც ამას ლიბერალური საზოგადოება მოითხოვს, მომავალ არჩევნებზე, დიდი ალბათობით, აღმოაჩენს, რომ მისი კონსერვატორი მხარდამჭერების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, და არჩევნებსაც წააგებს; მაგრამ ისიც **აშკარაა, რომ ორ სკამზე ჯდომის სურვილმა პრეზიდენტი საშინელ სკანდალამდე მიიყვანა და ეს რეიტინგის ვარდნის ფასად დაუჯდა**.

დონალდ ტრაპს ინაუგურაციიდან დღემდე არაერთგზის მიეცა შესაძლებლობა, პრინციპული პოზიცია გამოეხატა, მაგრამ ყოველთვის საპირისპიროს აკეთებდა — მის სკანდალურ სტატუსებს „ტვიტერში“ მუდამ მოჰყვებოდა შემარბილებელი „დაზუსტებები“ მომდევნო განცხადებებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თანმდევ კომენტარებში. ასე მოხდა შარლოტსვილის შემთხვევაშიც. ნაკლებად სავარაუდოა, ასეთმა ტაქტიკამ კონსერვატორების, და მითუმეტეს ლიბერალების, დამატებითი მხარდაჭერა მოუტანოს, უფრო პირიქით, — **აგვისტოში ტრამპის რეიტინგი რეკორდულად დაბალ ნიშნულამდე — 34 პროცენტამდე — დაეცა**. ექსპერტთა შეფასებით, მთავარი როლი ამაში „ძეგლების ომის“ დროს გამოხატულმა პოზიციამ და ავღანეთში კონტიგენტის გაზრდის გადაწყვეტილებამ შეასრულა. გამორიცხული არც ისაა, რომ შარლოტსვილის მოვლენები გახდება ბოლო ზარი დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის წინ, რომელზეც მისი ოპონენტები განუწყვეტლივ საუბრობენ.

**ლუკა ნემსაძე**

**„გაერთიანების საქმიანობა აგებულია თანასწორობის, პატივისცემისა და კონსენსუსის პრინციპებზე. ბრიქსში არავის ახვევენ თავს თავის თვალსაზრისს. როდესაც მიდგომები არ ემთხვევა, მოთმინებით იწყება გულმოდგინე მუშაობა მათ დასაახლოებლად. ასეთი ღია, ნდობით გაჟღენთილი ატმოსფერო ხელს უწყობს დასახული ამოცანების წარმატებით რეალიზაციას“.**

სამიტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ბრიქსი — სტრატეგიული პარტნიორობის ახალი ჰორიზონტებისკენ»

**4-5 სექტემბერს ჩინეთის ქალაქ სიამენში ბრიქსის (ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 2006 წელს და რომელშიც გაერთიანებულია 5 სახელმწიფო: ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკა) მორიგი, მე-9 სამიტი გაიმართა. სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე კი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გამოაქვეყნა საპროგრამო სტატია „ბრიქსი — სტრატეგიული პარტნიორობის ახალი ჰორიზონტებისკენ“, რომლის თარგმანსაც გთავაზობთ. სწორედ ამ საპროგრამო სტატიაში აღნიშნულ პრიორიტეტულ საკითხებზე იმსჯელეს სამიტის მონაწილეებმა სიამენში.**

„საჭიროდ მიმაჩნია, წარმოგიდგინოთ რუსეთის მიდგომები ამ დიდ და ავტორიტეტულ გაერთიანებაში თანამშრომლობის მიმართ, გაგიზიაროთ თვალსაზრისი სამომავლო ურთიერთქმედების პერსპექტივაზე.

უნდა აღვნიშნო მიმდინარე წელს ჩინეთის, როგორც ბრიქსის თავმჯდომარე ქვეყნის, ეფექტიანი მუშაობა, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა, სერიოზული წინსვლა გვქონოდა პარტნიორობის ყველა საკვანძო მიმართულებით — პოლიტიკური, ეკონომიკური ჰუმანიტარული. დავძენ, რომ ხუთეულმა შესამჩნევლად განიმტკიცა პოზიციები მსოფლიოში.

მნიშვნელოვანა, რომ **ჩვენი გაერთიანების მოღვაწეობა აგებულია თანასწორობის, პატივისცემისა და კონსენსუსის პრინციპებზე. ბრიქსში არავის ახვევენ თავს თავის თვალსაზრისს. როდესაც მიდგომები არ ემთხვევა, იწყება გულმოდგინე მუშაობა მათ დასაახლოებლად.**

ასეთი ღია, ნდობით გაჟღენთილი ატმოსფერო ხელს უწყობს დასახული ამოცანების წარმატებით რეალიზაციას. რუსეთი დიდად აფასებს „ხუთეულის“ ფორმატით გათვალისწინებულ მრავალ ურთიერთქმედებას. **საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნების კონსტრუქციული თანამშრომლობა მიმართულია მსოფლიოს სამართლიანი და მრავალპოლუსიანი მოწყობისკენ, ყველა ქვეყნისთვის განვითარების ერთნაირი შესაძლებლობების შექმნისკენ.**

რუსეთი მხარს უჭერს ბრიქსის სახელმწიფოების უფრო მჭიდრო კოორდინაციას, უწინარესად, გაეროსა და „ოციანთა ჯგუფში“, აგრეთვე, სხვა საერთაშორისო სტრუქტურებში. აშკარაა, რომ **მხოლოდ ყველა ქვეყნის ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება პლანეტაზე სტაბილურობის უზრუნველყოფა, მწვავე კონფლიქტების, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთის, მოგვარების გზების პოვნა.**

აღვნიშნავ, რომ **რუსეთისა და სხვა დაინტერესებული ქვეყნების ბოლოდროინდელი მოქმედებების წყალობით სირიაში ვითარების გაუმჯობესების წინაპირობები გაჩნდა. ტერორისტებმა მძლავრი დარტყმა იგემეს, შეიქმნა პირობები ვითარების პოლიტიკური დარეგულირების პროცესის დასაწყებად და სირიელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრებისკენ დასაბრუნებლად.** ამასთანავე, სირიასა და სხვა ქვეყნებსა თუ რეგიონებში ტერორისტებთან ბრძოლა უნდა გაგრძელდეს. რუსეთი მოუწოდებს, არა სიტყვით, არამედ საქმით განმტკიცდეს **ფართო ანტიტერორისტული ფრონტის** ჩამოყალიბება აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ საფუძველზე, სადაც ცენტრალური როლის შესრულება გაეროს დაეკისრება და ამ მხრივ, ჩვენ, ბუნებრივია, ვუფრთხილდებით ჩვენი ბრიქსელი პარტნიორების მხარდაჭერასა და თანადგომას.

უყურადღებოდ ვერ დავტოვებ კორეის ნახევარკუნძულზე შექმნილ ვითარებას, რომელიც ბოლო პერიოდში გამწვავდა და მასშტაბური კონფლიქტის ზღვარზეა. რუსეთის აზრით, **გათვლა იმაზე, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სარაკეტო-ბირთვული პროგრამის შეჩერება მხოლოდ ფხენიანზე წნეხის გაძლიერებით შეიძლება, მცდარი და უპერსპექტივოა.**

**რეგიონის პრობლემა ყველა დაინტერესებული მხარის პირდაპირი დიალოგის გზით უნდა გადაწყდეს, წინაპირობების წამოუყენებლად. პროვოკაციები, ზემოქმედება, საომარი და შეურაცხმყოფელი რიტორიკა — ეს არის გზა არსაით.**

ჩინელ კოლეგებთან ერთად ჩვენ შევიმუშავეთ კორეის ნახევარკუნძულის პრობლემის მოგვარების „საგზაო რუკა“, რომელიც ითვალისწინებს დაძაბულობის ეტაპობრივად შემცირებას, მშვიდობისა და უსაფრთხოების მექანიზმის შექმნას.

რუსეთი გამოდის გლობალური საინფორმაციო უსაფრთხოების სფეროში ბრიქსის ქვეყნების ურთიერთქმედების გაფართოების იდეით. გვსურს, ერთობლივად ჩამოვაყალიბოთ თანამშრომლობის შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა, პერსპექტივაში კი შევიმუშაოთ და მივიღოთ უნივერსალური წესები ამ სფეროში სახელმწიფოების საპასუხისმგებლო ქცევებზე. **მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ბრიქსის ქვეყნების მთავრობათაშორისი შეთანხმება საერთაშორისო საინფორმაციო უსაფრთხოების შესახებ.**

შეგახსენებთ, რომ 2015 წელს უფაში გამართულ სამიტზე, რუსეთის ინიციატივით, მიღებული იქნა და წარმატებით რეალიზდება ბრიქსის ეკონომიკური პარტნიორობის სტრატეგია. იმედია, თანამშრომლობის ახალ მასშტაბურ ამოცანებზე ვიმსჯელებთ ვაჭრობის, ინვესტიციების, საწარმოო კოოპერაციების სფეროებში.



> **«უკვე მოწონებულია 1,5 მლრდ დოლარის 7 საინვესტიციო პროექტი ბრიქსის ქვეყნებში. მიმდინარე წელს მოსალოდნელია 2,5-3 მლრდ დოლარის ღირებულების საინვესტიციო პროექტების დამტკიცება. მათი რეალიზაცია ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ეკონომიკის ზრდას, არამედ ჩვენი ქვეყნების ინტეგრაციასაც»**




ჩვენი ქვეყანა „ხუთეულის ფორმატში“ **ეკონომიკური** თანამშრომლობის გაღრმავებითაა დაინტერესებული. უწინარესად, აღვნიშნავ განვითარების ახალი ბანკის საოპერაციო მოღვაწეობის დაწყებას. **უკვე მოწონებულია 1,5 მლრდ დოლარის 7 საინვესტიციო პროექტი ბრიქსის ქვეყნებში. მიმდინარე წელს მოსალოდნელია 2,5-3 მლრდ დოლარის ღირებულების საინვესტიციო პროექტების დამტკიცება. მათი რეალიზაცია ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ეკონომიკის ზრდას, არამედ ჩვენი ქვეყნების ინტეგრაციასაც.**

რუსეთი იზიარებს ბრიქსის ქვეყნების შეშფოთებას თანამედროვე გლობალური საფინანსო-ეკონომიური არქიტექტურის გამო, რომელიც არ ითვალისწინებს განვითარებული ქვეყნების მზარდ ეკონომიკურ წონას.

პარტნიორებთან ერთად, **მზად ვართ, განვახორციელოთ რეფორმები საერთაშორისო საფინანსო რეგულირების სფეროში; ერთობლივად ვიმოქმედოთ შეზღუდული რაოდენობის სარეზერვო ვალუტების მეტისმეტი დომინირების დასაძლევად; მივაღწიოთ კვოტებისა და ხმების დაბალანსებულ განაწილებას საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში.**

დარწმუნებული ვარ, რომ ბრიქსის ქვეყნები მომავალშიც ერთობლივად გამოვლენ პროტექციონიზმისა და ახალი ბარიერების შექმნის წინააღმდეგ **ვაჭრობაში.** ვუფრთხილდებით „ხუთეულში“ შექმნილ კონსესუსს ამ საკითხზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს, თანმიმდევრულად დავიცვათ ღია, სამართლიანი და ურთიერთსასარგებლო ვაჭრობის სისტემის საფუძვლები, განვამტკიცოთ საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის საკვანძო რეგულატორის, როლი. ჯანსაღი კონკურენციის წასახალისებლად ეფექტიანი მექანიზმების შექმნას ემსახურება რუსეთის ინიციატივა ბრიქსის ქვეყნების **ანტიმონოპოლიური სამსახურების** თანამშრომლობის განვითარების ხაზით. საუბარია თანამშრომლობაზე იმ ზომების შესამუშავებლად, რომლებიც შეზღუდავს დიდი ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიან პრაქტიკას და იმოქმედებს კონკურენციის წესების დარღვევის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია რუსეთის წინადადება ბრიქსის **ენერგეტიკული საგამოძიებო პლატფორმის** შესახებ. ჩვენი აზრით, ეს შესაძლებლობას მოგვცემს, მოგვარდეს საინფორმაციო-ანალიტიკური და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა ბრიქსის ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით. პერსპექტივაში კი ხელს შეუწყობს ერთობლივი საინვესტიციო ენერგოპროექტების რეალიზაციას.

აქტუალური ამოცანაა ბრიქსის ქვეყნების თანამშრომლობა **მცირე და საშუალო მეწარმეობის** სფეროში. ჩვენი აზრით, აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის ნაციონალური ინტერნეტრესურსების ინტეგრირება, რომელზეც განთავსდება მისამართები და კომერციული ინფორმაცია, გაიცვლება მონაცემები საიმედო პარტნიორების შესახებ.

რუსეთი მხარს უჭერს სახელმწიფოებრივ-კერძო დიალოგის **„ქალები და ეკონომიკა“** ჩამოყალიბებას. საუბარია დისკუსიების მუდმივ რეჟიმში გადაყვანაზე ბრიქსის ქვეყნების საქმიანი წრეების ექსპერტების, ქალთა ასოციაციების, აგრეთვე, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა შორის. ასეთი დიალოგი პირველად 2017 წლის 3 ივლისს ნოვოსიბირსკში გაიმართა ბრიქსისა და თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის (ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და უზბეკეთი — რედ.) ქალთა საერთაშორისო კონგრესზე.

მიმდინარეობს მუშაობა ბრიქსის ქალთა საქმიანი კლუბის შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მეწარმე ქალების ურთიერთობას სპეციალიზებული ელექტრონული საინფორმაციო რესურსის გამოყენებით.

**თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებად განვიხილავთ ერთობლივ მუშაობას მეცნიერების, ტექნიკის, ინოვაციების, სამედიცინო სფეროებში. აქ ჩვენს სახელმწიფოებს დიდი პოტენციალი აქვთ განვითარებული სამეცნიერო ბაზის, უნიკალური ტექნიკური საშუალებების, კვალიფიციური სპეციალისტებისა და პროდუქციის უზარმაზარი ბაზრის სახით.**

პარტნიორებთან ერთად, უნდა ვიმსჯელოთ ინფექციური დაავადებების საფრთხის შემცირების, ეპიდემიების პროფილაქტიკისა და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი პრეპარატების შექმნის საკითხებზე.

პერსპექტიული ჩანს ურთიერთქმედება **ჰუმანიტარულ სფეროში.** კულტურის სფეროში ბრიქსის ქვეყნების მთავრობებს შორის შეთანხმების სარეალიზაციოდ ველოდებით პარტნიორთა ახალგაზრდა შემსრულებლების მონაწილეობას პოპულარული მუსიკის საერთაშორისო კონკურსებში „ახალი ტალღა“ და „საბავშვო ახალი ტალღა“; გვაქვს ინიციატივა „ხუთეულის“ ქვეყნებისთვის საერთო ტელეარხის შექმნის შესახებ.

რუსეთს სურს ბრიქსში თანამშრომლობის გაღრმავება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში. კოლეგებთან ერთად, მზად ვართ, მომავალშიც შევუწყოთ ხელი დემოკრატიზაციასა და ჯანსაღ წამოწყებებს საერთაშორისო სამართლის საფუძვლებზე. დარწმუნებული ვარ, სიამენის სამიტი სტიმულს მისცემს ჩვენს ქვეყნებს, მოძებნოს პასუხები XXI საუკუნის გამოწვევებზე და „ხუთეულის“ ქვეყნების ურთიერთქმედებას ხარისხობრივად ახალ დონეზე აიყვანს“.

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვისაც ისტორიული მეხსიერების ყურთასმენა დახშული არ აქვს, დღესაც ესმის განწირული წივილ-კივილი ულამაზესი ქართველი გოგო-ბიჭებისა, რომლებსაც თურქი იანიჩარები სამი საუკუნის განმავლობაში სტამბოლის მონათა ბაზრისკენ მიერეკებოდნენ. ისტორიკოსთა ბოლოდროინდელი კვლევების შედეგების მიხედვით, სამი საუკუნის განმავლობაში ბრძოლის ველზე იმდენი ქართველი არ დაცემულა, რამდენიც სტამბოლის მონათა ბაზარზე გაიყიდა. ჰოდა, თუნდაც მხოლოდ ამიტომ ვერ დავსვამ ტოლობის ნიშანს თანამედროვე თურქეთსა და რუსეთს შორის.

# მე შაირი არ მინდოდა...

**წინამდებარე სტატიის დაწერამდე გულდასმით გადავიკითხე „საქართველო და მსოფლიოს“ ამა წლის 28-ე ნომერში გამოქვეყნებული ჩემი წერილი „ჩვენ სიყვარულით დიდ თვალებში ვუყურებთ ლენინს“, რომელმაც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ეფექტი იქონია ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილზე. გადავიკითხე, რადგან მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რაიმე პირადული ან ტექნიკური უზუსტობა ხომ არ გამეპარა-მეთქი და არცთუ ტყუილად.**



რეზო ამაშუკელი

**ჩემი დემარშით შეკრება, პრაქტიკულად, ჩაიშალა და, თუ პანღურზეა ლაპარაკი, სწორედ ეს დემარში იყო ფიგურალური პანღურიცა და ქიტლაყიც დიდი პოეტისა და შპს «ლაზარეს» დირექტორ რეზო ამაშუკელისთვის, ჩემგან ამოკრული!**

გამახარა სტატიის ინტერნეტვერსიაზე ე.წ. ლაიკების სიმრავლემ (ათასამდე) და გამიკვირდა, რომ უამრავ კომენტარში, არც ერთი არ არის ჩემი საწინააღმდეგო. პირიქით, მადლობას მეუბნებიან სიმართლის თქმისთვის და შემდგომაც ასე გაგრძელებას მთხოვენ. მკითხველის ასეთი დამოკიდებულება ჩემთვის ყველაზე დიდი „ჰონორარი“ და სტიმულია მომავალშიც საშიშზე უშიშრად წერისა...

თუმცა ერთი ლაფსუსი მაინც ვიპოვე: „ცოცხალთა შორის ერთადერთი დიდი პოეტი“, — ასე მიწერია ერთ ადგილას ბატონ **რეზო ამაშუკელზე.** არადა, უნდა იყოს „ერთ-ერთი“. ღმერთმა დაიფაროს ქართული მწერლობა, რომ მხოლოდ ერთი დიდი პოეტის იმედად იყოს. ეს ერთი და მეორე — შეიძლება ეს ტექნიკური ლაფსუსი (რომელიც შეიძლება ჩემგან რეზო ამაშუკელისადმი ლიქნად აღიქვა მავანმა) შეიქნა ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მიზეზ-საბაბი იმისა, რომ **თაკო ჩარკვიანმა** ჩემი წერილი ამაშუკელის დაკვეთად აღიქვა და, ალბათ, არა მხოლოდ მან.

ღმერთია მოწამე, რომ ამ თემაზე აღარ ვაპირებდი არაფრის თქმას, მაგრამ ამ წერილის დაწერა მაიძულა ჟურნალ „სარკეში“ (16-22 აგვისტო) ერთდროულად გამოქვეყნებულმა სამმა ინტერვიუმ — ქალბატონ თაკო ჩარკვიანთან, ბატონ რეზო ამაშუკელთან და ჩემთან. უფრო ზუსტად, რეზო ამაშუკელის მიერ ნათქვამმა ტყუილმა, რომ მან ორი წლის წინათ რუსთაველის თეატრში გამართული „ლაზარეს“ შეკრებიდან გამაპანღურა... არ ვაპირებდი ჩარკვიანების ხსენებას, მაგრამ, რადგან სიტყვამ მოიტანა, ქალბატონი თაკო ჩარკვიანის ინტერვიუს მხოლოდ დასაწყისს შევეხები.

ციტატა: **„გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა უბინძურესი წერილი, რომელსაც ვიღაც დ. მხეიძე აწერს ხელს. აზრზე არა ვარ, ვინ არის, ასეთს არავის ვიცნობ“...**

კაცი რომ იყოს, ვეტყოდი: — მაშ, მტყუვნის?.. მაგრამ, რადგან მანდილოსანია, მორიდებით შევკადრებ, რომ ცრუობს. ქალბატონ თაკოს ან ნაადრევად შეჰყრია ამნეზია, ან მის უკეთილშობილესობას „ვიღაც (ბოგანო-უგვარო) დ. მხეიძესთან“ ნაცნობობა ეთაკილება. ამიტომ შევახსენებ ქალბატონ პუბლიცისტს, რომ მე ის „დ. მხეიძე“ ვარ, რომელიც ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანის თხოვნით (იმხანად გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვაქვეყნებდი წერილებს), — ე, ბიჭო, ჩემთანაც მოიტანე რამეო, თქვენს ახალფეხადგმულ გაზეთ „ქართულ სიტყვაში“ 2-3 თვის განმავლობაში ვწერდი და არაერთხელ განგვიხილია „ვიღაც დ. მხეიძესა“ და ქალბატონ თაკოს ჩემი მასალის ავ-კარგი.

ქალბატონი თაკოსთვის აბზაც-აბზაც პასუხის გაცემას არ ვაპირებ. მხოლოდ ერთი რემარკა იმ ინტერვიუში მიმობნეულ მრავალ სიცრუეთაგან ერთ-ერთზე, რომლითაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს ქალბატონი: **„ფაქტი თქვა ადამიანმა, ჩემი სამშობლო ოკუპირებულიაო და ამის გამო შეიძლება ასეთი რამ გააკეთო?!“**

ოკუპირებული რომ არის ჩვენი სამშობლო, 9 წელიწადია, ვიცით და, დეოკუპაციისთვის ოკუპანტის ყვირილისა და მცოცავი ოკუპაციის ზონაში უაზრო „საპროტესტო გასვლების“ გარდა, რომ არაფერი გაუკეთებია ხელისუფლებასა თუ ოპოზიციად წოდებულ ნაცბანდას, ესეც ცხადია. **„ასეთი რამ“ იმიტომ კი არ გავაკეთე, რომ ვიღაცამ თქვა, ჩემი სამშობლო ოკუპირებულიაო, არამედ იმიტომ, რომ ბატონმა ჯანსუღმა, ნებისით თუ უნებლიეთ, „მუსულმანრუსულმანობის“ აშკარად უადგილო ფუნაგორიით ტოლობის ნიშანი დასვა არაბებს, თურქ-სელჩუკებს, სპარსელებს, ოსმალებს, სხვა მომხვდურსა და რუსებს შორის, რაც ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქართველისთვის მიუღებელია თუნდაც მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ რუსეთი, ჩამოთვლილ მტერთაგან განსხვავებით, ერთმორწმუნე იყო** და, შესაბამისად, ქართველებმა სარწმუნოება შევინარჩუნეთ, რაც ქართული უნიკალური თვითმყოფადობის, მრავალსაუკუნოვანი კულტურის შენარჩუნების ტოლფასი იყო, რადგან ქართველი ერის გენეტიკურ კოდში საუკუნეების განმავლობაში ჩადუღაბდა: მართლმადიდებლობა ქართველობას ნიშნავდა და პირიქით, ქართველობა — მართლმადიდებლობას.

მით უმეტეს — რუსეთის კულტურულ წრეებშიც კარგად ცნობილი ქართველი პოეტისაგან ნათქვამი ამგვარი ფუნაგორია მოცემულ დროსა და სივრცეში იმ სამშობლოსთვის, რომელიც ოკუპირებულია, მხოლოდ ზიანის მომტანია.

რუსეთი ოკუპანტია და თურქეთი მეგობარი?

**ვისაც ისტორიული მეხსიერების ყურთასმენა დახშული არ აქვს, დღესაც ესმის განწირული წივილ-კივილი ულამაზესი ქართველი გოგო-ბიჭებისა, რომლებსაც თურქი იანიჩარები სამი საუკუნის განმავლობაში სტამბოლის მონათა ბაზრისკენ მიერეკებოდნენ. ისტორიკოსთა ბოლოდროინდელი კვლევების შედეგების მიხედვით, სამი საუკუნის განმავლობაში ბრძოლის ველზე იმდენი ქართველი არ დაცემულა, რამდენიც სტამბოლის მონათა ბაზარზე გაიყიდა. ჰოდა, თუნდაც მხოლოდ ამიტომ ვერ დავსვამ ტოლობის ნიშანს თანამედროვე თურქეთსა და რუსეთს შორის.**

მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნე, წინამდებარე წერილის დაწერა ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ ინტერვიუში ნათქვამმა ტყუილმა განაპირობა და, თუ სხვა თემებზეც მომიწევს საუბარი, პოეტის ტყუილებიდან გამომდინარე...

მას შემდეგ, რაც „სარკის“ ჟურნალისტთან საუბრისას კატეგორიულად გამოვრიცხე ბატონი რეზო ამაშუკელის რაიმე კავშირი ბატონი ჯანსუღისადმი ჩემ მიერ მიძღვნილ „პასკვილთან“, იმავე ჟურნალისტის კითხვას ერთ-ერთმა დიდმა პოეტმა უპასუხა:

**„დავით მხეიძე, სცენაზე რომ ამომივარდა, პანღურით გავაგდე. მესამე წელია, მასთან არავითარი ურთიერთობა არ მაქვს და არც მექნება. კაცი რომ ერთხელ მიღალატებს, მასთან ურთიერთობას ვეღარ შევძლებ. ახლა კი ცდილობს რაღაცას, მაგრამ გამორიცხულია ეს ურთიერთობა“...**

და ამიტომ სტატიის მომდევნო ნაწილს შეიძლება ვუწოდოთ ღია წერილი ბატონ რეზო ამაშუკელს!

რეზო ამაშუკელის ინტერვიუთი აღშფოთებულმა სოციალურ ქსელში გამოვაქვეყნე განცხადება: ისეთ პასუხს მიიღებ, კბილებში ოფლი გდიოდეს და ოთახში მეხუთე კუთხეს ეძებდე-მეთქი! ამიტომ, აბზაც-აბზაც კი არა, სულ ასო-ასო უნდა გავცე პასუხი მხცოვან პოეტსა და მის ქალიშვილს, ქალბატონ ბაია ამაშუკელს, რომელიც ტოლს არ უდებს მამას სიცრუეში.

სოციალურ ქსელში მეგობრებს ვთხოვე, თუ ვინმე იყავით „ლაზარეს“ იმ შეკრებაზე, გამომეხმაურეთ — იქნებ მართლა ამომკრა პანღური ბატონმა რეზომ და არ მახსოვს-მეთქი?! გამომეხმაურნენ და, რაც დამიდასტურეს, ქვევით მოგახსენებთ, მანამდე კი ბატონი რეზოსთვის პასუხის გაცემას ინტერვიუს ბოლოდან დავიწყებ.

რას გულისხმობთ, ბატონო რეზო, როდესაც ჩემზე ამბობთ: **„ახლა კი ცდილობს რაღაცას, მაგრამ“?** იმას ხომ არა, რომ, როგორც კი შევიტყვე, წერილის „ზაკაზნიკობას“ გაბრალებდნენ, მაშინვე დაგირეკეთ და გაგაფრთხილეთ? თუ გგონიათ, რომ ეს თქვენთან ურთიერთობის აღსადგენად გავაკეთე, ძალიან ცდებით — მიუხედავად იმისა, რომ „გამაპანღურეთ“ და, მესამე წელიწადია, არაფერი მაკავშირებს თქვენთან, მე მხოლოდ ჩემი კაცური ვალი მოვიხადე — სიმართლე ვთქვი.

ან რომ ამბობთ: **„კაცი რომ ერთხელ მიღალატებს“...** ვინ გგონიათ თავი?

უპირობო ერთგულება არც მეფის შეიძლება და არც პატრიარქის, რადგან ისინიც ადამიანები არიან და შეცდომისგან არ არიან დაზღვეულნი. მხოლოდ მონა ან ცხოველია უპირობოდ პატრონის ერთგული. ადამიანს უპირობო ერთგულება მხოლოდ სამშობლოსა და სარწმუნოების მიმართ მართებს.

რაც შეეხება მეგობრობას, იყო დრო, მართლა გთვლიდით ჩემს უფროს მეგობრად და მე კი არ გიღალატეთ, თქვენ უღალატეთ იმ ღირებულებებს, რომელთა გამოც თქვენთან მეგობრობით ვამაყობდი. მე იმ პიროვნებებთან ვმეგობრობ, რომლებიც იზიარებენ ჩემს თვალსაზრისს კაცობაზე, მამულიშვილობაზე, სარწმუნოებაზე და ა.შ. თორემ ბავშვობაში ერთ „გარშოკზე“ ჯდომა ნამდვილი ძმაკაცობა-მეგობრობის საწინდარი ვერ იქნება.

ახლა კი მკითხველს ვთავაზობ ფეისბუქ-მეგობრების გამოხმაურებების ნაწილს ჩემი „გაპანღურების“ შესახებ:

***ჯენი ბურჯანაძე:** — მე ვესწრებოდი შეკრებას. სწორს ამბობთ. სავსებით დამეკარგა რეზო „ბიძინიჩზე“ წარმოდგენა. ჰმ... ედუარდის მეხოტბეზე არც ადრე ვიყავი კარგი წარმოდგენის. ქართველმა ხალხმა ბიძინას ფეხებზე უნდა აკოცოსო, — განაცხადა ამას წინათ ბატონმა რეზომ. ლამის ღებინება დამეწყო. რას ერჩის მხცოვანი კაცი საქართველოს მოსახლეობას?! თვითონ დაუკოცნოს ფეხები და სხვა ინტიმური ადგილები ჭორვილას. მიკვირს, რა გაუჭირდა იმის ფასი, რომ უსირცხვილოდ იტყუება?!

***გია მესხი:** — ამ კრების დამსწრე ადამიანი ვადასტურებ, რომ რეზო ამაშუკელი ტყუის, რადგან რეზოსთან ცოტა კამათის შემდეგ დავითი მართლაც გამოვიდა სიტყვით და დაიმსახურა ტაში. შემდეგ კი პროტესტით დატოვა დარბაზი და არავის გაუგდია.

***გოჩა ჩიტაია:** — შეკრებაზე არ ვყოფილვარ, მაგრამ კომენტარებიდან ჩანს შავი და თეთრი. ამაშუკელი აჭარბებს და ნამეტანი უძვრება ზოგიერთს!

***ფბ-სახელი „გეოგრაფია“:** — მე იქ ვიყავი! დათო წასვლას აპირებდა და ჩვენ, დარბაზმა, მოვაბრუნეთ...

ეს კომენტარები, ვფიქრობ, ნათლად მეტყველებს დიდი პოეტის სიცრუეზე.

მას შემდეგ, რაც ჩვენი მეგობრობა დასრულდა, სიტყვა არსად დამიძრავს, რა და რატომ მოხდა იმ საღამოს რუსთაველის თეატრში და ვიმეორებ, არც ეს წერილი დაიწერებოდა, რომ არა ჩემი შეურაცხყოფა.

ახლა კი დუმილს ვარღვევ, რათა, როგორც ბატონ ჯანსუღს უყვარს თქმა, საზოგადოებამ იცოდეს, „ვისი ვიოლინო ვის როიალშია“...

მართებულად მიმაჩნია დუმილის დარღვევა ▶

**რეზო ამაშუკელის ინტერვიუთი აღშფოთებულმა სოციალურ ქსელში გამოვაქვეყნე განცხადება: ისეთ პასუხს მიიღებ, კბილებში ოფლი გდიოდეს და ოთახში მეხუთე კუთხეს ეძებდე-მეთქი! ამიტომ, აბზაც-აბზაც კი არა, სულ ასო-ასო უნდა გავცე პასუხი მხცოვან პოეტსა და მის ქალიშვილს, ქალბატონ ბაია ამაშუკელს, რომელიც ტოლს არ უდებს მამას სიცრუეში**

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ორივე პოეტი — ბატონი ჯანსული და ბატონი რეზო — შევარდნაძეს ერთგულებდა და მათი, რბილად რომ ვთქვათ, ფარული ქიშპიც ედუარდ შევარდნაძის ცეკას მდივნობის პერიოდიდან დაიწყო, ხოლო თეთრი მელას გაპრეზიდენტების შემდეგ ამ ქიშპამა, ვინ უფრო ახლოს იქნებოდა მეფის სუფრასთან, აპოგეას მიაღწია!

იმიტომ, რომ „იუთუბიზე“ დღესაც დევს 2013 წლის 19 მარტისა და 2014 წლის 6 ნოემბრის შეკრებების (რომლებიც რუსთაველის თეატრის ხალხით გადაჭედილ დარბაზში გაიმართა და ორივეგან მერგო სიტყვით გამოსვლის პატივი) ვიდეოკადრები. დააკვირდით თარიღებს — ეს ის წლებია, როდესაც ბიძინა ივანიშვილი დიდების ზენიტშია და, როგორც დღეს, მოსახლეობის ნდობა დაკარგული არა აქვს. ვერსად იპოვით მხოლოდ კადრებს „ლაზარეს“ მესამე, ანუ, ჩემი „გაპანღურების“ ამსახველი შეკრებისა, რომელიც, წინა ორისგან განსხვავებით, რუსთაველის თეატრის ნახევრად ცარიელ დარბაზში გაიმართა 2015 წელს (თვე და რიცხვი არ მახსოვს), როდესაც ივანიშვილის რეიტინგი ეცემოდა და ჩემთვის საყდრისის აფეთქების შემდეგ სრულიად განულდა... იმ შეკრების წინა საღამოს ბატონმა რეზომ დამირეკა,— ამჯერად სიტყვას არ მოგცემო. კითხვაზე — რატომ? მიპასუხა: ჩემი სცენარი მაქვს, რომელშიც შენ ვერ ჯდებიო თუ რაღაც მსგავსი.

ნახევრად სავსე დარბაზის პარტერში ვიჯექი და სხდომის დაწყებას ველოდებოდი, როდესაც ბატონი რეზოს ქალიშვილი **ბაია ამაშუკელი** შემოვიდა. მას ნახევრად ხუმრობით ვუთხარი, მოვედი ბიძინა ივანიშვილისა და **ირაკლი ღარიბაშვილის** შესაძქცეული „ლაზარეს“ სხდომაზე, რათა „გავაპრავო“ ბიძინა ივანაშვილის ქმედება თუ უმოქმედობა-მეთქი. ქალბატონი ბაია კულისებში გაუჩინარდა და, ჩანს, ყველაფერი მამას ჩაუკაკლა, რადგან მალე დამირეკა ბატონმა რეზომ, — აი ზუსტად მაგიტომ არ გაძლევ სიტყვასო.

საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს **მიხეილ სააკაშვილისა** და **ჯონ მაკეინის** სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი, რომელშიც ამერიკელი სენატორი მიშას ეუბნება, ივანაშვილის ნუ გეშინიათ, რადგან, თუ ჭკვიანად არ იქნება, მილიარდებს უცბად გაუნულებენო. სწორედ ამ სატელეფონო საუბრის სტენოგრამით გახსნა „ლაზარეს“ შეკრება ბატონმა რეზომ და იქვე დასვა დიდაქტიკური კითხვა: — მაშ, ეს სახელმწიფოა?

რამდენიმე ადამიანი გამოვიდა სიტყვით. ისინი, ბატონი რეზოს სცენარის მიხედვით, ყველას ადანაშაულებდნენ, ბიძინას გარდა. ველარ მოვითმინე და პარტერიდან ბატონ რეზოს დავუძახე: ბატონო რეზო, მაძლევთ სიტყვას? როცა მიპასუხა, არაო, დარბაზს მივმართე, ამ ზღაპრების მოსმენა გინდათ თუ ავიდე სცენაზე მიკროფონთან და სიმართლე გითხრათ-მეთქი?

— ადი, ადი! — ამ შეძახილებით, ტაშის გრიალში მივედი მიკროფონთან — ხალხის მოთხოვნის წინააღმდეგ წასვლა ვერ გაბედა შპს „ლაზარეს“ დირექტორმა. მე კი განვაცხადე, ივანიშვილის მილიარდებს არ უნდა გადავაყოლოთ ქვეყანა-მეთქი. საკმაოდ ვრცელ სიტყვას დამსწრე საზოგადოება შიგადაშიგ ტაშითა და გამამხნევებელი შეძახილებით მაწყვეტინებდა. ბოლოს კი აპლოდისმენტების თანხლებით დავტოვე დარბაზი და, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, უკან ბევრი გამომყოლია.

**ჩემი დემარშით შეკრება, პრაქტიკულად, ჩაიშალა და, თუ პანღურზეა ლაპარაკი, სწორედ ეს დემარში იყო ფიგურალური პანღურიცა და ჭიტლაყიც დიდი პოეტისა და შპს „ლაზარეს“ დირექტორ რეზო ამაშუკელისთვის, ჩემგან ამოკრული!**

ამ ჭიტლაყ-პანღურიდან დაახლოებით ერთ საათის შემდეგ რეზო ამაშუკელმა დამირეკა,— შე ხურუშიანო, ეს რა მიქენიო, მაგრამ ადეკვატური პასუხი მიიღო, რასაც აქ ვერ გავიმეორებ.

მეორე დილას კი ვიღაც უცხო მამაკაცმა დარეკა ბინის ტელეფონზე და ჩემ ცოლს უთხრა, ბატონ რეზოს გულის შეტევა დაემართა და, თუ რამე მოხდა, დათო დაკრძალვაზე არ მოვიდესო. მობილურზე რომ დაერეკა იმ უცნობს, კიდევ ვიფიქრებდი, საიდანღაც შეიტყო ჩემი ნომერი-მეთქი, მაგრამ ბინის ტელეფონი ჩემი ცოლის გვარზეა და ნომერს მხოლოდ ბატონი რეზოს კარნახით თუ გაარკვევდა ანონიმი. შესაბამისად, სწორედ რეზო ამაშუკელის დავალება იყო ეს შანტაჟის ზარი. ამ ეჭვს ისიც მიმტკიცებს, რომ ბატონი რეზოს მკურნალმა ექიმმა არაფერი იცოდა პაციენტის ცუდად ყოფნის შესახებ.


ბაია ამაშუკელი

**«ბაია ამაშუკელი სმირნოვების გაუხსნელი მუზეუმის დირექტორად დაინიშნა 2015 წლის მარტიდან და, ალბათ, სოლიდური «აკლადითაც», ხოლო ბატონი რეზო ბიძინას სტაჟიანი «სტიპენდიანტი» რომ არის, ეს ისეთი ძველი ამბავია, რომ წყაროზეც აღარ საუბრობენ»**

რაც შეეხება ბაია ამაშუკელს, მას ამას წინათ შემთხვევით შევხვდი საჯარო ბიბლიოთეკაში. ეტყობა, წაკითხული ჰქონდა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ჩემი პოსტი, სადაც მამამისს ვპირდებოდი, რომ „გაპანღურებას“ არ ვაპატიებდი და „შებმა“ დამიწყო, რათა რამე არ დამეწერა, — ხომ იცი, ამით მტრის წისქვილზე დაასხამ წყალს, არ ღირს ამ თემის აჟიტირებაო და ა.შ.

კითხვაზე — რას მერჩოდი, როცა თაკო ჩარკვიანისადმი მიწერილ წერილში ჩემზე წერდი — **„დათო მხეიძეზე „ლაზარეს“ შეკრებაზე რეზოს მიმართ განხორციელებული დემარშის შემდეგ ჩემი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა. მიმაჩნია, რომ დემარშის დროსაც ვიღაცის დავალებას ასრულებდა და ამ წერილითაც იგივე გააკეთა იმიტომ, რომ, თუ (როგორც თავად წერს) ორი წელი ინახავდა ამ წერილს, რაღა მაინცდამაინც ახლა მოუნდა მისი გამოქვეყნება?“** — ქალბატონმა ბაიამ ჯერ საერთოდ უარყო, — ასეთი რამ არ დამიწერიაო. ხოლო როდესაც აღვშფოთდი,— როგორ, საპასუხო წერილისთვის მასალებს ვაგროვებ და ეგ პასაჟი, თითქოს მე ვიღაცის დაკვეთით მოვაწყვე დემარში და წერილი დავწერე, საგანგებოდ მაქვს ამობეჭდილი შენი ღია წერილიდან-მეთქი, მიპასუხა, ასეთი რამ არ მახსოვს და, შინ რომ მივალ, გადავიკითხავო.

ნეტავ, ახლა რას იტყვის? — ეს ერთი, და მეორე — პუბლიცისტობაზე პრეტენზიის მქონეს არ უნდა სჭირდებოდეს ახსნა, რომ „ორი წელი ვინახავდი“ ფიგურალური ნათქვამია. ორი წლის განმავლობაში ლენინზე დაწერილ იმ ლექსებს ვინახავდი, რომლის ავტორობაც უარყო ბატონმა ჯანსულ ჩარკვიანმა, ხოლო ორი წლის წინათ დაწერილი სტატია, რომელიც მხოლოდ ლენინზე „არდაწერილ“ ლექსებს ეხებოდა, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორისა და ბატონი ჯანსულის ერთ-ერთი მეგობრის თხოვნის გამო არ დაიბეჭდა. ახლა კი მუსულმანრუსულმანობამ სრულიად სხვა შინაარსის სტატია დამაწერინა.

ბაია ამაშუკელი იმავე ღია წერილში თაკო ჩარკვიანს ამუნათებს:

**„მისი (თაკო ჩარკვიანის) აზრით, მხეიძის წერილი პოეტ რეზო ამაშუკელის მითითებითა და რჩევით დაიწერაო“, ჩემო თაკო, ეს უკვე სერიოზული ბრალდებაა, ცილისწამებას თუ არ დავარქმევთ და ამაზე „ღირსებისა და პატივის შელახვისთვის“ პასუხისმგებლობაც ეკისრება ადამიანს“...**

**ქალბატონო ბაია!**

**ჩემ მიმართ თქვენგან უსაფუძვლო ბრალდება ვიღაცის დაკვეთით დემარშის მოწყობისა და სტატიის დაწერის შესახებ ცილისწამება და ღირსების შელახვა არ არის? თუ არა, მაშინ დაასახელეთ ჩემი „ზაკაზჩიკები“...**

თუმცა ნაწილობრივ დაასახელა კიდეც. საჯარო ბიბლიოთეკაში „ყურში ჩამჩურჩულა,“ — დემარშის დამკვეთი, თავდაპირველად, „ტარხუნა“ (დავით თარხან-მოურავის „კლიჩკა“ ყოფილა სკოლაში) გვეგონა, შენ ხომ იმ პერიოდში „პატრიოტთა ალიანსიდან“ დეპუტატობის კანდიდატად განიხილებოდიო. თუმცა ვერაფრით მივხვდი, რა მიზეზშედეგობრივი კავშირი შეიძლებოდა არსებულიყო ჩემ დეპუტატობის კანდიდატობასა და ბატონი **დავით თარხან-მოურავისგან** ჩემთვის დემარშის დაკვეთას შორის.

ისე, ქალბატონმა ბაიამ თავისი დაწერილი უარყო და, ალბათ, ამაზეც უარს იტყვის, — მსგავსი არაფერი მითქვამსო.

აი კიდევ ერთი პასაჟი ბაია ამაშუკელის ღია წერილიდან:

**„ან, იქნებ, ისიც უნდა დამეჯერებინა, რასაც ხალხში საუბრობენ, რომ „ჩარკვიანები, თაკოსთვის კულტურის მინისტრის მოადგილედ დანიშვნაზე უარის გამო, გაუნაწყენდნენ ბიძინა ივანიშვილსო. ხოლო, რადგან მამა ძველ პოზიციაზე დარჩა და ალასანიას ღალატი არ აპატია, ახლა ის გახდა ჩარკვიანების დაუძინებელი მტერიო“...**

ღმერთო, ეს რა დღეში ვარ, უნებურად თაკო ჩარკვიანის ადვოკატი გავხდი!

ქალბატონო ბაია, რასაც თქვენ ხალხში საუბარს უწოდებთ, ცხონებული **გივი ბერიკაშვილი** წყაროზე საუბარს ეძახდა და, რასაც იქ საუბრობენ, როგორც წესი, სიმართლეა.

დიახ, ჩარკვიანები იმიტომ განუდგნენ ბიძინა ივანიშვილს, რომ თაკო ჩარკვიანი, სულ რაღაც, ერთ კვირას იყო კულტურის მინისტრის მოადგილე.

მაგრამ წყაროზე იმასაც ლაპარაკობენ, რომ ბაია ამაშუკელი სმირნოვების გაუხსნელი მუზეუმის დირექტორად დაინიშნა 2015 წლის მარტიდან და, ალბათ, შესაბამისი სოლიდური „აკლადითაც“, ხოლო ბატონი რეზო ბიძინას სტაჟიანი „სტიპენდიანტი“ რომ არის, ეს ისეთი ძველი ამბავია, რომ წყაროზეც აღარ საუბრობენ.

**აი ეს არის ბატონი რეზო ამაშუკელის „ერთგულების“ საიდუმლო და არა ის, რომ იგი ძველ პოზიციებზე დარჩა და ალასანიას ღალატი არ აპატია!**

**ორივე პოეტი — ბატონი ჯანსული და ბატონი რეზო — შევარდნაძეს ერთგულებდა და მათი, რბილად რომ ვთქვათ, ფარული ქიშპიც ედუარდ შევარდნაძის ცეკას მდივნობის პერიოდიდან დაიწყო, ხოლო თეთრი მელას გაპრეზიდენტების შემდეგ ამ ქიშპამა, ვინ უფრო ახლოს იქნებოდა მეფის სუფრასთან, აპოგეას მიაღწია.**

**ჟარგონით თუ ვიტყვი, შექმნილ ვითარებაში «ზადნის მიცემა» არ შეიძლება და არც ვაპირებ. ჰოდა, ვისაც ჩემი სიმართლე გეწყინათ, ერთად გამოდით. თუ ვერ მოგერევით, დაგთვლით მაინც, რამდენი ხართ... «მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია»**

აი სხვა პასაჟი ბაიას ღია წერილიდან, რომელიც ორი კაპასი ქალის მიერ ერთმანეთის თმით თრევას უფრო ჰგავს, ვიდრე პუბლიცისტიკას:

**„შენი და დათო მხეიძის ადგილზე კი საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და დეზინფორმაციისთვის („არიქა, რეზო ამაშუკელი 85 წლის კოლეგას სასიკვდილოდ იმეტებსო“), სულ „პაწია“ (შენს საყვარელ ფრაზას ვიხმარ) ბოდიშს მაინც მოვუხდიდი რეზო ამაშუკელს თუ არა, ქართულ საზოგადოებას მაინც“...**

ეს უკვე მეტისმეტია, ქალბატონო ბაია!

იმდენჯერ მახსენებთ ქალბატონი თაკოსადმი მიწერილ წერილში, რომ თავისუფლად შეგეძლოთ თქვენი პუბლიცისტური შედევრისთვის დაგერქმიათ „ღია წერილი თაკო ჩარკვიანსა და დავით მხეიძეს“. ქალბატონი თაკოსი არ ვიცი, მაგრამ მე ქართველ საზოგადოებასთან საბოდიშო არაფერი მაქვს იმიტომ, რომ, სიმართლის გარდა, არაფერი მითქვამს და, შესაბამისად, ქართველ (და არა ქართულ, როგორც თქვენ წერთ) საზოგადოებას შეცდომაში ვერ შევიყვანდი.

დღეს ისტორიას ჩვენი თანამედროვენი წერენ და ასეთი ისტორიის ფასი ნულის ტოლია, მაგრამ მოვა დრო და დაიწერება ნამდვილი ისტორია, რომელშიც ასახული იქნება, როგორ დაასმინა შინაგან საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ მოსკოვში საქართველოს უანგარო მსახური **ვასილ მჟავანაძე**, —არიქა, საქართველო იმიტომ ცხოვრობს კარგად, რომ აქ კორუფცია ყვავისო; იმასაც პირუთვნელად შეაფასებს ისტორია, რა ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ნგრევაში მეოცე საუკუნის ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომელთა უმრავლესობა შევარდნაძეს ჯიბეში ეჯდა, ჯერ ვასილ მჟავანაძის ჩამოგდების, შემდეგ ე.წ. ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლაში; საქართველოს არცთუ უნაკლო, მაგრამ მაინც ეროვნული ხელისუფლების დამხობის საქმეში, რომელსაც საქართველოში დაბრუნებულმა შევარდნაძემ აეროპორტშივე უწოდა დემოკრატიული რევოლუცია და მადლობა გადაუხადა პუტჩისტ შემოქმედებით ინტელიგენციას **ზვიად გამსახურდიას** დამხობაში აქტიური მონაწილეობისთვის.

პუტჩისტებში სხვებთან ერთად რეზო ამაშუკელი და ჯანსულ ჩარკვიანიც რომ განიხილებიან, საკამათო, ალბათ, არ არის...

იმ პუტჩის შედეგებს დღემდე იმკის საქართველო, ის პუტჩისტები, რომლებიც გამსახურდიას დასამხობად შემოსულ ბალტინის ტანკებს ტაშს უკრავდნენ, დღეს „რუსულმანებს“ აგინებენ...

დასასრულ — სიმართლის მთქმელს, რადგან ცხენი შეკაზმული არ მყავს, იმიტომ, რომ გაქცევას არსად ვაპირებ, ერთი გამოსავალიღა დამიტოვეს. ჟარგონით თუ ვიტყვი, შექმნილ ვითარებაში „ზადნის მიცემა“ არ შეიძლება და არც ვაპირებ. ჰოდა, ვისაც ჩემი სიმართლე გეწყინათ, ერთად გამოდით. თუ ვერ მოგერევით, დაგთვლით მაინც, რამდენი ხართ... „მე იმ გვარისა ვარ, ვისაც უკან დახევა არ სჩვევია“.

**დავით მხეიძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„იოსებ სტალინის იდეური მოწინააღმდეგენი, ნიჭიერი, ღრმად განსწავლული მოღვაწენი იყვნენ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებოდნენ. იოსებ ჯუღაშვილი კი განგებამ ჩვეულებრივი ადამიანებისაგან გამოარჩია და მას სხვა დიდი და გამორჩეული მისია დააკისრა“.**

# სტალინი — ლენინის მოსწავლე?

**ძვირფასო მკითხველო, არ ვიცი, მოუთმენლად ელოდით თუ არა ჩემ მიერ სტალინზე დაწერილი მასალების გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ გვერდებზე გამოჩენას, მაგრამ მერწმუნეთ, მე ვჩქარობდი თქვენთან შეხვედრას, რადგან თქვენი თვალსაზრისის მოსმენა ჩემთვის ენერგიის გაორმაგების ყველაზე კარგი საშუალებაა. მაშ, გამარჯობა, ჩემო მეგობრებო! განვაგრძოთ ერთად დაწყებული საქმე: სტალინზე ახალი საარქივო მასალების გამომზეურება.**

ჩვენი დღევანდელი თემა შეიძლება ბევრისთვის ნაცნობი იყოს, მაგრამ ზოგისთვის ნამდვილად იქნება სიახლე, რადგან მასალაში ბევრი ისეთი ეპიზოდია, რომლებიც დღემდე არ გამოქვეყნებულა.

სტალინის სიდიადესა და მსოფლიოს პოლიტიკასა და დიპლომატიის სარბიელზე მის ადგილზე ახლა არ ვაპირებ წერას, მაგრამ ზოგი ფაქტი აუცილებლად უნდა იცოდეს მკითხველმა.

სტალინის ფენომენი რუსულ თოჯინა „მატრიოშკას“ ჰგავს: როდესაც „მატრიოშკას“ ხსნით, შიგ კიდევ ისეთივე „მატრიოშკა“ დევს, ოღონდ შედარებით მცირე ზომის, ბოლო გახსნისას კი ხელში შეგრჩებათ ყველაზე პატარა „მატრიოშკა“. სტალინის „მატრიოშკა“ კი განსხვავებულია — როდესაც ხსნით, შიგ უფრო დიდ ფიგურას აღმოაჩენთ, შემდეგ — კიდევ უფრო დიდს და ა.შ. ჯერ არ გაჩენილა დედამიწაზე ადამიანი, რომელსაც სტალინის ბოლო „მატრიოშკა“ გაეხსნას, მისი გრანდიოზულობის გამო.

სტალინის აზროვნების მრავალმხრივობას საზღვრები არ აქვს: სტალინი — აგრარიკოსი, ჰიდროტექნიკოსი, ავიაკონსტრუქტორი, კონსტრუქტორ-არტილერისტი, კონსტრუქტორ-ტანკისტი, გემთმშენებლობის კონსტრუქტორი, კოსმოლოგი, მარკშეიდერი (მოსკოვის მეტროპოლიტენი), მშენებელი (სტალინური მაღლივები), კოლექტივიზაციის შემოქმედი, ინდუსტრიალიზაციის მამა, უდიდესი მხედართმთავარი, უდიდესი იმპერიის მმართველი, მწერალი, პოეტი, დრამატურგი, კინოსცენარისტი, ბიბლიოგრაფი, მთარგმნელი, ენათმეცნიერი, განათლების ქურუმი, ბავშვებისა და სპორტის დიდი მეგობარი, ტრიუმფატორი, მსოფლიოს უდიდესი დიპლომატი, პოლიტიკოსი და კიდევ ის, რაც არ ვიცით და მომავალში იქნება უბრალო მოკვდავთათვის ცნობილი და გასაგები.

მას შემდეგ, რაც სტალინმა სემინარია დატოვა და „ივერიაში“, „კვალსა“ და „ბრძოლაში“ ლექსები გამოაქვეყნა, მისი კვალი თითქოს ქრება. 1896-1901 წლებში, როგორც პროფესორი **ვახტანგ გურული** შენიშნავს, „სად იყო, რით სულდგმულობდა, რას ფიქრობდა და რას აკეთებდა, არავინ უწყის“.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე ყოველთვის თვალი ეჭირა და თავისი პოეზიით თანაუგრძნობდა კიდეც, როგორც პრაგმატიკოსი, მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ვიწრო ეროვნულ და ნაციონალურ მოძრაობას მომავალი არ ჰქონდა. სტალინისათვის უპერსპექტივო იყო ცალკეული ნაკადული და კლდიდან დაგორებული თოვლის გუნდები.

„რომანოვების სამასწლიან დინასტიასა და იმპერიას ვერ დაამარცხებს ვიწრო ეროვნულ-ნაციონალური კინკლაობა. მას უზარმაზარი ზვავი უნდა დაეცეს ან ადიდებულმა მდინარემ წალეკოს. ერთიანი რუსეთი გათავისუფლების შემდეგ იქნება პატარა ერების შემფარებელი და მომფერებელი“, — ფიქრობდა სტალინი. მან ისიც კარგად იცოდა, რომ ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა და ალაზნის პირიდან აფრენილი მერცხალი უკიდეგანო რუსეთის იმპერიისკენ გაფრინდა.

ახალგაზრდა კავკასიელმა რუსეთის პოლიტიკურ ცაზე კამარა შეჰკრა და სხვა თვალით დაინახა, როგორც ძირმომპალი რუსეთის იმპერია, ისე მისი გადარჩენის გზები და მეთოდები.

სემინარიადაუმთავრებელმა 22 წლის ყმაწვილმა ორთაბრძოლაში გამოიწვია რევოლუციური ბრძოლების გრანდები: **პლეხანოვი, მარკოვი, ლენინი** და სხვები. ეს მაშინ, როდესაც ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული უტოპიური სოციალიზმის ბურუსიდან. სტალინს ჩამოყალიბებული ჰქონდა ჯერ სოციალური აფეთქების, ხოლო შემდეგ სოციალიზმის განვითარების თავისი გეგმა.

სტალინის მიერ 1899 წელს შედგენილი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრის მეცადინეობის პროგრამა ხუთ ძირითად თემას მოიცავს:

პირველი — **საზოგადოებათმცოდნეობა;** მეორე — **ფილოსოფიური მემკვიდრეობა;** მესამე — **პოლიტიკური ეკონომია;** მეოთხე — **ისტორია** და მეხუთე — **მრეწველობა.** პროგრამაში მითითებულ ავტორთა გვარები და ლიტერატურა, რომელთა საფუძველზეც სტალინმა პროგრამა შეადგინა, იმის დამამტკიცებელი ფაქტი იყო, რომ სტალინი, უბრალო მოკვდავის ნიჭი და განათლების დიაპაზონი რომ ჰქონოდა, სემინარიის ჯოჯოხეთური ყოფის პირობებში ასე ძირფესვიანად ვერ შეისწავლიდა **კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ედვარდ ბერნშტეინის, პეტრე სტრუვეის, კარლ კაუცკის, გიორგი პლეხანოვის, მიხეილ ტუგან-ბარანოვსკის, ლენინის, პოლ ლაფარგის** ნაშრომებს. სტალინმა კოლოს ზარბაზნიდან არ ესროლა და თავისი მძიმე არტილერია იქით მიმართა, სადაც იჭედებოდა პროლეტარიატისა და სოციალიზმის ბედი.

სტალინმა ზუსტად იცოდა მსოფლიოს და იმხანად მომაკვდავი რუსეთის იმპერიის ბედი. აკი სწორადაც შენიშნავს თავის ნაშრომში პროფესორი ვახტანგ გურული, უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უძლიერესი მკვლევარი და მემატიანე: **„იოსებ სტალინის იდეური მოწინააღმდეგენი ნიჭიერი, ღრმად განსწავლული მოღვაწენი იყვნენ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებოდნენ. იოსებ ჯუღაშვილი კი განგებამ ჩვეულებრივი ადამიანებისაგან გამოარჩია და მას სხვა დიდი და გამორჩეული მისია დააკისრა** (ვ. გურული. „მეფე-მამა“).



სტალინი ტურუხანსკის მხარეში

## ნობელებმა რამდენჯერმე სცადეს, რომელიმე გამორჩეული პიროვნების პირით გაებედათ სტალინისთვის ნობელის პრემიის მინიჭება, მაგრამ მსოფლიოში არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც შეჰბედავდა სტალინს ამ პრემიის შეთავაზებას

სტალინის რწმენა და გაბედულება შეჰმატა ტამერფორსის კონფერენციამ, სადაც მსოფლიო დონის კორიფეები გამოდიოდნენ და ცხარედ კამათობდნენ საკითხებზე, რომლებიც სტალინს უკვე დამუშავებული ჰქონდა. ძნელი წარმოსადგენია, როდის და რა მეთოდებით ჩამოყალიბდა ახალგაზრდა სტალინში იდეები, რომლებიც მარქსიზმის კლასიკოსებში ჯერ კიდევ განსჯისა და კამათის თემა იყო.



სტალინი ბაქოში ყოფნის პერიოდში

სტალინმა 1905-1907 წლებში ზუსტად გათვალა რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხები და შექმნა ნაშრომები, რომელთა როლი და მნიშვნელობა არასოდეს დაკარგავს ღირებულებას რევოლუციების ისტორიაში. სტალინმა თავისი პოლიტიკური მომავალი რუსეთზე გათვალა და ბოლომდე უერთგულა მას.

ამ უზარმაზარი პოლიტიკური და ინტელექტუალური ღირებულებების გამომზეურების შემდეგ სტალინი თითქოს დროებით წყვეტს პოლიტიკურ აქტივობას პრესასა თუ საჯარო დებატებში და სხვა სფეროში გადადის. 1905 წელს რევოლუციის დამარცხებამ თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიას გადაუჭრა სასიცოცხლო ძარღვი. ცარიზმის დამხობის ძლიერი წყურვილი დიდი ხნით ჩაბარდა ისტორიას. **სწორედ სტალინმა დაინახა რევოლუციის დამარცხებაში ის რაციონალური მარცვალი, რომლის გათვალისწინებითაც ბოლშევიკებს თავიანთ შეცდომებზე უნდა ესწავლათ და რევოლუციის გზა მტკიცედ განეგრძოთ, ამისთვის, სტალინის აზრით, საჭირო იყო სამი რამ — იარაღი, იარაღი და კიდევ იარაღი. იარაღის შესაძენად კი საჭირო იყო სამი რამ — ფული, ფული და კიდევ ფული.**

ემიგრაციაში მყოფი ლენინისათვის ძნელი იყო იმ წინააღმდეგობათა აღქმა, რომლებიც ყოველთვის წინ ხვდებოდა რევოლუციის რაინდებს. შიმშილი, შიში, ბრძოლა, ციმბირი — აი რა იყო რევოლუციონერის ყოველდღიური ყოფა. ყველაფერში გამორჩეულმა ძლიერმა და გამბედავმა ახალგაზრდა სტალინმა სამოქმედო ასპარეზად ბაქო აირჩია. თითქმის დაუჯერებელია ის გაბედულება და თავგანწირვა, რომელსაც საქვეყნოდ აღიარებული ინტელექტუალი, იდეოლოგი, პროგრამისტი და რევოლუციის ოსტატი, ახალგაზრდა სტალინი იჩენს საზოგადოების ყველა ფენაში. რევოლუციის შტაბს უჭირს. პარტიის სალაროში 1907 წლისათვის სიმბოლური თანხა — 100 რუბლიღა დევს.

ამ პერიოდში მსოფლიოს მაგნატები ოქროთი და ბრილიანტებით დატვირთულ ხომალდებს რუსეთიდან თავიანთ სამშობლოში გზავნიდნენ ზღვებისა და ოკეანეების გავლით. მაგნატებთან, როგორც წესი, ახლოს ტრიალებენ შავი სამყაროს წარმომადგენლები, რომლებსაც თავიანთი წილი ეკუთვნით მუშათა კლასის ექსპლოატაციით მიღებული მილიარდებიდან.

როგორც ჩანს და როგორც შევიტყვეთ (ჩემი წიგნები ხომ წაკითხულზე, გაგონილსა და განცდილზეა აგებული), სტალინი ბაქოს მრეწველთა და შავი სამყაროს წარმომადგენელთა ჩაკეტილ წრეში ქარიშხალივით შეიჭრა, წააქცია, მიმოფანტა ძირმომპალი ხეები და პირისპირ აღმოჩნდა ოქროთი და ბრილიანტებით დატვირთული გემის წინ, მისმა მდევნელმა მეკობრეებმა კი ზღვის ფსკერზე ჰპოვეს თავშესაფარი.

გემიდან გატაცებულმა უზარმაზარმა თანხამ, რომელიც იმხანად 30 მილიონი დოლარი იყო (დღეს გაცილებით მეტი ოიქნერბოდა) ცოტა ხნით შვება მოჰგვარა პარტიასაც და ლენინსაც. **კასპიის ზღვაზე, ბაქოს სანაპიროზე, 1907 წლის ძარცვამ და ნაძარცვის მასშტაბმა გააკვირვა იმჟამინდელი მსოფლიო და დიდხანს დარჩებოდა კვლევის საგნად, 1908 წელს თბილისის ცენტრალურ მოედანზე რომ არ მომხდარიყო ძარცვა, რომლის მასშტაბებსაც საზღვარი არ ჰქონდა.**

თავდამსხმელის სწორმა და გააზრებულმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ არათუ იმხანად, დღესაც თითქმის ფანტასტიკის სფეროდ აქცია ეს თავდასხმა. ფარული ხელის მიერ დაწერილმა გეგმამ და შესრულების უნაკლო ხელოვნებამ თბილისის 1908 წლის ძარცვას მსოფლიოს სენსაციურ მოვლენათა კვალიფიკაცია მიანიჭა. ეს პარტიული სალაროს შევსების მეორე გიგანტური წყარო იყო. სტალინი კავკასიაში თავზარდაცემის, გაუჩინარების, ყოვლისმოქმედი „დიავოლის“ სინონიმი შეიქნა.

ერთხელ ბაქოს ერთ-ერთი დიდი მაგნატი, ფულის გამოძალვის მიზნით, თვით ბაქოს გუბერნატორმა გაიტაცა და გათავისუფლებისთვის დიდძალ ფულს სთხოვ- ▶

## «მიუხედავად ამ უზარმაზარი თანხების სალაროში აკუმულირებისა, სტალინს ერთი რუბლითაც არასოდეს უსარგებლია და ის ყოველთვის ჯიბეგამოფხეკილი დადიოდა»

**გადასახლებაში გაუსაძლის პირობებში 4 წლის განმავლობაში ნატანჯი და თანაპარტიელებისგან არცთუ განებივრებული სტალინი, საეჭვოა, აღტკინებული და დიდი სიხარულით შეხვედროდა თანამებრძოლებს პეტროგრადში. შვიდჯერ გადასახლებულ და ექვსჯერ გადასახლებიდან ურთულეს პირობებში გამოქცეულ სტალინს სულ სხვა გზა ჰქონდა გამოვლილი და ღმერთისგან სხვა მისიის აღსრულება ჰქონდა დაკისრებული.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სახლზე, რომელშიც სტალინი სამი კვირის განმავლობაში ცხოვრობდა 1913 წლის იანვარში და ვენის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობს, დღესაც მიკრულია უზარმაზარი მემორიალური დაფა სტალინის ბარელიეფით, რომელზეც წერია: «აქ, ამ სახლში, 1913 წელს ცხოვრობდა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, რომელმაც აქ დაწერა გენიალური ნაშრომი «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი». თბილისის სასულიერო სემინარიაში კი, სადაც 4 წლის განმავლობაში სწავლობდა იოსებ სტალინი, არათუ მუზეუმია გახსნილი, ერთი პატარა აბრაც კი არ არის ტურისტებისთვის, რომ «აქ, ამ სახლში, სწავლობდა და ცხოვრობდა ი. სტალინი»

◀ და, მაგრამ მოტაცებული და მომტაცებელი თანხაზე ვერ თანხმდებოდნენ. ერთ ღამეს გატაცებულს ღრმა სარდაფში სტალინი ესტუმრა, ისე, რომ ეს არც გატაცებულისათვის და არც გამტაცებლისათვის წინასწარ ცნობილი არ იყო. სტალინი გატაცებულს ექვსი საათის განმავლობაში ესაუბრა. შემდგომში სტალინისა და მაგნატის ურთიერთდამოკიდებულებაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ მაგნატის შთამომავლის სახლში დღესაც ყველაზე ძვირად ღირებულ საგნად მიჩნეულია მისი პაპისთვის სტალინის მიერ ნაჩუქარი შავი პიანინო, რომელიც ამჟამადაც შესანიშნავ ჰანგებს გამოსცემს.

სულ სხვაა სტალინისა და ძმები **ნობელების** დამოკიდებულება. მათი უზარმაზარი ფინანსური იმპერიის ხელშეუხებლობა „შავი სამყაროს" მხრიდან სტალინის გავლენის გამო.

შემდგომში ნობელებმა რამდენჯერმე სცადეს, მსოფლიოს რომელიმე გამორჩეული პიროვნების პირით გაებედათ სტალინისათვის ნობელის პრემიის მინიჭება, მაგრამ მსოფლიოში არ აღმოჩნდა ადამიანი, რომელიც შეჰბედავდა სტალინს ამ პრემიის შეთავაზებას.

მე ნაწილობრივ შევეხე იმ გახმაურებულ თუ გაუხმაურებელ ფაქტებს, რომელთა შემდეგაც ივსებოდა პარტიის სალარო და ამ საქმეში, გვინდა თუ არა, ლომის წილი სტალინს ედო.

ინგლისელი ჟურნალისტი და ისტორიკოსი **საიმონ მონტეფიორე** თავის სიცრუით სავსე წიგნში „წითელი მონარქის კარი" საკმაოდ ვრცლად აღწერს სტალინის საქმიანობას კრიმინალურ სამყაროში, მაგრამ ერთს კი სწორად შენიშნავს:

**„მიუხედავად ამ უზარმაზარი თანხების სალაროში აკუმულირებისა, სტალინს ერთი რუბლითაც არასოდეს უსარგებლია და ის ყოველთვის ჯიბეგამოფხეკილი დადიოდა".**

ლენინი ხვდებოდა, ვინ იყო პარტიის სიძლიერის ბალავრის ჩამყრელი და ვის ჰქონდა უბადლო გონებრივი თუ ფიზიკური სიძლიერე პარტიაში.

მას შემდეგ, რაც ათასმა წყალმა ჩაიარა, სტალინმა შექმნა უკვდავი ნაშრომები, მათ შორის, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" (ვენა. 1913 წელი). სახლს, რომელშიც სტალინი სამი კვირის განმავლობაში ცხოვრობდა 1913 წლის იანვარში და ვენის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობს, დღესაც მიკრული აქვს უზარმაზარი მემორიალური დაფა სტალინის ბარელიეფით, რომელზეც წერია: **„აქ, ამ სახლში, 1913 წელს ცხოვრობდა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, რომელმაც აქ დაწერა გენიალური ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი".**

თბილისის სასულიერო სემინარიაში კი, სადაც 4 წლის განმავლობაში სწავლობდა იოსებ სტალინი, არათუ მუზეუმია გახსნილი, ერთი პატარა აბრაც კი არ არის ტურისტებისათვის, რომ „აქ, ამ სახლში, სწავლობდა და ცხოვრობდა ი. სტალინი".

ამ აზროვნებით ცივილიზაციაში და ევროპაში ვერ შევალთ.




მემორიალური დაფა სტალინის ბარელიეფით ვენაში

1913 წლის მარტში სტალინი დააპატიმრეს და ტურუხანსკში გადაასახლეს. როგორც ჩანს, ამჯერად გაქცევაზე არც უფიქრია და დროებით შეურიგდა ბედს. ტურუხანსკში, სტალინის გარდა, მისი ნაცნობი სხვა პოლიტპატიმრებიც იყვნენ გადასახლებულნი. საშინელმა პირობებმა და მკაცრმა ზამთარმა სტალინის ყოფა გაუსაძლისი გახადა. ამას ემატებოდა ის ფინანსური კრიზისი, რომელიც მას ქრონიკულად დასდევდა. თუ სხვა პირობებში ეს, ასე თუ ისე, ასატანი იყო, ყინვასა და მუდმივ თოვლში მისი ყოფა გაუსაძლისი ხდებოდა.

აი რას წერს სტალინი, რომელიც წლების განმავლობაში პარტიის სალაროს შემვსები და ყველა პოლიტპატიმრის პატრონი და მეთვალყურე იყო, პეტროგრადში თავის მეგობარს, რუსეთის დუმის დეპუტატ **მალინოვსკის:**

„გამარჯობა, მეგობარო. იძულებული ვარ, მოგწერო, რომ არასოდეს ვყოფილვარ ასეთ მძიმე ვითარებაში. გროშები, რაც გამაჩნდა, დავხარჯე. მეუფლება საშინელი განცდა ზამთრისა და ყინვის მოახლოების გამო. ამჟამად ყინვა მინუს 37 გრადუსს აღწევს, საერთო განწყობა ცუდია. არ მაქვს არც პურის, არც შაქრის, არც ხორცისა და არც ნავთის მარაგი. მთელი ფული თბილი ფეხსაცმლის ყიდვაში დამეხარჯა. მარაგის გარეშე აქ ცხოვრება შეუძლებელია, ვარ ავადმყოფი, მჭირდება რძე, შეშა. ფული არ მაქვს, არ ვიცი, ასეთ პირობებში როგორ გადავიტან ზამთარს. მე არ მყავს მდიდარი ნათესავები და მეგობრები, მე ვერავის მივმართავ თხოვნით, ამიტომ მოგმართავთ მხოლოდ თქვენ და არა მხოლოდ თქვენ, აგრეთვე, მივმართავ **პეტროვსკისა** და **ჩადაევს.** ჩემი თხოვნა მდგომარეობს შემდეგში: თუ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ან ბიუროს განკარგულებაში გაქვთ ფული რეპრესირებულთათვის, გამიწიეთ დახმარება 60 მანეთით მაინც. გადაეცით ჩემი თხოვნა **ჩხეიძეს** და თხოვეთ, მიიტანოს გულთან ახლოს ჩემი სათხოვარი. ვთხოვ მას არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი მიწა-წყლის შვილია, არამედ როგორც ფრაქციის ხელმძღვანელს. თუ ფრაქციას ამისი ფონდი არ აქვს, მაშინ უნდა მოიფიქროთ თვითონ. სხვას მე წერილს არ მივწერ. უნდა მოიფიქროთ და გააკეთოთ რამე. დღესვე ფული უნდა გამომიგზავნოთ დეპეშით, ლოდინი შეუძლებელია. ვარ ავად".

პასუხის მოილოდინში სტალინმა დაზღვევის მიზნით მეორე წერილი გაუგზავნა პეტროგრადში მცხოვრებ მეგობარ ქალს:

„ტატიანა ალექსეევა, მორიდებით გწერთ, მაგრამ რა ვქნა, უნდა დავძლიო უხერხულობა. კაპიკი ფული არ მაქვს, მარაგი გამითავდა, რაც კაპიკები მქონდა, თბილი ტანსაცმლის ყიდვაში დავხარჯე. საკვები პროდუქტები აქ ძალიან ძვირია. ჯერჯერობით მენდობიან და „ნისიად" მაძლევენ, მერე რა იქნება, არ ვიცი. ღმერთმანი, არ ვიცი. შეგიძლია, მეგობრებში მოიძიო და გამომიგზავნო თუნდაც 20-30 მანეთი? ეს იქნება ჩემი ხსნა და, რაც ჩქარა იქნება, მით უკეთესი. ზამთარი ჩვენთან უკვე ძალაშია, ყინვა მინუს 33 გრადუსია, შეშა კი საკმარისი რაოდენობით არ მაქვს".

მალე პეტროგრადიდან ფრაქციამ 100 მანეთი გაგზავნა გაქცევის მოსამზადებლად, მაგრამ ფული გაგზავნილი იყო **სვერდლოვის** სახელზე და სტალინს ამ ფულთან თითქოს არაფერი ესაქმებოდა. სტალინმა სასწრაფოდ დეპეშა გაუგზავნა მალინოვსკის:

„ფული მივიღეთ, მაგრამ ეს ფული ეკუთვნის მას და მხოლოდ მას ( სვერდლოვს — *გრ. ონიანი).*

სტალინი ფიქრობდა, რომ ფული ორივესია — სვერდლოვისა და სტალინის, მაგრამ ლენინს სტალინის გვარი დაავიწყდა, როგორც ადრე, როდესაც **ზინოვიევს** მისწერა:

„გთხოვთ, დამიდგინოთ კობას გვარი — იოსებ დჟ... ?"

სტალინმა თანხა — 135 მანეთი — 1916 წლის იანვარში მიიღო. როგორც კი შეიტყო ტურუხანსკის მმართველმა **კიბიროვმა,** რომ სტალინმა ფული მიიღო, სასწრაფოდ მოუხსნა მას უფასო კვება, რადგან თავის რჩენის სხვა საშუალება გამოუჩნდა. სტალინს კიბიროვი იცნობდა ბაქოდან, სადაც ის ჟანდარმერიის მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ იქ ჩადენილი დანაშაულისათვის კიბიროვი დააქვეითეს და ტურუხანსკის მმართველად გადაიყვანეს. სტალინისადმი მოკრძალება კიბიროვს ბაქოდან ჰქონდა გამოყოლილი.

ცოტა ხანში სტალინმა ტატიანა ალექსეევასგანაც მიიღო ამანათი. მცირეოდენ თანხაზე მადლობა გადაუხადა სტალინმა მეგობარს, მაგრამ ახალი საცვლების შეძენის გამო უსაყვედურა:

„მე თქვენთვის არ მითხოვია ახალი საცვლების ყიდვა, მე გთხოვეთ ჩემი ძველი საცვლების გამოგზავნა".

სტალინს ბოლო გადასახლება 1917 წლის 7 ივნისს უთავდებოდა, მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ იგი 20 თებერვალს გაათავისუფლა და 1917 წლის 8 მარტს ის კრასნოიარსკის გავლით პეტროგრადში დაბრუნდა.

არ მინდა, მკითხველი დავაბნიო დიდი შესავლით, სანამ მივიდოდე სტალინის მოწაფეობის საკითხზე, მაგრამ უნდა ვკითხო მკითხველს: 1917 წლამდე სტალინისა და ლენინის ურთიერთობას ეტყობა, რომ პირველი მეორის მოწაფე იყო?

ახლა კი ვნახოთ, როგორ მიმდინარეობდა ლენინ-სტალინის მასწავლებლობა-მოწაფეობა რევოლუციისა და შემდგომ პერიოდებში და როდის გამოიკვეთა მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობა.

**გადასახლებაში გაუსაძლის პირობებში 4 წლის განმავლობაში ნატანჯი და თანაპარტიელებისაგან არცთუ განებივრებული სტალინი, საეჭვოა, აღტკინებული და დიდი სიხარულით შეხვედროდა თანამებრძოლებს პეტროგრადში. შვიდჯერ გადასახლებულ და ექვსჯერ გადასახლებიდან ურთულეს პირობებში გამოქცეულ სტალინს სულ სხვა გზა ჰქონდა გამოვლილი და ღმერთისაგან სხვა მისიის აღსრულება ჰქონდა დაკისრებული.**

გადასახლებიდან პეტერბურგში დაბრუნების პირველი დღიდანვე სტალინი „პრავდის" ფურცლებზე გამოჩნდა და რევოლუციური მოძრაობის გრანდებთან გამართულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ბრძოლებში ჩაება. სტალინმა ჯოჯოხეთური სამუშაო გასწია და 1917 წლის 14 მარტიდან 1917 წლის 24 ოქტომბრამდე მეცნიერული ხასიათის 80-მდე პროგრამული ტრაქტრატი გამოაქვეყნა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## კვირის კითხვა

**— ბატონო გრიგოლ, რას იტყვით მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე: რეალურია სამხედრო კონფლიქტი კორეის ნახევარკუნძულზე აშშ-სა და კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომელმაც შეიძლება მესამე მსოფლიო ომის დაწყება გამოიწვიოს?**

— ნუთუ კიდევ ეპარება ვინმეს ეჭვი, რომ ტრამპი გონებაშეზღუდულია, დღევანდელი დასავლეთის დიდი სახელმწიფოს მეთაურები კი — უთავოები და მარიონეტები? ადამიანებს დაავიწყდათ ომის საშინელებები და მას ისე უყურებენ, როგორც ჰოლივუდის კინოპავილიონებში გადაღებული, ჯამბაზების მიერ მოგებული ომის სურათებს. ახალი თაობა ისე უყურებს ამ ომს, როგორც თინა ხიდაშელი ლენინგრადის ბლოკადას ომის პერიოდში. ყოველთვის ნეგატიურად ვიყავი ამერიკელების მიმართ განწყობილი, მაგრამ, თუ ასეთი უგუნურები იქნებოდნენ, არ მეგონა... როცა მოლოტოვმა სტალინს ტრუმენის მოთხოვნა გადასცა კურილის კუნძულებიდან ორი პატარა კუნძულის ამერიკელებისათვის გადაცემის თაობაზე იაპონელებისგან თავდაცვის ზღუდის შესაქმნელად და საჰაერო ბაზის მოსაწყობად, სტალინმა მოლოტოვს ტრუმენისათვის გასაცემი პასუხის ჩაწერა მოსთხოვა, თვითონ კი ოთახში ბოლთის ცემას შეუდგა და დაიწყო: „ასეთი ტონით გამარჯვებული ქვეყნები ესაუბრებიან დამარცხებულ ქვეყნებს. ჯერჯერობით ჩვენ თავს დამარცხებულად არ ვთვლით და არც ასეთ ტონს მივიღებთ. როგორც ჩანს, ტრუმენსა და მის მეგობრებს ამერიკიდან სჭირდებათ მონები და არა სტრატეგიული პარტნიორები. ჩვენ ამ საქმისთვის ტრუმენს ვერ გამოვადგებით". აი, ასე უნდა ლაპარაკი სახელმწიფოსთან, რომელიც მსოფლიოზე თავისი ჰეგემონიის დამყარებას ცდილობს... ისე კი, ომი დაწყებულია. რუსეთის რამდენიმე საკონსულო აშშ-ში ამერიკელ სპეცსამსახურებსა და პოლიციელებს აქვთ დაკავებული. ეს ან ექსპროპრიაციაა, ან ოკუპაცია. რუსეთი კი ის სახელმწიფო არ არის, რომელიც წართმევას შეეგუება. ის ყოველთვის იპყრობს „ვლადი-ვოსტოკიდან" „ვლადიკავკაზამდე".

ბოროტების იმპერია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლელი ექსპერტები და პოლიტიკოსები ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირი იყო ხალხების საპყრობილე და ბოროტების იმპერია, არადა, მსოფლიოს ისტორიისთვის თვალის გადავლებაც საკმარისია, რათა დარწმუნდეთ, რომ ისეთი სისხლისმსმელი და ბოროტი, ხალხებისა და ქვეყნების ექსპლუატატორი სახელმწიფო წარმონაქმნი, როგორიც დიდი ბრიტანეთის იმპერიაა, რომელიც მონებით ვაჭრობდა და პირველი საკონცენტრაციო ბანაკები შექმნა, კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა.**

# «დემოკრატიის აკვნად» წოდებული სისხლისმსმელი იმპერია

**კოლონიალიზმი — ეს არის სისტემა, რომლის მიხედვით განვითარებული ქვეყნები (მეტროპოლიები) ბატონობენ დანარჩენ მსოფლიოზე. კოლონიური პოლიტიკა კი არის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მეთოდებით ხალხების, ქვეყნებისა და ტერიტორიების (როგორც წესი, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული) დაპყრობისა და სასარგებლო წიაღისეულის, ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლუატაციის პოლიტიკა. XVI-XX საუკუნეებში სწორედ ამ პოლიტიკის წყალობით ჩაიგდო ხელში ქვეყნები და უზარმაზარი ტერიტორიები კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმსმელმა იმპერიამ — დიდმა ბრიტანეთმა (ინგლისმა). XXI საუკუნეში კი დემოკრატიის აკვნად წოდებული დიდი ბრიტანეთი და მისი მთავარი მოკავშირე აშშ — საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები — უფრო დახვეწილი მეთოდებით ეწევიან ქვეყნებისა და ხალხების ექსპლუატაციას, თუმცა არც სამხედრო მეთოდების გამოყენებაზე — ინტერვენციაზე, მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვაზე — ამბობენ უარს.**



**დიდი ბრიტანეთის იმპერია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობის წინაშე უამრავი დანაშაული ჩაიდინა, დღეს დახვეწილი მეთოდებით განაგრძობს სხვადასხვა ქვეყნის კოლონიზაციას, რომელთა შორის, სამწუხაროდ, საქართველოცაა**

აშშ და დიდი ბრიტანეთი სხვადასხვა ქვეყანაში დასავლური ე.წ. დემოკრატიული ფასეულობების დანერგვით ცდილობენ ამ ქვეყნების კულტურის, განათლების, ტრადიციების, რელიგიის დაკნინება-დამცრობას, რადგან ეროვნულ ფასეულობებს მოწყვეტილი გაუნათლებელი ადამიანები ადვილი სამართავები არიან. საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორების“ მიზანი ამ ადამიანების მეშვეობით თავიანთი ინტერესების დაცვაა. ეს ინტერესები კი რუსეთთან ბრძოლაში ამ ქვეყნის სიმდიდრეების ხელში ჩასაგდებად საქართველოს გამოყენებაა. საქართველოს „სტრატეგიული მეგობრები“ ამიტომ ცდილობენ, არ დაუშვან თავიანთი გავლენის შესუსტება ჩვენს ქვეყანაში და საქართველოს სვლა საკუთარი ინტერესების დაცვისა და მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით — რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისკენ. ამისთვის კი საქართველოში ჰყავთ მეხუთე კოლონა, რომლის წარმომადგენლებით გაძეძგილია ხელისუფლების თითქმის ყველა სტრუქტურა, პოლიტიკური პარტიები და ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები.

საქართველოში უცხო ქვეყნების უამრავი აგენტი რომ მოქმედებს, ამაზე ბევრი ექსპერტი ლაპარაკობს, ამას მოწმობს, აგრეთვე, **კავკასიასა და მოლდოვაში კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის დიდი ბრიტანეთის ფონდის (CSSF) 2016-2017 წლების საპროგრამო დოკუმენტი.** სწორედ ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები უცხო ქვეყნების აგენტებითაა სავსე, და ისიც, თუ რატომ მიჰყავთ ქართველები უცხოეთის, ძირითადად, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სასწავლებლებში „კვალიფიკაციის ასამაღლებლად“ (იხ. „საქართველო და მსოფლიოს“ 2016 წლის 45-ე ნომერში გამოქვეყნებული მასალა „დიდი ბრიტანეთი საქართველოს საბოლოო კოლონიზაციას აპირებს“). დიდი ბრიტანეთი, როგორც ნათლად ჩანს CSSF-ის საპროგრამო დოკუმენტიდან, არც მალავს, რომ საქართველოს განიხილავს, როგორც საინფორმაციო ომის პოლიგონს, და დაუფარავად აცხადებს, რომ აპირებს არა ობიექტური ინფორმაციისა და უტყუარი ფაქტების, არამედ „განსხვავებული“ ალტერნატიული ინფორმაციის გავრცელებას, ანუ დეზინფორმაციის ტირაჟირებას. თანაც ეს დეზინფორმაცია 5 ენაზე უნდა გავრცელდეს, რათა მრავალეროვან საქართველოში არავის მოაკლდეს ანგლო-საქსების მზრუნველი ხელი. **კავკასიასა და მოლდოვაში კონფლიქტების აღმოფხვრის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის დიდი ბრიტანეთის ფონდის 2016-2017 წლების საპროგრამო დოკუმენტში ყველაზე შეურაცხმყოფელია პუნქტი, რომელშიც საუბარია საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საინფორმაციო ბრძოლის საკითხების დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის მუდმივად ყოფნაზე.** როგორც ჩანს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწორედ ბრიტანეთის წარმომადგენელი მართავს და არა მინისტრი, ანუ საქართველოს სუვერენიტეტი ფიქციაა — ვატარებთ არჩევნებს, ვქმნით სახელმწიფო ატრიბუტებს, მაგრამ სინამდვილეში ქვეყანა გარედან იმართება. სამწუხაროდ, ეს არ ეხება მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, **„ეს წარმომადგენელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სხვა სტრუქტურებს ეხმარება ეფექტიანი თანამშრომლობის უზრუნველყოფაში“.** ჩანს, მეტასტაზები სრულიად მთავრობაზეა მოდებული, ამასთანავე, თვალშისაცემია ცინიზმი — ამ პროგრამის შემდგენელი ბრიტანელი სპეციალისტი აღნიშნავს, რომ „ნებისმიერი სახელმწიფოს დამოკიდებულების საფუძველი აქტიურად მოქმედი და კომპეტენტური სპეცსამსახურების ყოლაა, რომლებიც გარედან ნებისმიერ ჩარევას საკადრის პასუხს გასცემენ“. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ რა ვუყოთ ბრიტანელთა დოკუმენტს, რომელშიც გაწერილია საქართველოს, როგორც ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სუვერენიტეტის სრული ნიველირების გეგმა, მის თავდაცვასა და უშიშროებაზე სრული კონტროლის დამყარების ინსტრუქციები?! საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო რომ იყოს, მისი „კომპეტენტური სპეცსამსახურები“ დიდი ხნის წინათ გაანეიტრალებდნენ დაუფარავად მოქმედ დესტრუქციულ ორგანიზაციებს და ამ დოკუმენტის ავტორსაც კინწისკვრით გააძევებდნენ საქართველოდან, მაგრამ საქართველო (ნეოკოლონიალიზმის თვალსაჩინო პროდუქტი) ამის უფლებას, როგორც ჩანს, თავს ვერ მისცემს.

დიდი ბრიტანეთის იმპერია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობის წინაშე უამრავი დანაშაული ჩაიდინა, დღეს დახვეწილი მეთოდებით განაგრძობს სხვადასხვა ქვეყნის კოლონიზაციას, მათ შორის, სამწუხაროდ, საქართველოცაა.

ახლა კი გთავაზობთ სიას იმ ტერიტორიებისა, რომლებიც კოლონიური თუ სხვა ფორმით იყო დამოკიდებული დიდი ბრიტანეთის იმპერიაზე ან პირადად ინგლისის (დიდი ბრიტანეთი) მონარქზე.

კოლონიების მართვის ფორმა დროის მიხედვით იცვლებოდა, მაგრამ 1920-იანი წლების მდგომარეობით მათი კლასიფიცირება შეიძლება შემდეგი კატეგორიებით: თვით გაერთიანებული სამეფო — **ინგლისის, უელსის, შოტლანდიისა და ირლანდიის** (1922 წლიდან — მხოლოდ ჩრდილოეთი ირლანდია) **კავშირი; სამეფოს მიწები** (კუნძული მენი, ჯერსი და გერნსი); **დასახლებული კოლონიები.** ამ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა ბრიტანული სამართალი და კანონები, რომლებსაც ბრიტანეთის პარლამენტი იღებდა. სამეფო წარმოდგენილი იყო გუბერნატორის სახით, რომელსაც ბრიტანეთის მთავრობა ნიშნავდა; **კოლონიები, რომლებიც ამერიკაში არსებობდა XVI-XVII საუკუნეებში**. მათ სამეფო არისტოკრატებს გადასცემდა სამართავად; **კოლონიები, რომლებსაც მართავდნენ კომპანიები,** უწინარესად — ბრიტანელი ოსტ-ინდური კომპანია. არსებობდა, აგრეთვე, სხვა პატარა კომპანიებიც აფრიკაში; **პროტექტორატები.** მათ საშინაო საქმეებში ხშირად ერეოდა ბრიტანეთის ხელისუფლება; **დომინიონები.** გაჩნდა XX საუკუნის დასაწყისში როგორც ყოფილი დასახლებული კოლონიები ან ასეთი კოლონიების ფედერაციები; **მანდატს დაქვემდებარებული ტერიტორიები**. გაჩნდა I მსოფლიო ომის შემდგეგ. ეს ტერიტორიები ადრე გერმანიასა და ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა, მაგრამ ერთა ლიგამ სამართავად ბრიტანეთს გადასცა.

1876-დან 1947 წლამდე დიდი ბრიტანეთის მონარქს, აგრეთვე, ჰქონდა ინდოეთის იმპერატორის ტიტული, ამჟამად კი **დედოფალი ელისაბედ II არის 16 ქვეყნის მონარქი.**

**დიდი ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები:**

**ევროპა**

* **ირლანდია,** მათ შორის ოლსტერი;
* **ჰელგოლანდი** (1807-1890) — ამჟამად გერმანიის ნაწილი;
* **გიბრალტარი** — ამ ტერიტორიას ედავება ესპანეთი;
* **მენორკა** — ამჟამად ესპანეთის ნაწილი.
* **იონიის კუნძულები** — ამჟამად საბერძნეთის შემადგენლობაშია;
* **აკროტიხი და დეკელია** — ტერიტორიები კვიპროსზე.

**აზია**

* **მესოპოტამია;** ერაყის სამეფო; თანამედროვე ერაყი;
* **ბრიტანეთის მანდატი პალესტინაში**, მათ შორის, ტრანსიორდანიასა (ამჟამად იორდანია) და პალესტინაში;
* **ქუვეითი;**
* **ყატარი;**
* **ბაჰრეინი;**
* **ომანი;**
* **ამჟამადინდელი გაერთიანებული არაბული საამიროების ტერიტორია;**
* **ადენი. ამჟამად იემენის ნაწილი;**
* **ავღანეთი;**
* **ბრიტანეთის ინდოეთი;**
* **ნეპალი;**
* **ცეილონი** (ამჟამად შრი-ლანკა);
* **მალდივის კუნძულები.**
* **მალაიზია, მათ შორის, სინგაპური;**
* **ბრიტანეთის მალაია;**
* **სარავაკი;**
* **ბრიტანეთის ჩრდილოეთი ბორნეო;**
* **საბაჰი** (აღმოსავლეთი მალაიზია);
* **ბრუნეი;**
* **ჰონგკონგი** (აიმჟამად სიანგანი, ჩინეთის ავტონომიური რაიონი).

**აფრიკა**

* **ეგვიპტე;**
* **ინგლისურ-ეგვიპტური სუდანი;**
* **ბრიტანული აღმოსავლეთი აფრიკა;**
* **კენია;**
* **უგანდა;**
* **ტანგანიკა** (ამჟამად ტანზანიის ტერიტორიის ნაწილი);
* **ზანზიბარი** (ამჟამად ტანზანიის ნაწილი);
* **ბრიტანული სომალი** (ამჟამად, ფორმალურად, სომალის ნაწილი, დე ფაქტო — სომალილენდი);
* **როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაცია;**
* **სამხრეთი როდეზია** (ამჟამად ზამბია);
* **ჩრდილოეთი როდეზია** (ამჟამად ზამბია);
* **ნიასალენდი** (ამჟამად მალავი);
* **ბრიტანული სამხრეთი აფრიკა;**
* **კაპისა და ნატალის პროვინციები** (ამჟამად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაწილი);
* **ნარინჯისფერი თავისუფალი რესპუბლიკა** (ამჟამად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაწილი);
* **ტრანსვაალი** (ამჟამად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაწილი);
* **ბეჩუანალენდი** (ამჟამად ბოტსვანა);
* **სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა** (ამჟამად ნამიბია);
* **ბასუტოლენდი** (ამჟამად ლესოტო);
* **სვაზილენდი;**
* **სეიშელის კუნძულები;**
* **ჩაგოსის არქიპელაგი** (ბრიტანეთის ტერიტორია ინდოეთის ოკეანეში).;
* **მავროკია;**
* **გამბია;**
* **ნიგერია;**
* **ბრიტანეთის კამერუნი** (თანამედროვე კამერუნისა და ნიგერიის ნაწილი).;
* **ბრიტანეთის ტოგო** (ამჟამად განა);
* **სიერა-ლეონე;**
* **წმინდა ელენესა და ტრისტან და კუნიას კუნძულები.**

**ამერიკა**

* **კანადა;**
* **ნიუფაუნლენდი** (ამჟამად კანადის ნაწილი);
* **ბერმუდის კუნძულები** (ეს ტერიტორია ამჟამადაც ბრიტანეთს ეკუთვნის);
* **13 კოლონია, რომლებისგანაც 1776 წელს შეიქმნა აშშ;**
* **ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები;**
* **დომინიკა;**
* **ბარბადოსი;**
* **ტრინიდადი და ტიბაგო;**
* **სენტ-ლუსია;**
* **ანგილია;**
* **ანტიგუა და ბარბუდა;**
* **სენტ-ვინსენტი და გრენადინი;**
* **სენტ-კიტსი და ნევისი;**
* **ბრიტანეთის გვიანა** (ამჟამად გაიანა);
* **ბრიტანეთის ჰონდურასი** (ამჟამად ბელიზი);
* **კაიმანის კუნძულები;**
* **იამაიკა**
* **ფოლკლენდისა და სენდვიჩის კუნძულები.**

**ავსტრალია, ოკეანეთი და ანტარქტიკა:**

* **ავსტრალია;**
* **ვან დიმენის მიწა** (ტასმანია);
* **პაპუა** (ამჟამად პაპუა — ახალი გვინეის ნაწილი);
* **სოლომანის კუნძულები;**
* **ნაურუ;**
* **აღდგომის კუნძული** (ამჟამად ავსტრალიის ნაწილი);
* **ქოქოსის კუნძულები** (ამჟამად ავსტრალიის ნაწილი);
* **ავსტრალიის ატნარქტიკული ტერიტორია;**
* **ახალი ზელანდია;**
* **ტოკელაუ** (ამჟამად ახალი ზელანდიის ნაწილი);
* **ნიუე** (ამჟამად ახალი ზელანდიის ნაწილი);
* **ბრიტანეთის სამოა;**
* **კუკის კუნძულები** (ამჟამად ასოცირებულია ახალ ზელანდიასთან);
* **ფიჯი;**
* **გილბერტისა და ელისის კუნძულები** (ამჟამად ტუვალუ და კირიბატის ნაწილი);
* **ახალი ჰებრიდები** (ამჟამად ვანუატუ);
* **პიტკერნი;**
* **ტონგა** — დიდი ბრიტანეთის პროტექტორატი 1900-1970 წლებში.

აი ტერიტორიები, რომლებიც დაპყრობილი ჰქონდათ ინგლისელებს, და სადაც მოსახლეობის ექსპლუატაციას ეწეოდნენ. ეს ტერიტორიები კი დედამიწის მეოთხედზე მეტია. დღეს დასავლელი ექსპერტები და პოლიტიკოსები ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირი იყო ხალხების საპყრობილე და ბოროტების იმპერია, არადა, მსოფლიოს ისტორიისთვის თვალის გადავლებაც საკმარისია, რათა დარწმუნდეთ, რომ ისეთი სისხლისმსმელი და ბოროტი, ხალხებისა და ქვეყნების ექსპლუატატორი სახელმწიფო წარმონაქმნი, როგორიც დიდი ბრიტანეთის იმპერიაა, რომელიც მონებით ვაჭრობდა და პირველი საკონცენტრაციო ბანაკები შექმნა, კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ 36 წლის მამაკაცი ცოლს გაეყარა. უფროსი ქალიშვილი, რომელიც იმხანად 13 წლისა იყო, მამასთან დარჩა, ორი უმცროსი და დედას გააყოლეს. მას შემდეგ ეს ორფეხა ცხოველი, მამად წოდებული, თითქმის ყოველდღიურად „ხმაროზდა“ თავის შვილს, არცთუ იშვიათად — გაუკუღმართებულადაც. დადგენილია, რომ სექსუალური ურთიერთობა 626-ჯერ გამეორდა. კაცს ბრალი წარუდგინეს სოდომიაში, გაუპატიურებასა და ინცესტში.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ლუიზიანაში გეების დახოცვის ლოზუნგით გამოდიან

**ამ შინაარსის პროკლამაციები გაავრცელა კუ-კლუკს-კლანის ულტრამემარჯვენე ორგანიზაციამ, რომელიც აშშ-ის ლუიზიანის შტატში არის დაბანაკებული. აქტივისტები მოუწოდებენ ადგილობრივ მოსახლეობას, შევიდნენ „თეთრი ძალის კლანის“ რიგებში, რათა დახოცონ გეები და „გადაარჩინონ ჩვენი მიწა უწმინდურობისგან“. „ჰომოსექსუალი კაცები და მათი სქესობრივი აქტები საზიზღრობაა და არაადამიანური“, — ნათქვამია ერთ-ერთ ფლაიერში, „ჩვენი რასა არის ერი“, — ეს კი მეორიდან ამოღებული წინადადებაა.**

სააგიტაციო ფურცლები ხელმოწერილია „კუ-კლუკს-კლანის“ ერთგული თეთრი რაინდების მიერ.

ლგბტ-თემის წარმომადგენლებზე თავდასხმა გახშირდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. პოლიციის მონაცემებით, ასეთი სახის დანაშაული ჩადენილი დანაშაულების 11 პროცენტს შეადგენს, რაც პედერასტების გალაღების, თავგასულობისა და საკუთარი არატრადიციული ორიენტაციის წინააღმდეგ მოსახლეობის ბუნებრივი რეაქციის შედეგია.

2017 წლის აგვისტოში ამერიკის შეერთებულ შტატებში ლგბტ-თემისადმი სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი 33 მკვლელობა აღირიცხა. შარშან, მთელი წლის განმავლობაში, კი — 28, ორლანდოს გეიკლუბში განხორციელებული ტერაქტის ჩაუთვლელად, რადგან 49 ადამიანი დაიღუპა.

გამოცემა „ლაიფი“ იუწყება, რომ 2016 წელს მამათმავლებისა და ა.შ. მკვლელობა ყოველ 13 დღეში ერთხელ ხდებოდა, წლეულს — ყოველ 6 დღეში ერთხელ, 2017 წელს დაღუპულთა შორის 15 შავკანიანი ქალია.

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## მსოფლიოს ჩემპიონი და «ოსკარის» პრემიის ლაურეატი მამაკაცები დაქორწინდნენ

**2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და ორგზის ოლიმპიური ბრინჯაოს მედლის მფლობელი წყალში ხტომაში — ტომ დეილი და მისი ბოიფრენდი — რეჟისორი და სცენარისტი, „საუკეთესო ორიგინალური სცენარის“ კატეგორიაში „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი ფილმისთვის „ჰარვი მილკი“ დასტინ ლენს ბლეკი.**



აი ეს ორი „ვაჟკაცი“ დაქორწინდა. ჯვარი იფსკვნეს Bocey Castle-ის სასახლეში, რომელიც დარტმურის ეროვნულ პარკშია, პლიმუტის ახლოს. 22 წლის ტომმა და 42 წლის დასტინმა თავიანთი ბედით დაინტერესებული სოცქსელების მომხმარებლები „ინსტაგრამში“ გამოქვეყნებული ფოტოთი გაახარეს. ბედნიერმა წყვილმა ფოტოსურათი საქორწილო ზეიმისას გადაიღო, რომელსაც 120-მდე სტუმარი ესწრებოდა — საშუალო მასშტაბის ქელეხზე დამსწრეთა რაოდენობა.

ჩვენებურ ჭირის სუფრაზე მოგახსენებთ.

ჭირი და უბედურება ვთქვით, მაგრამ ამათ რომ გაიხარეს, რომეო და ჯულიეტა ვერ გაიხარებდნენ, კაპულეტებისა და მონტეკების შერიგებულ გვარებს ერთობლივად რომ გადაეხადათ მათთვის ქორწილი.

„მე მთელი ჩემი ცხოვრების ერთადერთ და უდიდეს სიყვარულზე ვიქორწინე. ჩვენი სიხარულისა და ბედნიერების ეს დღე ნათესავებთან და უახლოეს მეგობრებთან ერთად აღვნიშნეთ. მადლობა ყველას, ვინც ეს უქმე დღეები ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულ დღეებად გვიქცია!“ — შექსპირის პოეტურ სტილში იმეტყველა დეილიმ სოცქსელებში, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ, ქაღალდისა არ იყოს, ინტერნეტიც ყველა უბედურებასა და უზნეობას იტანს.

თუ იკადრებ და დაწერ.

კადრულობენ და წერენ.

არც ამათ დააკლეს და მსოფლიოს აცნობეს, რომ 2013 წლიდან არიან ერთად, ნიშნობა 2015-ში ჰქონდათ. საზოგადოებრიობამ კი მხოლოდ ახლახან გაიგო ორი შეყვარებული გულის ერთ ოჯახად გარდასახვის ამბავი. ტომმა გაიხსენა, რომ დასტინი ერთი ნახვით შეუყვარდა, 18 წლის ბიჭი მიხვდა, რომ იპოვა თავისი სიყვარული, რომლის ერთგული საფლავის კარამდე დარჩებოდა, როგორც ულალატო ცოლი. The Mirror-ის ჟურნალისტის შეკითხვაზე — ნაადრევად ხომ არ იგრძნო ასეთი რამ, ტომმა განუცხადა: „არავითარ შემთხვევაში“.

ჰოდა, ჭირიც — იქა!

# ამერიკაში ათაშანგის ეპიდემია ბობოქრობს

**აშშ-ის ოკლაჰომას შტატი სოციალური თვალსაზრისით საკმაოდ კონსერვატულია. რამდენიმე თვეა, ჯანმრთელობის დაცვის მოხელეები გაკვირვებული არიან, რომ დაავადება, რომელიც ორი ათეული წლის განმავლობაში პრაქტიკულად დამარცხებულად ითვლებოდა, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის სწრაფად გავრცელდა.**

ლაპარაკია ვენერიულ დაავადებაზე, სახელწოდებით ათაშანგი (იგივე სიფილისი), რომელსაც შეუძლია დააბრმავოს ადამიანი, გამოიწვიოს ორგანიზმის დამბლა და დემენციები. „ნიუ იორკ თაიმსი“ შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ათაშანგი არა მხოლოდ ამ შტატში დაბრუნდა, არამედ შეუჩერებლად ვრცელდება მთელ ქვეყანაში.

ცნობილია, რომ სიფილისი დაავადებული ადამიანიდან ჯანმრთელზე სქესობრივი კავშირით გადადის, ხოლო დამცავი საშუალებები პრაქტიკულად ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას.

იყო დრო, როცა, მაგალითად, საქართველოში სიფილისიანებს უგარყვნილეს ადამიანებად მიიჩნევდნენ და მათ ისე უფრთხოდნენ, როგორც კეთროვნებს, ეს დაავადება კი მეძავების ავადმყოფობად ითვლებოდა, ჯურღმულებში მცხოვრებთა პრიორიტეტად.

მაგრამ არც ბოჰემისთვის იყო უცხო.

„ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ამ დაავადების გავრცელება მსოფლიოში უმდიდრეს და სოციალურად კეთილმოწყობილ აშშ-ში ამერიკელების მიერ ჰეროინისა და მეტამფეტამინის გახშირებული მოხმარების კიდევ ერთი, სავალალო შედეგია — წამალდამოკიდებულების ფინალი. ავტორი მიიჩნევს, რომ მომხმარებლები ნარკოტიკების საფასურს სქესობრივი კავშირით იხდიან.

ოკლაჰომელი დეტექტივები დადიან სანახევროდ დანგრეული კვარტალების ქუჩებში, ბინძურ მოტელებში, უკაცრიელ სასოფლო გზებზე, საპყრობილეებში და გამოკითხვებით ცდილობენ შესაძლო პაციენტების პოვნას. ეს დაავადება აღმოუჩინეს ადგილობრივი ბანკის 17 თანამშრომელს, ნარკოტიკების გამავრცელებლებს, მეძავებს, სუტენიორებსა და მათ კლიენტებს, მეუღლეებსა და საყვარლებს.



**ამ დაავადების გავრცელება მსოფლიოში უმდიდრეს და სოციალურად კეთილმოწყობილ აშშ-ში ამერიკელების მიერ ჰეროინისა და მეტამფეტამინის გახშირებული მოხმარების კიდევ ერთი, სავალალო შედეგია**

სამედიცინო კვლევების ვეტერანმა **პორშია კინგმა**, რომელიც ოკლაჰომაში მოღვაწეობს, განაცხადა, რომ შტატში აღძრულ 200 საქმეში დღემდე დადგენილი არ არის დაავადების მატარებელი სექსუალური პარტნიორები. ამასობაში დაავადება ქალაქიდან თანდათან მიგრირებს.

შარშან შემოდგომაზე არასრულწლოვან დამნაშავეთა დაკავების ცენტრში ათაშანგით დაავადების სამი შემთხვევა აღრიცხეს: 14 წლის ორი გოგონასი და ერთი ბიჭის. არადა, მანამდე, შვიდი წლის განმავლობაში, არც ერთი მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. წელს, თებერვალში, კი აღნიშნული დაავადება ერთ პატიმარს დაუდგინეს. მან ჩამოთვალა თავისი სექსუალური პარტნიორები — 24 ადამიანი, მათ შორის ბანდიტების მიერ ხელიდან ხელში გადასაცემი გოგოები, რომელთა მომსახურებას, ჩვეულებრივ, ჰეროინსა და მეტამფეტამინზე ცვლიდნენ.

სიფილისის გავრცელების შესახებ კონტაქტურმა ინფორმაციამ, რომელიც გართობათა დირექტორმა (ასე წარუდგა იგი კვლევების მონაწილეებს) მარტში გაამჟღავნა, ჯანდაცვის მოხელენი აიძულა, განეცხადებინათ, რომ ამერიკაში ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ეპიდემია არსებობს. სიფილისის მსხვერპლთა შორის არიან ჰომოსექსუალები და ბისექსუალები, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან ჩასულები. დღეს ოკლაჰომაში სულ უფრო შესამჩნევად ავადდებიან ასევე თეთრკანიანი ქალები და მათი შვილები.

**ოკლაჰომაში 2017 წელს დარეგისტრირებულია სიფილისით დაავადების 199 შემთხვევა. პაციენტების ნახევარზე მეტი თეთრკანიანია, მატ შორის არიან ქალებიც. ყველაზე ახალგაზრდა 14 წლის გოგონაა, ყველაზე ხანდაზმული პაციენტი — 61 წლის მამაკაცი, 13 ქალი ფეხმძიმედაა. ბევრმა არც იცის, რომ დაავადებულია.**

დაავადების ადრეულ სიმპტომებს, მათ შორის, გენიტალიებზე, მოგვიანებით კი გამონაყარს ხელისა და ფეხის გულებზე, პაციენტები და მედიკოსები შეცდომით მიაწერენ ჰერპესსა და ალერგიულ რეაქციას. დაავადებამ შეიძლება თავი არ იჩინოს ათწლეულების განმავლობაში, შემდეგ კი მოულოდნელად გამოვლინდეს თირკმელების ფუნქციის მოშლით, სახსრებისა და სისხლძარღვების მწყობრიდან გამოყვანით. ესაა საშიში...

ნეოკოლონიალიზმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნეოკოლონიზაციის ეს ახალი ტალღა, რომელიც მიმართულია ყველაზე მდიდარი ქვეყნების ყველაზე მდიდარი ადამიანების ინტერესების დასაცავად, ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის სახელით და ენთუზიაზმით არის მხარდაჭერილი ბევრი თვითაღიარებული „პროგრესისტის“ მიერ.**

# როგორ ანადგურებენ იმპერიალისტები კოლონიებს ძალაუფლების მოპოვების მიზნით

**მცირე შემოკლებით გთავაზობთ ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტის — ნილ კლარკის სტატიას „იმპერიის საპასუხო დარტყმა უპატიოსნო და დესტრუქციული ნეოკოლონიალიზმის საშუალებით“, რომელიც ინტერნეტრესურსმა Global Research-მა გამოაქვეყნა.**

„აგვისტოში აღინიშნა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი „იუბილე“. პრობლემა არის ის, რომ **კოლონიალიზმი არ გამქრალა მას შემდეგ, რაც განვითარებადი სამყაროს ქვეყნებმა დამოუკიდებლობა „ევროპის დიდი სახელმწიფოებისგან“ ოფიციალურად მიიღეს. ის შეიცვალა ახალი ფორმით, რომელიც გაცილებით დამანგრეველი და განუზომლად უპატიოსნო აღმოჩნდა თავის წინამორბედზე. ყოველ შემთხვევაში, ბრიტანეთის იმპერიამ, რომელიც თავისი ძლიერების პიკზე დედამიწის მეოთხედს ფლობდა, აღიარა, რომ ის იყო იმპერია. ფინანსური კაპიტალის გლობალური მონოპოლიის ამჟამინდელი იმპერია კი მსგავსს არაფერს აკეთებს.**

**იუგოსლავია, ლიბია და ერაყი განადგურდა იმიტომ, რომ არ დაემორჩილა მოთხოვნებს, ხოლო ისინი, ვინც განაგრძობს ნეოკონსერვატიულ-ნეოლიბერალური ელიტებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, მაგალითად, ვენესუელა, გამუდმებით ალყაშია მოქცეული.**

ნეოკოლონიზაციის ეს ახალი ტალღა, რომელიც მიმართულია ყველაზე მდიდარი ქვეყნების ყველაზე მდიდარი ადამიანების ინტერესების დასაცავად, ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის სახელით და ენთუზიაზმით არის მხარდაჭერილი ბევრი თვითაღიარებული „პროგრესისტის“ მიერ.

**განსაცვიფრებელია თვალთმაქცობა თანამედროვე იმპერიალისტებისა, რომლებმაც გააკრიტიკეს ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო და ის დიქტატორად შერაცხეს, მაგრამ მიესალმებიან საუდის არაბეთის არაარჩეულ მმართველებს და მათთვის არც მომაკვდინებელი იარაღის მიყიდვაზე ამბობენ უარს.**

1940-50-იან წლებში ყველაფერი სხვაგვარად ჩანდა. თითქოს კოლონიალიზმმა უკან დაიხია. **მაჰათმა განდიმ** 70 წლის წინათ დაიწყო ბრძოლა დიდი ბრიტანეთისგან ინდოეთის გათავისუფლებისთვის. 70 წლის წინათ, 1947 წლის 14-15 აგვისტოს ინდოეთმა და ახალმა სახელმწიფო პაკისტანმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. 60 წლის წინათ (1957 წლის 31 აგვისტოს) მალაის ფედერაცია (ამჟამად მალაიზია) გათავისუფლდა დიდი ბრიტანეთის კოლონიური უღლისგან. ეს მნიშვნელოვანი მოვლენები იყო, მაგრამ პროგრესისტების იმედი, რომ დეკოლონიზაციის შემდეგ ყოფილი კოლონიები რეალურად მოიპოვებდნენ თავისუფლებას, ძალიან ოპტიმისტური აღმოჩნდა. ინდოეთი და მალაიზია, შესაძლოა, მართლა განვითარდნენ, მაგრამ სხვა ქვეყნებისთვის „გარდაქმნების ქარზე“ ლაპარაკი ფუჭი ყბედობა იყო. **დამოუკიდებლობა ნიშნავდა ნაციონალური სუვერენიტეტის გარეგნული ატრიბუტების მიღებას. ესენია: დროშა, ეროვნული ჰიმნი, გაეროს წევრობა და საფეხბურთო ნაკრები. ეკონომიკური ძალა და ძალაუფლება კვლავ სხვაგან იყო: ბანკებსა და მდიდარი ქვეყნების სათათბირო დარბაზებში.**

პანაფრიკანიზმის თავგამოდებულმა მომხრე **კვამე ნკრუმამ**, იმხანად განის პრეზიდენტმა, 1965 წელს გამოცემულ წიგნში „ნეოკოლონიალიზმი, როგორც იმპერიალიზმის ბოლო სტადია“ ახსნა, როგორ შეცვალა კოლონიალიზმი ნეოკოლონიალიზმმა.

„ადრე შესაძლებელი იყო კოლონიურ ტერიტორიად იმ ქვეყნის გადაქცევა, რომელშიც დაწესდა ნეოკოლონიური რეჟიმი — მაგალითად, ეგვიპტის XX საუკუნეში. დღეს ასეთი პროცესი შეუძლებელია“, — წერდა ნკრუმა. საკუთარ ქვეყანაში აყვავებული სახელმწიფოს ასაშენებლად აუცილებელია, კოლონიებს ფორმალურად მიეცეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ — არა კონტროლი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კრედიტორი ქვეყნის პოზიცია დეკოლონიზაციის „ფორმალური“ პროცესის დასაჩქარებლად გამოიყენა, თუმცა ეს მხოლოდ იმისთვის გააკეთა, რომ ძალაუფლება განემტკიცებინა იმ ქვეყნებში, რომლებშიც ოდესღაც დომინირებდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჰოლანდია. ნკრუმას მოჰყავს ვიეტნამის მაგალითი, სადაც „ძველი“ კოლონიზატორი იყო საფრანგეთი, მაგრამ ნეოკოლონიზატორობა აშშ-მა დაიკისრა. შეიძლება ითქვას, რომ აშშ იყო ნეოკოლონიალიზმის პიონერი — **როცა ძველმოდური იმპერია კვლავინდებურად დომინირებდა დანარჩენ მსოფლიოში, აშშ ნეოკოლონიზაციის მეთოდებს იყენებდა აშშ-ის მსხვილი ბიზნესისთვის ლათიური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკების დასამორჩილებლად.**

დღეს აშშ-ის ფინანსურ-კორპორაციული ელიტა ვენესუელაში **მადუროს** მემარცხენე რეჟიმის შეცვლას ისევე ცდილობს, როგორც 1913 წელს აშშ-ის ელჩი მექსიკაში, **ჰენრი ლეინ უილსონი,** გაურიგდა გენერალ **ვიქტორიანო უერტას** პრეზიდენტ **ფრანსისკო იგნასიო მადეროს** მემარცხენე რეჟიმის დასამხობად. ეს სცენარი ხშირად მეორდებოდა ბოლო 100 წლის განმავლობაში. **ტექნოლოგიები, რომლებიც ვაშინგტონმა დახვეწა ლათინურ ამერიკაში (სახელმწიფო გადატრიალების მხარდაჭერა იმ დემოკრატიულად არჩეული მთავრობების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ ეკონომიკაზე ნაციონალური კონტროლის შენარჩუნებას; ოპოზიციის დაფინანსება და რეალური დამოუკიდებლობის მოსურნე პოლიტიკოსების ლიკვიდაცია) და რომელთა მოქმედებასაც ვხედავდით გვატემალაში 1954 წელს, ბრაზილიაში — 1964 წელს და ჩილეში — 1973-ში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოიყენეს.** სია იმ მთავრობებისა, რომლებიც, პირდაპირ თუ ირიბად, აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა ეკონომიკური კონტროლის დასამყარებლად დაამხეს, ძალიან გრძელია, მაგრამ მოგიყვანთ რამდენიმე მაგალითს:



**ინდონეზიაში ნეოკოლონიურმა რეჟიმმა 3 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 2016 წელს მოსამართლეების საერთაშორისო ჯგუფმა აღიარა, რომ ინდონეზიაში მოწყობილ გენოციდში მონაწილეობდნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი და ავსტრალია**

## ინდონეზია, 1965-1966 წწ.

აშშ მხარს უჭერდა სამხედროების მიერ აგორებული მასობრივი მკვლელობების სისხლიან ტალღას, რომლის შედეგად დაემხო „პოსტკოლონიური“ ინდონეზიის პირველი პრეზიდენტის, **სუკარნოს,** რეჟიმი. მის ადგილას დასვეს პროდასავლელი დიქტატორი — გენერალი **სუჰარტო**.

„აშშ-ის საელჩომ ჯაკარტაში სუჰარტოს ინდონეზიის კომუნისტური პარტიის წევრების სია წარუდგინა და, როდესაც მათ აპატიმრებდნენ ან კლავდნენ, სიაში გადახაზავდნენ ხოლმე“, — წერს **ჯონ პილჯერი,** რომელმაც იმდროინდელი მოვლენები შეისწავლა და ასახა 2001 წელს გადაღებულ ფილმში „მსოფლიოს ახალი მმართველები“.

„სუჰარტოს მმართველობისას ინდონეზიამ შესთავაზა ის, რასაც რიჩარდ ნიქსონმა „ყველაზე მდიდარი ბუნებრივი რესურსი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ყველაზე დიდი პრიზი უწოდა“. 1967 წლის ნოემბერში ყველაზე დიდი პრემია გადაცემული იქნა ჟენევაში გამართულ ცნობილ სამდღიან კონფერენციაზე, რომლის ორგანიზატორი იყო კორპორაცია Time-Life. **დევიდ როკფელერის** მეთაურობით წარმოდგენილი იყვნენ გიგანტი კორპორაციები: დიდი სანავთობე კომპანიები და ბანკები — General Motors-ი, Imperial Chemical Industries-ი, British American Tobacco, Siemens-ი, US Steel და სხვ. მაგიდის მეორე მხარეს ისხდნენ ამერიკელების მიერ შერჩეული სუჰარტოს ეკონომისტები, რომლებიც დათანხმდნენ თავიანთი ქვეყნის კორპორაციულ გადაყლაპვას“, — წერდა პილჯერი.

**ინდონეზიაში ნეოკოლონიურმა რეჟიმმა 3 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. 2016 წელს მოსამართლეების საერთაშორისო ჯგუფმა აღიარა, რომ ინდონეზიაში მოწყობილ გენოციდში მონაწილეობდა აშშ, დიდი ბრიტანეთი და ავსტრალია.**

## ირანი, 1953 წ.

დემოკრატიულად არჩეული ნაციონალისტის, **მოჰამედ მოსადიკის,** დამხობა და მისი შეცვლა უფრო დამთმობი შაჰით, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ერთობლივი ოპერაცია იყო. მოსადიკის „დანაშაული“ იყო ის, რომ თავისი ქვეყნის ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია და მიღებული შემოსავლების სიღარიბისა და დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენება სურდა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს მისი მოშორება ნეოკოლონიზაციის მიმდევრებმა.

**„ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და დაზვერვის სპეციალური სამსახურის პროპაგანდისტული აქტივები უფრო ინტენსიურად უნდა ავამოქმედოთ პრესისა და თეირანის სასულიერო პირების მეშვეობით, რათა როგორმე დავასუსტოთ მოსადიკის მთავრობა“,** — მოითხოვდა ე.წ. პროექტ TPAJAX-ის მთავარი შემოქმედი **დონალდ უილბერი.**

2013 წლის გასაჯაროებული დოკუმენტებიდან ირკვევა: **„სამხედრო გადატრიალება, რომლის შედეგად დაემხო მოსადიკი და მისი ნაციონალური ფრონტის კაბინეტი, მოეწყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით. ეს აქტი მოწონებული იყო მთავრობის უმაღლეს ეშელონებში“.**

## იუგოსლავია, 1990-2000 წწ.

იუგოსლავიის სოციალისტი ლიდერი **სლობოდან მილოშევიჩი** 1990-იან წლებში დემონიზებული იყო დასავლური ელიტების მიერ. ეს გაკეთდა იმიტომ, რომ მილოშევიჩს ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება სურდა.

**1999 წელს, ნატოს მიერ იუგოსლავიის 78-დღიანი უკანონო დაბომბვის შემდეგ, სლობოდან მილოშევიჩი მიხვდა, რომ „რეჟიმის შეცვლის“ ოპერაცია მის სასწრაფოდ დასამხობად ხორციელდებოდა. ქვეყანაში მილიონობით დოლარი შევიდა აშშ-დან ოპოზიციონერებისა და ანტისამთავრობო ჯგუფების, მაგალითად, „ოტპორის“ დასაფინანსებლად. მილოშევიჩი დაამხეს 2000 წელს ე.წ. ბულდოზერების რევოლუციის შედეგად, რომელიც დასავლეთმა დააფინანსა.**

აი, რას ამბობს აშშ-ის სახდეპარტამენტის ყოფილი ოფიცერი **ჯორჯ კენი** იუგოსლავიაში განვითარებულ მოვლენებზე:

**„ცივი ომის შემდგომ ევროპაში ადგილი აღარ დარჩა დიდი სოციალისტური სახელმწიფოსთვის, რომელიც გლობალიზაციას ეწინააღმდეგებოდა“.**

ამჟამად კი ნეოკოლონიური რეჟიმების შემოქმედნი ვენესუელაში ამოქმედდნენ. ნიკოლას მადურო, ისევე, როგორც მილოშევიჩი და ბევრი სხვა, ვინც ხელს უშლიდა „მსოფლიოს ახალ მმართველებს“, დიქტატორად შერაცხეს.

ვენესუელის მთავრობის გააფთრებულ კრიტიკაში, რომელიც უკვე, კარგა ხანია, ისმის დასავლური მედიიდან, არსად არის ნახსენები კამპანია, რომელიც მიმართულია ვენესუელის დესტაბილიზაციისა და ამ ქვეყნის ეკონომიკის საბოტაჟისკენ, არავინ ლაპარაკობს, აგრეთვე, ოპოზიციისა და ანტისამთავრობო აქტივისტების ხაზინაში აშშ-დან გადარიცხულ მილიონობით დოლარზე. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ვენესუელის მთავრობას აშშ-ში ანტისამთავრობო ორგანიზაციები რომ დაეფინანსებინა, მაგრამ, როცა ამას ნეოკოლონისტები აკეთებენ სხვა ქვეყნებში, მისაღებია.

კვამე ნკრუმა ნეოკოლონიალიზმს „იმპერიალიზმის ყველაზე ცუდი ფორმა“ უწოდა და მართალიც იყო:

„რა დაემართა ნკრუმას?“ — იკითხავთ თქვენ. **თანამედროვე განის შემოქმედი წიგნის გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვეში სახელმწიფო გადატრიალებით დაამხეს. „გათავისუფლების ეროვნულმა საბჭომ“, რომელმაც ნკრუმა დაამხო, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიოს ბანკის ხელმძღვანელობით სწრაფად შეცვალა განის ეკონომიკა დასავლური კაპიტალის ინტერესების სასარგებლოდ.**

დასავლეთი უარყოფდა მონაწილეობას განაში განვითარებულ პროცესებში, მაგრამ წლების შემდეგ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერმა **ჯონ სტოკველმა** აღიარა: „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტურამ განაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ნკრუმას დამხობაში 1966 წელს“.

დღეს ნეოკოლონიალიზმის წარმომადგენლებს სურთ, მხარი დავუჭიროთ მათ „პროგრესულ“ ჯვაროსნულ ლაშქრობას „დემოკრატიისა“ და „ადამიანების უფლებების“ დასაცავად ნავთობით მდიდარ ვენესუელაში. კვამე ნკრუმა, ცოცხალი რომ იყოს, მოგვიწოდებდა, ყურადღებით დავკვირვებოდით საერთო სურათს“.

**Global Reslarch-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

**ამერიკაში უკვე 100 ათასამდე (2 სექტემბრის მონაცემებით) მოქალაქემ მოაწერა ხელი პეტიციას, რომლის მიხედვით აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მილიარდერი ჯორჯ სოროსი ტერორისტად უნდა გამოაცხადოს და ქონება და აქტივი ჩამოართვას. პეტიციის ავტორები ამტკიცებენ, რომ სოროსი რამდენჯერმე შეგნებულად შეეცადა აშშ-ში პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციას. განცხადების მიხედვით, მილიარდერმა რამდენიმე ათეული ორგანიზაცია დააარსა ერთადერთი მიზნით: აშშ-ის მთავრობის კრახის გამოსაწვევად.**

ფაქტები და მოვლენები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მსოფლიოს 10 უმძლავრესი არმია



**საერთაშორისო კომპანია Global Firepower-მა მსოფლიოს უმძლავრესი არმიების სარეიტინგო სია გამოაქვეყნა. სიის შედგენაზე მუშაობდნენ ბრიტანეთის წმინდა ენდრიუს უნივერსიტეტის სპეციალისტები, რომლებიც აგროვებენ და აანალიზებენ ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესახებ.**

2017 წელს შეისწავლეს 126 ქვეყნის არმია. კვლევა მოიცავდა 50 პარამეტრს, მათ შორის, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, სამხედრო მრეწველობის განვითარების დონეს, შეიარაღების სახეობების მრავალფეროვნებას, გეოგრაფიულ მდებარეობას, ლოჯისტიკას, ბუნებრივ რესურსებს, მოსახლეობის რაოდენობასა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სამხედრო ძლიერების განმსაზღვრელ პარამეტრებს შორის არ არის ბირთვული იარაღი, რადგან ის არასდროს არ გამოიყენება რეალური საომარი მოქმედებებისას, თუმცა ატომური არსენალის მქონე ქვეყნებმა შეფასებისას დამატებითი „ბონუსი“ მიიღეს.

გთავაზობთ Global Firepower-ის სარეიტინგო სიას:

### აშშ

მოსახლეობა — 329 მლნ.

პოტენციური სამხედრო რეზერვი — 145,2 მლნ ადამიანი, მოქმედი ჯარი — 1,3 მლნ.

საჰაერო ძალები — 13 700 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სახმელეთო ძალები — 5 800 ტანკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 415 ხომალდი.

სამხედრო ბიუჯეტი — 587,8 მლრდ დოლარი.

### რუსეთი

მოსახლეობა — 142,3 მლნ.

პოტენციური სამხედრო რეზერვი — 70 მლნ ადამიანი, მოქმედი ჯარი — 798 500 კაცი.

საჰაერო ძალები — 3800 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სახმელეთო ძალები — 20000 ტანკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 352 ხომალდი.

სამხედრო ბიუჯეტი — 44,6 მლრდ დოლარი.

### ჩინეთი

მოსახლეობა — 1,3 მლრდ.

პოტენციური სამხედრო რეზერვი — 750 მლნ ადამიანი, მოქმედი ჯარი — 2,2 მლნ.

საჰაერო ძალები — 2 900 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სახმელეთო ძალები — 5 400 ტანკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 714 ხომალდი.

სამხედრო ბიუჯეტი — 161,7 მლრდ დოლარი.

### ინდოეთი

მოსახლეობა — 1,2 მლრდ.

პოტენციური სამხედრო რეზერვი — 616 მლნ, მოქმედი ჯარი — 1,3 მლნ.

საჰაერო ძალები — 2 100 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სახმელეთო ძალები — 4 400 ტანკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 395 ხომალდი.

სამხედრო ბიუჯეტი — 51 მლრდ დოლარი.

### საფრანგეთი

მოსახლეობა — 66,8 მლნ.

პოტენციური სამხედრო რეზერვი — 30 მლნ, მოქმედი ჯარი — 204 000 კაცი.

საჰაერო ძალები — 1300 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სახმელეთო ძალები — 406 ტანკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 118 ხომალდი.

სამხედრო ბიუჯეტი — 35 მლრდ დოლარი.

### დიდი ბრიტანეთი

მოსახლეობა — 64,4 მლნ.

პოტენციური სამხედრო რეზერვი — 30 მლნ, მოქმედი ჯარი — 151 100 კაცი.

საჰაერო ძალები — 856 თვითმფრინავი და ვერტმფრენი

სახმელეთო ძალები — 249 ტანკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 76 ხომალდი.

სამხედრო ბიუჯეტი — 45,7 მლრდ დოლარი.

### იაპონია

მოსახლეობა — 126,7 მლნ.

პოტენციური სამხედრო რეზერვი — 54 მლნ, მოქმედი ჯარი — 248 500 კაცი.

საჰაერო ძალები — 1500 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სახმელეთო ძალები — 700 ტანკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 131 ხომალდი.

სამხედრო ბიუჯეტი — 43, 8 მლრდ დოლარი.

### თურქეთი

მოსახლეობა — 80,2 მლნ.

პოტენციური სამხედრო რეზერვი — 41,6 მლნ, მოქმედი ჯარი — 382 800 კაცი.

საჰაერო ძალები — 1000 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სახმელეთო ძალები — 2 400 ტანკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 194 ხომალდი.

სამხედრო ბიუჯეტი — 8,2 მლრდ დოლარი.

### გერმანია

მოსახლეობა — 80,7 მლნ.

პოტენციური სამხედრო რეზერვი — 37 მლნ, მოქმედი ჯარი — 180 000 კაცი.

საჰაერო ძალები — 698 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სახმელეთო ძალები — 543 ტანკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 81 ხომალდი.

სამხედრო ბიუჯეტი — 39 მლრდ დოლარი.

### ეგვიპტე

მოსახლეობა — 94,6 მლნ.

პოტენციური სამხედრო რეზერვი — 42 მლნ, მოქმედი ჯარი — 454 200 კაცი.

საჰაერო ძალები — 1100 თვითმფრინავი და ვერტმფრენი.

სახმელეთო ძალები — 4100 ტანკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტი — 319 ხომალდი.

სამხედრო ბიუჯეტი — 4,4 მლრდ დოლარი.





# ამერიკელები ჯორჯ სოროსისა და მისი ორგანიზაციების ტერორისტებად გამოცხადებას მოითხოვენ

**ჯორჯ სოროსის ფონდის მიერ გულუხვად დაფინანსებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში დასავლეთის ინტერესებს იცავენ და აქტიურად ეწევიან ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობას — ებრძვიან ყველაფერ ეროვნულს, მართლმადიდებლობას და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ნიღბით ცდილობენ ე.წ. დასავლური ფასეულობების დამკვიდრებას. მიუხედავად ამისა, მათ, როგორც იტყვიან, უბატონოდ ხმას ვერავინ სცემს — ვერც ხელისუფლება და ვერც საზოგადოება.**

აი ამ არასამთავრობოების მამა-მარჩენალს, „ხალხებზე მზრუნველ“ ე.წ. ფილანტროპს, რომელიც გულზე არ ეხატებათ არც ნარკოტიკებთან მებრძოლებს, რადგან მარიხუანის ლეგალიზაციას უჭერს მხარს, არც ულტრაკონსერვატიულ კათოლიკებს, რომლებიც მილიარდერს ეკლესიის მადესტაბილირებელ ათეისტად მიიჩნევენ, სამშობლოში — უნგრეთში, პრობლემების შექმნის შემდეგ ახლა უკვე იმ ქვეყანაშიც აუმხედრდნენ, რომლის მოქალაქეც ამჟამად არის:

ამერიკაში უკვე 100 ათასამდე (2 სექტემბრის მონაცემებით) მოქალაქემ მოაწერა ხელი პეტიციას, რომლის მიხედვით აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** მილიარდერი ჯორჯ სოროსი ტერორისტად უნდა გამოაცხადოს და ქონება და აქტივი ჩამოართვას.

პეტიციის ავტორები ამტკიცებენ, რომ სოროსი რამდენჯერმე შეგნებულად შეეცადა აშშ-ში პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციას. განცხადების მიხედვით, მილიარდერმა რამდენიმე ათეული ორგანიზაცია დაარსა ერთადერთი მიზნით: აშშ-ის მთავრობის კრახის გამოსაწვევად. პეტიციაზე ხელმომწერებმა სოროსი, აგრეთვე, დაადანაშაულეს დემოკრატიულ პარტიასა და აშშ-ის ფედერალურ მთავრობაზე გავლენის განხორციელებაში.

პეტიციაზე ხელმომწერები მოითხოვენ, რომ იუსტიციის სამინისტრომ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სოროსი და მისი ყველა ორგანიზაცია ტერორისტებად და ჩამოართვას მათ ქონება და ყველა აქტივი.

„იმის გათვალისწინებით, რომ ჯორჯ სოროსი გამიზნულად და მუდმივად ცდილობდა აშშ-ში სიტუაციის დესტაბილიზაციას და ქვეყნისა და მისი მოქალაქეების მიმართ ძალადობის პროვოცირებას, აშშ-ის ფედერალურმა ხელისუფლებამ და იუსტიციის დეპარტამენტმა დაუყოვნებლივ უნდა გამოაცხადოს ჯორჯ სოროსი, მისი ყველა ორგანიზაცია და თანამშრომელი ტერორისტებად და ყველა მის ორგანიზაციას და თანამშრომელს ჩამოერთვას ქონება და აქტივები ქონების კონფისკაციის კანონის ძალით“, — წერია პეტიციაში.

იმისათვის, რომ თეთრმა სახლმა ეს დოკუმენტი განიხილოს, მას 100 ათასმა ადამიანმა უნდა მოაწეროს ხელი 2017 წლის 19 სექტემბრამდე.

**ნიკა კორინთელი**

# ვენეციის მერის განკარგულებით, პოლიციელებს უფლება აქვთ, ესროლონ ნებისმიერს, ვინც ქალაქში «ალაჰ აკბარს» დაიყვირებს

**იტალიის ქალაქ ვენეციის მემარჯვენე მერმა ლუიჯი ბრუნიარომ პოლიციას უბრძანა, ესროლონ ნებისმიერს, ვინც ქალაქში „ალაჰ აკბარს“ დაიყვირებს.**



**„ალაჰ აკბარ“** არაბულად ნიშნავს „ღმერთი დიადია“. ამ სიტყვებს ისლამისტები ტერორისტული თავდასხმებისას გაჰყვირიან, მაგრამ, როგორც წესი, მუსლიმური ლოცვისას გამოიყენება. ვენეციის მერის აზრით, მიუღებელია ამ ფრაზის ქალაქის პოპულარულ ტურისტულ სივრცეებში დაყვირება.

**„თუ ვინმე შევარდება წმინდა მარკოზის მოედანზე „ალაჰ აკბარის“ ყვირილით, ჩვენ მას გავანადგურებთ. მათ სურთ ალაჰთან მოხვედრა და ჩვენ გავუშვებთ ალაჰთან, სანამ თვითონ დაგვარტყამენ“,** — განაცხადა ლუიჯი ბრუნიარომ.

უცხოური პრესა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავარ საფრთხედ მეცნიერთა 34-მა პროცენტმა მიიჩნია გარემოს პოპულაცია და დეგრადაცია (გლობალური დათბობა), 23-მა პროცენტმა დაასახელა ბირთვული ომი, 8 პროცენტმა — ინფექციური დაავადებანი და წამლის რეზისტენტობა.**

## Charli Hebdo: «ღმერთი არსებობს! ტეხასში მან ყველა ნაცისტი დაახრჩო»




**ფრანგულმა ყოველკვირეულმა სატირულმა ჟურნალმა ბოლო ნომრის ყდაზე გამოაქვეყნა ამერიკაში, ტეხასის შტატში, ქარიშხალ „ჰარვის" გამო დაღუპულთა კარიკატურა, რომელზეც სანახევროდ წყალში ჩაშვებული ნაცისტური გერმანიის დროშებია გამოსახული და წყლიდან ამოშვერილი ხელები ნაცისტური მისალმებით. „ღმერთი არსებობს! მან ტეხასში ყველა ნაცისტი დაახრჩო", — წერია ყდაზე.**

ქარიშხალი ტეხასს 26 აგვისტოს ღამით დაატყდა თავს. თავდაპირველად იგი მეოთხე ხარისხის საშიშროებად შეაფასეს, მაგრამ შემდგომ ტროპიკული შტორმის დონემდე შეამცირეს. ბოლო მონაცემებით, სტიქიურ უბედურებას, მინიმუმ, 9 ადამიანი შეეწირა, 6 უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

## Times Higher Education: 50-მა ნობელიანტმა დაასახელა მთავარი საფრთხეები, რომლებიც კაცობრიობას ემუქრება



**ბრიტანულმა გამოცემამ გამოჰკითხა ნობელის პრემიის 50 ლაურეატი ქიმიაში, ფიზიკაში, ფიზიოლოგიასა და ეკონომიკაში. ჟურნალი დაინტერესდა მეცნიერთა აზრით იმ გლობალური საფრთხეების შესახებ, რომლებსაც ისინი კაცობრიობის მთავარ მუქარად მიიჩნევენ და ასევე შესაძლო კონკურენციით ხელოვნური ინტელექტის მხრიდან.**

მთავარ საფრთხედ მეცნიერთა 34-მა პროცენტმა მიიჩნია გარემოს პოპულაცია და დეგრადაცია (გლობალური დათბობა), 23-მა პროცენტმა დაასახელა ბირთვული ომი, 8 პროცენტმა — ინფექციური დაავადებანი და წამლის რეზისტენტობა.

შეკითხვას „მოჰყვება თუ არა ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების დანერგვას მკვლევარ ადამიანებზე მოთხოვნის შემცირება?" გამოკითხულთა ნახევარმა უპასუხა, რომ „ნაკლებად სარწმუნოა", 24-მა პროცენტმა განაცხადა, რომ „არ მოჰყვება" და „შესაძლებელია", ერთადერთმა კაცმა დარწმუნებით თქვა, რომ „მოჰყვება".

ნობელიის პრემიის ლაურეატებს არ ეთანხმებიან ამერიკელი ბიზნესმენი **ილონ მასკი** და ბრიტანელი მეცნიერი **სტივენ ჰოკინგი**, რომლებმაც არაერთხელ განაცხადეს, რომ ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობას სერიოზულად ემუქრება.

დღეს მსოფლიოში ნობელის პრემიის 235 ლაურეატი მოღვაწეობს.

## Metro: ბრიტანეთში ბრმა კაცს ბავშვთა პორნოგრაფიის ყურება დააბრალეს



**გაზეთი „მეტრო" იუწყება, რომ დიდ ბრიტანეთში სასამართლო განიხილავს ბრმა კაცის მიმართ აღძრულ საქმეს, რომელსაც ბრალს სდებენ ბავშვთა პორნოგრაფიაში.**

გამოცემის თანახმად, 44 წლის **ენდრიუ შოუ** სასამართლო დარბაზში შევიდა ბრმის გამყოლი ძაღლისა და ცოლის თანხლებით, რომელიც მასავით ბრმაა.

შოუს ადვოკატმა აღნიშნა, რომ განსახილველი საქმე „ძალიან არაჩვეულებრივია".

„რეალურად შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ, მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მას არ ძალუძს, გაარჩიოს იმ ადამიანების ასაკი, რომლებიც აღბეჭდილი არიან ინტერნეტის ვიდეორიგში", — განმარტა იურისტმა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სასამართლომ არგუმენტები დამაჯერებლად მიიჩნია და საქმე ხელმეორედ განსახილველად შეაჩერა.

ცოტა ხნით ადრე კემბრიჯის სასამართლომ ყოფილი საბჭოთა დისიდენტის, **ვლადიმერ ბუკოვსკის**, საქმის განხილვა 2018 წლის თებერვლამდე გადადო, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ბუკოვსკის ბრალდებად წაყენებული აქვს ბავშვთა პორნოგრაფიის დამზადება.

## France-Presse: აშშ-ის სამხედრო თვითმფრინავების დაბომბვის შედეგად ავღანეთის ლოგარის პროვინციაში 13 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა



**ეს პროვინცია ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილშია. ინციდენტი ამერიკის შეიარაღებული ძალების მიერ „თალიბანის" მოთარეშეების წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციისას მოხდა. აღნიშნულ ფაქტზე ინფორმაცია გაავრცელა ლოგარის პროვინციის ადგილობრივმა ხელისუფლებამ.**

ოპერაცია თალიბების წინააღმდეგ ქაბულის მახლობლად მდებარე სოფელ დაშთ-ე-ბარიში განხორციელდა. ამერიკელების სპეცრაზმმა შეუტია „ბოევიკებს", რომლებმაც უკან დაიხიეს და გამაგრდნენ აღნიშნული დასახლებული პუნქტის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში. ამერიკელმა ჯარისკაცებმა დასახმარებლად საჰაერო ძალები გამოიძახეს, თვითმფრინავებმა დაბომბეს სახლი. შედეგად ათობით თალიბანი დაიღუპა. სამწუხაროდ, ამ ოპერაციას 13 მოქალაქე შეეწირა.

„ფრანსპრესი" იუწყება, რომ უფრო ადრე „თალიბანის" მოთარეშეების წინააღმდეგ განხორციელებული მსგავსი ოპერაციისას 15 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

## РИА Новости: სირიის ოპოზიციამ განაცხადა, რომ აშშ იარაღს შუამავლების მეშვეობით მიჰყიდის «ისლამურ სახელმწიფოს»



**ამ განცხადების თანახმად, ამერიკული წარმოების იარაღს ის „ბოევიკები" ყიდიან, რომლებიც ამერიკის ატ-ტანფის სამხედრო ბაზაზე იწვრთნებიან.**

„ისინი ყიდდნენ ამერიკული წარმოების იარაღს, მანქანებს, M-16 შაშხანებს დიდი რაოდენობით. ბოლო რევიზიის შედეგად აღმოაჩინეს 4,7 ათასი შაშხანის დანაკლისი", — თქვა აღნიშნული ბაზის სირიის სექტორის უშიშროების სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა **მუჰამად ასალამმა**. მისივე განცხადებით, ამერიკის წარმომადგენლებს არაერთხელ მიუმართავთ სირიელებისთვის, დაეწყოთ ომი სირიის სამთავრობო არმიის წინააღმდეგ.

## მედიცინის მუშაკმა 84 პაციენტი მოკლა




**40 წლის ნილს X-ს ბრალად ედება გერმანიის ოლდენბურგისა და დელმენჰორსტის კლინიკებში 84 ადამიანის მკვლელობა. 2005 წელს მას კოლეგამ ფაქტზე წაასწრო. ნიშანდობლივია, რომ ნილსმა 84 ადამიანის მკვლელობა მას შემდეგ აღიარა, როცა უკვე მხილებული იყო 6 პაციენტის მკვლელობაში და მისჯილი ჰქონდა უვადო პატიმრობა.**

პოლიციის მონაცემებით, იგი პაციენტებს ისეთ ინიექციებს უკეთებდა, რომლებიც გულის გაჩერებას იწვევდა. რამდენი ადამიანი გამოასალმა ამ გზით წუთისოფელს, ჯერ დადგენილი არ არის.

„მკვლელობათა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო", — განუცხადა ტელეარხ №24-ს პოლიციის უფროსმა **იოჰან კუჰმემ** და დასძინა, რომ კლინიკის ზოგიერთი თანამშრომელი უმოქმედობის ბრალდებით აუცილებლად წარდგება სასამართლოს წინაშე. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მის მიერ მოკვდინებული ადამიანების რაოდენობით ნილს X გერმანიის ისტორიაში გამოვლენილ სერიულ მკვლელთა შორის პირველ ადგილზე აღმოჩნდება.

**ქიმიურმა ნივთიერებებმა შეიძლება მოწამლოს მდინარეები და მიწისქვეშა წყლები, რაც უეჭველად დააზარალებს ასიათასობით ადამიანს, ნეგატიურად იმოქმედებს სოფლის მეურნეობაზე არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ მეზობელ რუსეთშიც. „კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარემ გვერდზე უნდა გადადოს პოლიტიკა და ყურადღება გაამახვილოს ომით განადგურებულ ამ რეგიონზე“, — აცხადებს კურცი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი: «სიტუაცია უკრაინაში შენელებული მოქმედების ნაღმია»




**ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი სებასტიან კურცი თავის წერილში, რომელიც „პოლიტიკოშია“ გამოქვეყნებული, აცხადებს, რომ უკრაინაში შექმნილი სიტუაცია უკიდურესად საშიშია გარემოსთვის. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, უკრაინაში არსებული ვითარება „შენელებული მოქმედების ნაღმია“, რომელიც საფრთხის შემცველია ქლორის საცავებისთვის, ქიმიური და მეტალურგიული ქარხნებისთვის, საშიში ნარჩენების საწყობებისთვის, ასევე, ქვანახშირის მაღაროებისთვის. ნებისმიერმა ინციდენტმა შეიძლება გარემოს დაბინძურება და ადამიანების დაღუპვა გამოიწვიოს. კურცის აზრით, ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად სასწრაფო ზომებია მისაღები.**

სებასტიან კურცი წერს, რომ უკრაინას თავს გადახდა „ბოლო პერიოდის ერთ-ერთი დიდი ტექნოლოგიური კატასტროფა — ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის კატასტროფა. დღეს უკრაინაში ომია, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს დონბასისა და ქვეყნის დანარჩენი ნაწილის, კიევისა და მოსკოვის, ასევე, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ურთიერთობაზე.

ამ კონფლიქტმა შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს.

**„სიტუაცია უკრაინაში შენელებული მოქმედების ნაღმია იმიტომაც, რომ დაპირისპირებული მხარეები გეოგრაფიული კუთხის ერთმანეთთან ახლოს იმყოფება და ნებისმიერი ინციდენტი შეიძლება საფრთხის შემცველი გამოდგეს ორივესთვის, აგრეთვე, უკრაინის მეზობელი ქვეყნებისთვის.**

**ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი მაგალითისთვის ასახელებს დონეცკის გამფილტრავ სადგურს, რომელშიც 7 ტონა ქლორის აირი ინახებოდა და რომელიც წლის დასაწყისში დაიბომბა. ეს საცავი რომ აფეთქებულიყო, ზარალი კოლოსალური იქნებოდა.**

**მინისტრს მიაჩნია, რომ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარემ, „სულ ცოტა, უნდა გაითვალისწინოს ამ ობიექტების სამოქალაქო მნიშვნელობა და არ მიუახლოვდეს მათ“. ისინი უსაფრთხო ზონებად უნდა იქნას მიჩნეული. განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა მოეწყოს კავშირის დასამყარებელი სპეციალური არხები. ასევე, უნდა ამოქმედდეს საავიაციო სამსახურები და მოწყობილობა. „დაბინძურება საზღვრებს არ ითვალისწინებს, ამიტომ რეგიონში მცხოვრები თითოეული ადამიანი გულისყურით უნდა მოეკიდოს რისკების შემცირებას და ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილების საქმეს“,** — ხაზი გაუსვა ავსტრიელმა მინისტრმა.

ქიმიურმა ნივთიერებებმა შეიძლება მოწამლოს მდინარეები და მიწისქვეშა წყლები, რაც უეჭველად დააზარალებს ასიათასობით ადამიანს, ნეგატიურად იმოქმედებს სოფლის მეურნეობაზე არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ მეზობელ რუსეთშიც.

**„კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარემ გვერდზე უნდა გადადოს პოლიტიკა და ყურადღება გაამახვილოს ომით განადგურებულ ამ რეგიონზე“,** — აცხადებს კურცი. სამმხრივმა საკონტაქტო ჯგუფმა, რომელშიც შედის უკრაინა, რუსეთი და ეუთო, ასეთი მიდგომა თავის დაგეგმილ შეხვედრებზე უნდა განიხილოს. აუცილებელია, სასწრაფოდ განხორციელდეს პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება ფაქტობრივ მონაცემებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული დონეცკის მოსახლეობის „მომწამვლელი“ კატასტროფა.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, უკრაინაში მშვიდობის დასამყარებლად მხარეებმა ცეცხლი უნდა შეწყვიტონ.



# გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აშშ-ის წინააღმდეგ გაილაშქრა

**ეს მოხდა გასულ კვირაში, როცა ბატონმა ზიგმარ შულცმა, რომელიც კენჭს იყრის გერმანიის კანცლერის თანამდებობაზე, ტრიერში (რეინლანდ-პფალცის ფედერალური მიწა) წინასაარჩევნოდ გამართულ შეხვედრაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ ამერიკული ბირთვული იარაღი გერმანიიდან გატანილი უნდა იყოს.**

**„ფედერალური კანცლერი რომ გავხდები,** — თქვა მან, — **აუცილებლად ვიმუშავებ იმ მიმართულებით, რომ ბირთვული იარაღი, რომელიც გერმანიაში ინახება, გაიტანონ ჩვენი ქვეყნიდან.**

„ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგის“ დაუზუსტებელი მონაცემებით, ბუნდესვერის ავიაბაზაზე, რომელიც დასახლებულ პუნქტ ბიუხელის მახლობლად არის განლაგებული, 20 ამერიკული ბირთვული ქობინი ინახება.







# ნარკოტიკის მოხმარების გამო ნიცის საავადმყოფოში ხუთი ბავშვი მოათავსეს

**30 აგვისტოს გამოშვებაში Nice Matin იუწყებოდა, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ნიცაში ნარკოტიკული მოწამვლის ნიშნებით ადგილობრივ საავადმყოფოში ხუთი ბავშვი დააწვინეს.**

ერთ-ერთი ბავშვის მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, იგი რეანიმაციაში მოათავსეს. პატარები საავადმყოფოდან უკვე გაწერეს. მედიკოსები ვარაუდობენ, რომ ბავშვებმა ქუჩაში მარიხუანის შემცველი სიგარეტების ნამწვავები იპოვეს, აკრიფეს და გადაყლაპეს. სხვა ვერსიით, მოწამვლის მიზეზი იყო ჰაშიშის ბურთულები, რომლებიც ბავშვებმა საზოგადოებრივ პარკებში სეირნობისას აკრიფეს.

მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბოლო 11 წლის განმავლობაში მარიხუანით შემთხვევით მოწამლული და ამ დიაგნოზით ჰოსპიტალიზებული ბავშვების რაოდენობა საფრანგეთში 133 პროცენტით გაიზარდა. ამგვარი დინამიკის მიზეზად სპეციალისტები მარიხუანაში ფსიქოაქტიური ტეტრაჰიდროკანაბინოლის შემცველობის მატებას მიიჩნევენ. ევროპის ქვეყნებს შორის კანაბისის მოხმარების დონით ლიდერობს საფრანგეთი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება ქვეყანაში აკრძალულია.

# მაკრონმა რუსეთთან დიალოგის პერსპექტივაზე ისაუბრა

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ჟურნალ „Point“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პარიზსა და მოსკოვს განსხვავებული შეხედულებები აქვთ უკრაინის საკითხზე, მაგრამ არსებობს შეხების წერტილები. ციტატები ინტერვიუდან „როიტერმა“ გამოაქვეყნა:**

„საფრანგეთმა გზა მისცა რუსეთისა და საფრანგეთის სამოქალაქო საზოგადოებების დიალოგს, — განაცხადა მაკრონმა პუტინთან შეხვედრის შემდეგ, რომელიც ვერსალში 29 მაისს გაიმართა. პოლიტიკოსმა თქვა, რომ არსებობს საკითხები, რომელთა შესახებ ორივე ქვეყნის პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა: სირიაში ვითარების მოწესრიგება და კლიმატის პოლიტიკა.

„თუ ვლადიმერ პუტინი დამეხმარება, წინ წავიწიო (ქიმიური იარაღისა და ჰუმანიტარულ საკითხებში), ჩვენ შევძლებთ, მივიღოთ შეხების წერტილები“, — ხაზი გაუსვა საფრანგეთის ლიდერმა.

უფრო ადრე მაკრონს არაერთხელ უთქვამს, რომ აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის მხარდაჭერა უკრაინის კრიზისის მოსაწესრიგებლად.



„საფრთხე კარსაა მომდგარი — ომი ჩვენს კონტინენტზე. სირიაში ომია, მაგრამ ევროპაშიც მოსალოდნელია... საფრანგეთი და გერმანია კვლავაც ძალისხმევას არ დაიშურებენ მინსკის შეთანხმებათა რეალიზაციისთვის“, — თქვა მან ელისეს სასახლეში ელჩების წინაშე გამოსვლისას. მაკრონმა მხარეებს მოუწოდა, დაიცვან ზავის პირობები, რომელიც დონბასში დაიდო.

# ნიუ-იორკში კოლუმბის ძეგლი დაანგრიეს

**ტელეარხი News 12 იუწყება, რომ ეს ვანდალებმა გააკეთეს. ამერიკის აღმომჩენის, ქრისტეფორე კოლუმბის, ქანდაკება, რომელიც ქალაქის პარკ იონკერსში იდგა, პიედესტალიდან ჩამოაგდეს და დაამსხვრიეს. ძეგლის ნამსხვრევები პარკში მიმობნეული იპოვეს. ადგილობრივთა თქმით, ეს ვანდალური აქტი 26 აგვისტოს მოხდა.**

კოლუმბის აღნიშნული ქანდაკება თაბაშირისგან იყო დამზადებული — ბრინჯაოს ორიგინალი 12 წლის წინათ მოიპარეს.

რამდენიმე კვირაა, რაც აშშ-ის რიგი საზოგადოებრივი ჯგუფებისა იბრძვიან სამოქალაქო ომის დროინდელი მოღვაწეების ძეგლების აღებისთვის. ყველაზე მწვავე დაპირისპირება ქალაქ შარლოტსვილში (ვირჯინიის შტატი) მოხდა, სადაც გენერალ რობერტ ლის მონუმენტის დემონტაჟის წინააღმდეგ ორგანიზებული საპროტესტო აქცია არეულობაში გადაიზარდა, დაშავდა 15 ადამიანი. მოგვიანებით ულტრამემარჯვენე დემონსტრანტების რიგებში ავტომანქანა შეიჭრა: ერთი ქალი დაიღუპა, 19 ადამიანი დაშავდა.

კოლუმბის სახელის უკვდავყოფის მოწინააღმდეგეებს მიაჩნიათ, რომ კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას ძირძველი მოსახლეობის ამოწყვეტა, მონათვაჭრობა მოჰყვა.

წყევლაკრულვიანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„განა ქალიც არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს მამაკაცის შესახებ? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ გულისტკივილი კაცობრიულის და მოქალაქეობრივის ინტერესებისათვის, გავაგებინოთ იგი ვალი, იგი თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს?“**

# ილია ჭავჭავაძე: დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი — გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა

**ილიას ეპოქაში ევროპასა და რუსეთშიც გაცხარებული კამათი მიმდინარეობდა ქალთა ემანსიპაციის საკითხზე: ქალი მამაკაცის მონა და ტყვე არის და ამდენად, მისი, როგორც თავისუფალი ადამიანის, უფლებები ილახებაო. დაჩაგრულთა ქომაგნი მოითხოვდნენ ქალებისათვის იმავე უფლებების მინიჭებას, რომლებიც მამაკაცებს ჰქონდათ. ილია ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ იმ ეპოქაში მხოლოდ მამაკაცს ჰქონდა ზოგი ისეთი უფლება, რომლებიც უსათუოდ ქალსაც უნდა ჰქონოდა, მაგრამ ხაზს უსვამდა იმასაც, რომ მამაკაცს უწევდა ცხოვრების ყველაზე მძიმე ტვირთის ზიდვა, რომელსაც ქალი ვერ იტვირთებდა. მხოლოდ იმის ძახილი, უფლებები მოგვეცით, სამართლიანი ემანსიპაციის მოსაპოვებლად საკმარისი არ არის, მთავარია საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა გარჯით, შრომითა და ჭკუა-გონებითო.**



„ბევრს კაცსა თუ ქალსა ჰგონია დღესაც, რომ აქ მარტო იმაზეა ლაპარაკი,ვითომც ამ ემანსიპაციის საქმეში სხვა არა არის რა, გარდა იმისა, რომ ქალთა თუ დედათა მხოლოდ უფლება მიენიჭოთ და იმას კი აღარავინა ჰფიქრობს, რომ **არ არის არც ერთი იმისთანა უფლება კაცთა ურთიერთობაში, რომელსაც არ მოსდევდეს მოვალეობაცა.** მართალია, მამაკაცს ეხლანდელს ცხოვრებაში ბევრი იმისთანა უფლება აქვს, რომელიც სამართლიანად ქალსაც ეკუთვნის, მაგრამ მამაკაცი ამასთანავე მსახურია სახელმწიფოსი, ქვეყნისა, საზოგადოებისა, ოჯახისა და ყოველგვარი მძიმე ტვირთი ადამიანთა რთულის ცხოვრებისა კისრად ადევს.

**...ამერიკაში იგრძნეს ქალებმა, რომ ეს ასეა და სამართლიანის ემანსიპაციის მოსაპოვებლად იმას აღარა სჯერდებიან, რომ იძახონ: უფლება მოგვეცითო. იმათ უფრო უკეთესი სახსარი, უკეთესი გზა ამოურჩევიათ. იმათ უფიქრნიათ, რომ ქვეყანას უნდა დავანახვოთ, რომ ჩვენც შეგვიძლიან რადმე ყოფნა ქვეყანაზედ, ჩვენც შეგვიძლიან ყველა მოვალეობას ადამიანისას გავუძლვეთ, ჩვენც შეგვიძლიან არამცთუ ხელით გარჯა, შრომა, საქმის კეთება, არამედ გონებითაც, ჭკვითაც და არც ერთსა და არც მეორეში მამაკაცს არ ჩამოვუვარდებითო. ამ პატიოსანს გაზრახვას შესდგომიან და, როგორც ჰნახავთ, საკვირველის ძლევამოსილობითაც შეუსრულებიათ.**

ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ საოცარს ამბებს, ერთის გერმანულის ჟურნალიდამ ამოკრებილს. ამ ამბების მიხედვით, უტყუარად გამოარკვევს კაცი, თუ რის შემძლებელი არის ქალი და რა მონაწილეობას ჰღებულობს იგი ამერიკაში საზოგადო ცხოვრების წარსამატებლად და რარიგად ეცილება მამაკაცს ცხოვრების მოედანზედ, სატეხნიკო სარბიელზედაც კი. ეს ამბები მით უფრო საკვირველია, რომ ქალის გამჭრიახობასა და შემძლებელობას იმისთანა საქმეში გვიჩვენებს, რომელიც დღეს აქამომდე ქალისათვის უფრო ხელმიუწვდომელი ეგონა ადამიანს.

გერმანული ჟურნალი ამბობს: ჩრდილო-ამერიკის არხივებიდამ ამოკრებილიაო ცნობანი, რომ ქალებს ამერიკაში 1900 პატენტი მიუღიათ მათ მიერ მოგონილ სხვადასხვა მაშინების გამო. ერთი ამ საქმის მცოდნე ამერიკელი უმატებს: ის კი ანგარიშში არ მოგვყავს, რომ ბევრი ქალი დაჰხმარებია მამაკაცს ამისთანა საქმეშიო. ეს ხომ საოცარია და საოცარი, უფრო საკვირველი ის არის, რომ იქაურ ქალებს იმისთანა საქმეშიც გამოუჩენიათ თავი, რომელიც ქალის ცხოვრებაზედ ერთობ შორს არის და ქალის ბუნებას უნდა ეუცხოვებოდეს. მაგალითებრ, ერთს ქალს, გვარად მატერს, ნიუიორკში მოუგონია ტელესკოპი მიწის ქვეშეთისათვის (подземный телескоп), ქალს გვარად მონტგომერს — ფოლადის ჯავშანი საომარ ხომალდისათვის, ქალს გოშამს — ახალგვარი ზარბაზანი, ქალს ბიზელს — წყლისაგან გადასარჩენი ნავი, ქალს ტანნეის — მაშინა ზღვაში დალუპულ ხომალდების ამოსაღებად და სხვანი. საქალო საქმეშიაც გამოუჩენიათ თავი. მაგალითებრ, ქალს როზენტალს უფრო უკეთესი საკერავი მაშინა მოუგონია, ვიდრე აქამომდე იყო.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, ძლიერი საბუთია „დედათა ემანსიპაციის“ მომხრეთათვის და ამისთანა საბუთს სიტყვას შეუბრუნებს მხოლოდ კერპობა და ჯიუტობა ადამიანისა. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა ქალებმაც ყური ათხოვონ ამისთანა მაგალითებს და ხალისი მოიპოვონ ამისთანა მოღვაწეობისა და მოქმედებისათვის“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა აკადემიური გამოცემა, ტ. X, თბ. 1988).

**საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში ნათქვამია, რომ „საზოგადოება კვლავ ცხოვრობს სტერეოტიპულ გარემოში, სადაც, უმრავლეს შემთხვევაში, ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გამართლებული ქმედებაა; მაღალია ადრეულ ასაკში ქორწინების რიცხვი, ქალები წარმოადგენენ უმცირესობას გადაწყვეტილების მიღების დონეზე და ხშირია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით უფლებადარღვევის შემთხვევები“. ამ მოსაზრებას ბევრი საბუთიანი „ჰო“ და „არა“ მოჰყვება თან და კვლავ წყევლაკრულვიან საკითხად რჩება.**

**ილია ჭავჭავაძის ნააზრევი ქალთა უფლებების შესახებ, მისი დამოკიდებულება ფემინიზმის საკითხისადმი ჩვენს მკითხველს შესაძლებლობას მისცემს, პარალელი გაავლოს ქვეყანაში ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის დღეს არსებულ სურათთან და სათანადო დასკვნები გამოიტანოს.**

# დედათა საქმის გამო

## I

რაც გინდ დიდ გაჭირვებაში ჩავარდეს კაცი, ერთადერთი გზა ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა და გამრჯელობაა. მართალია, შესაძლოა, სხვა გარემოებამაც ხელი შეუწყოს კაცს გაჭირვებისაგან დახსნისათვის, მაგრამ თავიდათავი მომქმედი ძალი მთა-კლდის გასარღვევად მაინც კაცის საკუთარი მხნეობაა, საკუთარი თვითმოქმედებაა. უამისოდ სხვისით საქმის წარმართვა, სხვისით ხსნა, სხვისაგან მოლოდინი შველისა და ხსნისა უფრო მიძინებაა მხნეობისა, თვითმოქმედებისა და თავისთავის შველისა, ვიდრე საქმის გაჩარხვა, კეთება და წარმატება.

**კაცი, როცა მარტო სხვის ხელს შეჰყურებს, — აცა, როდის რას მომაწვდისო, როცა მარტო სხვის გულს შეჰკნავის, ღვთის გულისათვის მიშველე რამეო, იგი მთხოვარაა უქმი და არა მომქმედი და გამრჯელი.** ამისთანა კაცმა დღეს რომ საქმე გაისწოროს, ხვალ ისევ იმავ დღეში ჩავარდება, რა დღეშიაც სამადლოდ გამოხსნამდე იყო, იმიტომ, რომ თითონ უქმია და მოედანი ცხოვრებისა კი იმისია, ვინც თითონ მხნეობს და ირჯება თავის-თავის საშველად. საზოგადოებას აიღებთ, თუ ცალკე კაცს, ყველგან ერთს და იმავე უცვალებელს ბედისწერასა ჰხედავთ, რომ მარტო საკუთარს თვითმოქმედებას, მხნეობას, გამრჯელობას წარუმართნია საქმე როგორც საზოგადოებისა, ისეც ცალკე კაცისა. **რომელი საზოგადოებაც, თუ ცალკე კაცი, სხვაზედ დანდობილა და თითონ გულხელი დაუკრებია, იმას ამ ქვეყანაში პური არსობისა ვერ გამოუცხვია და საცა ეგ პური არ არის, იქ არც სიცოცხლეა, იქ მკვდარი მკვდარზეა აკიდებული, საფლავამდე წასაღებად.**

ჩვენ ეს საუბარი ჩამოგვაგდებინა ერთმა წერილმა, რომელიც 4-ს მარტს ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ამ სათაურით: „საზოგადოების საყურადღებოდ“. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ წერილში ის ვიპოვეთ, რასაც არაერთხელ ვნატრულობდით ეგრეტ წოდებულ „დედაკაცთა საქმის“ ჭეშმარიტს გზაზედ დასაყენებლად და, მაშასადამე, წარსამატებლად. ამ წერილში არ არის ის უკბილო საყვედური და უქმი ჩივილი, რომ აი, თქვე გულქვაო კაცებო, რატომ თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთო? რატომ იმისთანა თავისუფლებას ჩვენც არ გვაძლევთ, რომელიც თქვენ ასე ტკბილად გატარებინებთ თქვენს სიცოცხლესაო და სხვა ამისთანა? არც ის უთავბოლო ფრაზებია იმაზედ თუ, — დედაკაცს ქვეყანაზედ მარტო სამი „უწმინდაესი, უსამღვთოესი დანიშნულება“ აქვსო: დედობა, ცოლობა და დობა, თითქო ყველაზედ უწინარეს იგი იმავე ადამიანად არ იყოს გაჩენილი, როგორც მამაკაცი და, მაშასადამე, მინამ დედობას, ცოლობას, დობას იკისრებდეს, ყველაზედ უწინარეს იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს, როგორც მამაკაცს. **დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა.** **საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა,** ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვ. კაცს, დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა, კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძლვეს, მამაკაცია თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი-კაცობა შესძლებს. **ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმედ, იმიტომ, რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის.**

ჩვენ ეს, ამხანად მოკლედ გამოთქმული, აზრი იქნება ოდესმე უფრო ვრცლად გავარკვიოთ, ეხლა-კი ისევ ზემოხსენებულ წერილს დავუბრუნდეთ. პატივცემული ავტორი ქალი გვაუწყებს, რომ ჩვენს ქალებს უთავნიათ, ღონე მოიპოვონ და სკოლა გაჰმართონ ქალების გასაზრდელად და თვით გაზრდა შეუფერონ ჩვენის დღევანდელის დღის საჭიროებასა.

„უთუოდ მეტყვით, მკითხველო, — ამბობს ავტორი, — რომ **ამგვარ სკოლას დიდძალი ფული მოუნდება. მაგრამ, ბატონებო, თქვენის დახმარებით და ჩვენის მეცადინეობით იქნება ეს აზრი საქმედ ვაქციოთ.** უეჭველია, საქართველოს ყველა კუთხითგან გამოგვეხმაურებიან, ხელს მოგვაწვდენენ, აღმოგვიჩენენ შემწეობას და ამითი გაგვამხნევებენ და შეგვისუბუქებენ იმ ტვირთს, რომელიც ჩვენ ვიდეთ კისრად“.

ჩვენ ამ წერილისა ის მოგვწონს და ის გვიხარიან, რომ **ჩვენს ქალებს თავის-თავის შველა მოუწადინებიათ და სათავედ დაუდვიათ საკუთარი მხნეობა, საკუთარი მეცადინეობა. უკეთესს სახსარს, უკეთესს ღონეს სხვას ვერას იპოვნიან, თუ მართლა ჰსურთ საქმის გაკეთება და არა ტყუილუბრალო წივილ-კივილი.** ჩვენ ეს ამბავი სიხარულით შეგვაქვს ჩვენს მატიანეში და მივულოცავთ ჩვენს ქალებს, რომ ჭეშმარიტს გზას დასდგომიან თავიანთ სვე-ბედის გასასწორებლად. მალე შეუსრულდებათ ეს კეთილი განზრახვა თუ გვიან, — დღეს საქმე იმაში არ არის. საქმე იმაშია, რომ თავიანთი საკუთარი მხნეობა, საკუთარი გამრჯელობა დაუდვიათ სათავედ თავიანთ მოქმედებისათვის და შესდგომიან, რომ თავის საკუთარის ხელითა და გარჯით გაიტანონ ცხოვრების მოედნიდამ თავიანთ სვე-ბედის ბურთი. **რაც გინდ ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდეს პირველ ხანებში ამ ქალებისაგან განზრახულს საქმეს, ბოლო მაინც გამარჯვებაა** და გამარჯვება, რადგანაც იშვიათი ამბავია, რომ დაუღალავს მხნეობასა და საქმის ბოლომდე მედგრად მიყოლას თავი არ გაეტანოს. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენს ქალებს წესად მიუღიათ, რომ „თუ თვით არ ვიღვწით, ვერ ვპოვებთკეთილსა შესაკრებელსა“.

**ტფილისი,**
**6 მარტი, 1889 წ.**

## II

...დედათა უფლების საქმე“ ჩვენში დღესაც იმ საბუთებზე ჰტრიალებს, რა საბუთებითაც ამ ოცისა თუ ოცდაათის წლის წინათ თავი იჩინა და მოედანზედ გამოვიდა. თითქო კაცობრიობას საზოგადოდ და რუსულ ლიტერატურას ცალკე მას აქეთ ეს საქმე წინ არ წაეწიოს, უფრო ფართოდ არ გადეშალოს, არ დაეყენებინოს და უფრო საბუთიანს საფუძველზედ არ ამოეყვანოს.

თუმცა ეს საქმე დიდად შესანიშნავი რამ არის და ჩვენთვისაც ისე საჭიროა, როგორც სხვისთვის, მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ვსთქვათ, რომ იგი ჩვენის თაოსნობით არ არის დღეს ჩვენში ფეხზედ დამდგარი. ამ საქმეს და მის საჭიროებას კვლავ იმავ რუსულმა ლიტერატურამ მიგვახვედრა და დღეს-აქამომდე იმ საბუთებითა და იმ აზრებით იკვებება, რომელნიც — როგორცა ვთქვით — ხელზედ დახვეული ჰქონდათ ამ საქმის მომხრეთა ამ ოცისა და ოცდაათის წლის წინათ. ▶

**«კაცს, დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა, კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძლვეს, მამაკაცია თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი-კაცობა შესძლებს. ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმედ, იმიტომ, რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის»**

**„სუმბათაშვილი დიდ დახმარებას უწევდა მოსკოვში სასწავლებლად ჩამოსულ ქართველ ახალგაზრდობას. მოსკოვში დიდად პოპულარული ყოველწლიური ქართული საღამოები მუდამ სუმბათაშვილის მოთავეობით ეწყობოდა. მიზანი ამ საღამოებისა საქველმოქმედო იყო. საღამოს შემოსავალი ქართველთა სათვისტომოების ფონდში მიდიოდა, აქედან კი მოსწავლე ახალგაზრდობას ეძლეოდა დახმარების სახით“.**

# ძმა ძმისთვის...

აბა, გადასინჯეთ ყოველი, რაც ამ საგანზედ ჩვენში წერებულა და იწერება დღეს, თუ უწინდელებრ მარტო სახელითა „დედობისათა, ცოლობისათა და დობისათა“ არ ითხოვდნენ ამ საქმის ასე თუ ისე წარმართვას. ასე იყო დასაბუთებული ღაღადი დედათა უბედობის თაობაზედ ამ ოცისა თუ ოცდაათის წლის წინათ რუსულ ლიტერატურაში, თითქო დაავიწყდათო, რომ დედაც კაცია, ადამიანია... დედათა უფლების საქმე უნდა ჰღაღადებდეს და თხოულობდეს თვის წარმართვასა. ამ ფართო გზაზედ ჰდგას ეს საქმე ევროპაში დღეს და **გვგონია, ვერაფერს სამსახურს უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობიდამ ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა, ცოლობისა და დობის უღელი გააწევინონ, ესე იგი ბევრისაგან ცოტა უწყალობონ.**

...რასაკვირველია, სასაცილოა ის სურვილი, რომ მამაკაცი ვამზადოთ მარტო საკარგქმროდ და საკარგ-მამოდ. განა ამავე აზრით არ უნდა მივმართოთ ქალების სწავლა-განათლების საქმეს? **განა ქალიც არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს მამაკაცის შესახებ? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ გულისტკივილი კაცობრიულის და მოქალაქეობრივის ინტერესებისათვის, გავაგებინოთ იგი ვალი, იგი თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს?** ესეთის აზრებით, რწმენით და თვალთამხედველობით დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა და მისებრივ ადვილად გაიგებს, ადვილად მიხვდება მოვალეობას კაი ცოლობისას, კაი დედობისას, და უკვე განათლებული ჭკუითა და გულით ადვილად შეიძენს იმ განსაკუთრებულს ცოდნასაც, რომელიც ოჯახში ასე თუ ისე მისთვის საჭირო იქნება.

აი დღეს დედათა საქმე რა გზაზედ და რა ფართოდ არის დაყენებული რუსულ ლიტერატურაში და ჩვენი პატივცემული ქალი-ავტორი ამაოდა ჰცდილობს გამოვლილ გზაზედ უკანვე დაბრუნებას. ამ ახალს მოძღვრებას დედათა საქმის შესახებ ვერავინ გაემკლავება, რადგანაც დღევანდელი ბურთი და მოედანი უფრო მეტის ცნობიერებით, უფრო მეტის სიმართლით და საბუთით ამ მოძღვრებას დაუჭერია არამცთუ მარტო რუსეთში, სხვაგანაც. დღეის ამას იქით აგრე სამართლიანად განდიდებულს და გაფართოებულს საქმეს ველარავინ გამოჰკვებავს წინანდელის ნამცეცებითა. ჩვენ ამასაც ვიტყვით, რომ მარტო ამ მოძღვრებას შეუძლიან თავი გაატანინოს დედათა საქმეს ყოველთა სასიხარულოდ და სასიქადულოდ და, ვისაც დედათა საქმის სიდიადე გულწრფელად და გაგებულად გულში სდებია, არა გვგონია, ამ გზაზედ საქმის დაყენება მიიჩნიოს გზის გამრუდებად და არა გასწორებად.

**ტფილისი,**
**15 მარტი, 1889 წ.**

**საქართველო ისეთი „კოლონია“ იყო რუსეთისა, რომლის წარგზავნილებს ფართოდ ულებდნენ კარს იქაურ უმაღლეს სასწავლებლებში და აძლევდნენ ისეთ განათლებას, რომლის წყალობით საქართველომ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები მისცა კაცობრიობას.**
**„რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონე მარტო ცოდნა და განათლებაა, ღონე არ ექნება გაუნათლებელ კაცს თავის ჯაჭვის დასამტვრევადო“, — ბრძანებდა დიდი ილია. ეს რწმენა ასაზრდოებდა უცხო მხარეში სამშობლოსა და თავისიანებს მოწყვეტილ ახალგაზრდებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის თანადგომითა და თანამოძმეთა დახმარებით აღწევდნენ სანუკვარ მიზანს.**
**ამის უამრავი მაგალითია შემონახული და უკვდავია სახელები იმ ადამიანებისა, რომლებიც თანამემამულეებს დახმარების ხელს უანგაროდ უწვდიდნენ.**

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი **კონსტანტინე ანდრონიკაშვილი** მოგვითხრობს მთელ რიგ შეხვედრებზე რსფსრ სახალხო არტისტთან, წარმოშობით ქართველ ალექსანდრე **სუმბათაშვილ-იუჟინთან** ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, როდესაც ანდრონიკაშვილი პარიზში სწავლობდა და იქიდან 1909 წელს მოსკოვში ჩავიდა.

„დაუვიწყარია ჩემთვის ეს შეხვედრები, — იგონებს რეჟისორი, — რადგან პირველსავე შემთხვევაში ვიგრძენი **სუმბათაშვილის დიდი დაინტერესება ქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა სწავლა-განვითარებით**. მან დაწვრილებით გამომკითხა, თუ სად და რას ვსწავლობდი, ვაპირებდი თუ არა სამშობლოში დაბრუნებას სამუშაოდ. მითხრა, — მოსკოვში ხომ არაფერი გესაჭიროებაო. მე ვთხოვე, დამხმარებოდა, რათა დავსწრებოდი წარმოდგენებს მოსკოვის თეატრებში, კერძოდ — სამხატვრო თეატრში და ამ თავისთვის წვრილმან საქმეს სუმბათაშვილი ისე მოეკიდა, შემრცხვა კიდეც, რომ შევაწუხე. იმ ხანს **მოსკოვში ყოფნისას დავრწმუნდი, თუ რა განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა სუმაბათაშვილს ქართული კულტურის ხელის შეწყობაში.**

არ დამავიწყდება სუმბათაშვილთან შეხვედრა 1916 წელს, როდესაც ის თბილისში ჩამოვიდა. ქართველმა საზოგადოებამ შესანიშნავი შეხვედრა მოუწყო სცენის ამ სახელოვან ოსტატს. ძალიან გახარებული იყო. კერძო ბაასში ვასო აბაშიძესთან, ვალერიან გუნიასთან, ჩემთან და ქართული თეატრის მთელ რიგ სხვა მუშაკებთან სუმბათაშვილი ბევრს გვიამბობდა თავისი სასცენო გამოცდილების შესახებ, ყველას გვამხნევებდა და სცენისადმი სიყვარულს გვინერგავდა“.

კონსტანტინე ანდრონიკაშვილი 1911-1931 წლებში რეჟისორად მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა თეატრში, 1931-1945 წლებში — რუსეთში, გორკის, როსტოვის, სარატოვისა და სხვა ქალაქების თეატრებში; 1945-1947 წლებში — თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. 1945-1954 წლებში ის თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი გახლდათ. ავტორია პიესებისა: „სიზმარი კოშკში“, „სიყვარულის ყვავილი“ და სხვ.; თარგმნა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“, ლოპე დე ვეგას „თივა და ძაღლი“ და სხვ.; კონსტანტინე ანდრონიკაშვილმა სხვადასხვა დროს დადგა სპექტაკლები: ი. გედევანიშვილის „სინათლე“, გ. კაიზერის „გაზი“, ტ. რამიშვილის „სტუმარმასპინძლობა“, ვ. ჰიუგოს „რუი-ბლაზი“ (სვერდლოვსკში), ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“, ვ. გაბისკირიას „მარტოხელა“, შ. დადიანის „ვარამი“, და სხვ.





ალექსანდრე იუჟინი. მოსკოვის ქართველთა საზოგადოების კომიტეტი. 1914 წ.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **შალვა დადიანმა** ალექსანდრე სუმბათაშვილის ქველმოქმედების შესახებ შემდეგი გვიამბო: „მქონდა შეხვედრები **რუსული სცენის ამ დიდ ოსტატთან და ქართული კულტურის თვალსაჩინო მოამაგესთან.**

XIX-XX საუკუნეებში მწერლობა და თეატრი იყო ქართული ეროვნული ცნობიერების შენახვისა და გამოვლენის, გაცოცხლებისა და აღორძინების უმთავრესი საშუალება, სწორედ ხელოვნებისა და ერის ცხოვრების ამ ორ უმნიშვნელოვანეს დარგში მიუძღვის შალვა დადიანს დიდი დამსახურება. წლების მანძილზე იგი იყო საქართველოს მსახიობთა კავშირის ხელმძღვანელი, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე. მან სცენაზე 200 მეტი როლი განასახიერა.



შალვა დადიანი

„მახსოვს 1903 წელი, — იგონებს შალვა დადიანი, — როდესაც მოსკოვში ვიყავი თავისუფალ მსმენელად მოსკოვის უნივერსიტეტში. მე, მოსკოვის ქართველთა კოლონიის ერთ-ერთ წევრს, მაინტერესებდა ის საკითხები, რომლებიც საქართველოსთან იყო დაკავშირებული. ყველა ამ საკითხსა და საქმეს იმ დროს სუმბათაშვილი უვლიდა. კერძოდ, **ის დიდ დახმარებას უწევდა მოსკოვში სასწავლებლად ჩამოსულ ქართველ ახალგაზრდობას. მოსკოვში დიდად პოპულარული ყოველწლიური ქართული საღამოები მუდამ სუმბათაშვილის მოთავეობით ეწყობოდა. მიზანი ამ საღამოებისა საქველმოქმედო იყო.** საღამოს შემოსავალი ქართველთა სათვისტომოების ფონდში მიდიოდა, აქედან კი მოსწავლე ახალგაზრდობას ეძლეოდა დახმარების სახით. სუმბათაშვილის მიერ ამ საღამოების მოთავეობა სრული გარანტია იყო, რომ შემოსავალი ბლომად იქნებოდა. სუმბათაშვილის გავლენით ამ საღამოებში რუსული თეატრის საუკეთესო ძალები მონაწილეობდნენ, რაც, ცხადია, აუარებელ ხალხს იზიდავდა. **1903 წლის 14 იანვარს, მოსკოვში ახალჩასული, პირველად დავესწარი ქართულ საღამოს. მოსკოვის რჩეული საზოგადოება ამშვენებდა შეკრებულებას. ვინ გინდა, რომ აქ არ იყო მაშინდელი რუსეთის ინტელიგენციიდან... სუმბათაშვილი არა მარტო განაგებდა ამ საღამოს და უზრუნველყო საუკეთესო ძალების მონაწილეობა, არამედ თითონაც გამოვიდა ესტრადაზე და თავისი შეუდარებელი დიქციითა და ხმით წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, რუსულად თარგმნილი ტხორჟევსკის მიერ.** აი, ამ საღამოზე გავიცანი სუმბათაშვილი. თავაზიანად მომეპყრო მე, ახალგაზრდას, გამომკითხა საქართველოს ამბები, კერძოდ ვასო აბაშიძეზე, ილია ჭავჭავაძეზე. გამაცნო ზოგიერთი მოსკოველი მოღვაწე. მიმიწვია საღამოს შემდეგ გამართულ ვახშამზე. მას შემდეგ მრავალჯერ მქონია მასთან საქმიანი კავშირი ქართული თეატრის შესახებ. **მუდამ თავაზიანი, დიდი პატივისცემით მომპყრობი თავის თანამემამულეთადმი, გულწრფელი დამხმარე გაჭირვებაში — აი, ასეთი იყო სუმბათაშვილი“.**

ასე შეაფასა სუმბათაშვილის ამაგი შალვა დადიანმა, კომედიური ჟანრის ფუძემდებელმა ქართულ დრამატურგიაში.

**ცნობისთვის: ალექსანდრე სუმბათაშვილი 1863-1877 წლებში ცხოვრობდა საქართველოში. დაამთავრა თბილისის ვაჟთა I გიმნაზია. 1877-1881 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ავტორია ოცამდე პიესისა, ისტორიული დრამებისა.**

**1903 წელს სუმბათაშვილ-იუჟინმა საქართველოს უძღვნა ისტორიული დრამა „ღალატი“, რომელიც ერთგვარი მონატრებაა ჩვენს გმირულ წარსულზე. მისი პიესები ქართულ ენაზე ითარგმნებოდა 1889 წლიდან (მთარგმნელები აკაკი წერეთელი, ვალერიან გუნია, კოტე მესხი, ნიკოლოზ ავალიშვილი). პროფესიულ სცენაზე პირველად გამოვიდა 1876 წელს თბილისში სოლცევის ფსევდონიმით, 1878-1879 წლებში მოღვაწეობდა პეტერბურგის თეატრებში. არაერთხელ ყოფილა გასტროლებზე საქართველოში მცირე თეატრის დასთან ერთად. 1882 წლიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა მოსკოვის მცირე თეატრში.**

**ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი მგზნებარე ტემპერამენტის, ფართო დიაპაზონის, ტრაგიკული პლანის რომანტიკოსი მსახიობი იყო. ასრულებდა, აგრეთვე, სახასიათო, კომედიურ როლებსაც. მისი გმირები თავისუფლებისმოყვარე, მეამბოხე, ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანები იყვნენ. 1923 წელს მონაწილეობდა რუსთაველის თეატრში კონსტანტინე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში — ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“.**

**«მუდამ თავაზიანი, დიდი პატივისცემით მომპყრობი თავის თანამემამულეთადმი, გულწრფელი დამხმარე გაჭირვებაში — აი, ასეთი იყო სუმბათაშვილი»**

ყოფილები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— ამბობთ, რომ მიხეილი თქვენ მიმართ აგრესიას გამოხატავდა. ეს აგრესია პირად, ახლო ურთიერთობასთან იყო დაკავშირებული?**
**— დიახ.**
**— უცემიხართ თუ არა?**
**— დიახ, მაგრამ ეს იყო ინტიმური ურთიერთობისას, ლოგინში.**

# GOOD BYE, მიშა!

**ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ამორალური ცხოვრების წესის შესახებ ქართული ტელეარხები დუმან, როგორც „ტრამალები, მისი საქმით განაკვირვები“. არადა, სათქმელია გამოსააშკარავებელი, რადგან ხალხმა უნდა იცოდეს, რომ წლების განმავლობაში ქვეყნის პირველ პირად არჩეული გვყავდა, ავხორცი და ბოროტი კალიგულა თუ არა, მარკესის „პატრიარქის შემოდგომის“ დიქტატორი, რომლის „ნამდვილი სახელი (სარაკიასი?) უკვე აღარავის ახსოვს“. ის ხმები, რომლებიც მისი სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ ვრცელდებოდა, არც ჭორი იყო, არც ოპოზიციის მიერ შეთხზული მაკომპრომენტებელი მასალა.**




რუსმა „ტელევიზიონშჩიკებმა“ დაჰკრეს ბარი სააკაშვილის სახელობის ნაკრძალის ყამირ ნიადაგს და იქიდან ისეთი სიმყრალე ამოიფრქვა, რომ ერთი თვის განმავლობაში რუსეთის პოპულარული ტელეარხის პროგრამებში („Пусть говорят“ და „На самом деле“) ამ თემის განხილვის შედეგად სტუდიებში დაგროვებული იპრიტის „სურნელებისგან“ ვერა და ვერ გაწმინდეს მიკროგარემო.

ამ გადაცემებში მიშა-სექსუალი საერთაშორისო მასშტაბის კაზანოვად წარმოჩნდა, როგორც მასაჟისტი ქალის — **დოროტი შტეინის**, რომელიც დოქტორ დოტის ფსევდონიმით უფრო არის ცნობილი (გერმანია), ახალდაქვრივებული **მარია მაქსაკოვასა** (უკრაინა) და **ელენა ბურჩაკის** (რუსეთი) გულთამპყრობელი და ხელგაშლილი საყვარელი.

ჯერჯერობით ამ სამზე აიგო გადაცემები, მაგრამ, როგორც ჩანს, ამით არ დამთავრდება, თუ სააკაშვილისადმი ინტერესი თანდათან არ „განულდა“.

დღეს გთავაზობთ პროგრამა „На самом деле“-ს 28 აგვისტოს გამოშვების გადმოქართულებულ საგაზეთო ვარიანტს.

სტუდიის ცენტრში, სცენაზე დადგმულ მაგიდასთან ორი ახალგაზრდა ქალი ზის — მასაჟისტი **დოროტი შტეინი** (დოქტორი დოტი) და თავისუფალი პროფესიის, პლასტიკური ოპერაციებით აწყობილი **ელენა ბურჩაკი.**

ორივენი სიცრუის დეტექტორს — პოლიგრაფს არიან მიერთებულნი. გადაცემა მიჰყავთ ჟურნალისტ **დიმიტრი შეპელევსა** და რამდენიმე ექსპერტს.

პროგრამის პირველი ნაწილი, რომელიც დოქტორ დოტთან ინტერვიუსა და მისი მონათხრობის ტყუილ-მართლის დადგენას ეთმობა, უინტერესოდ მიმდინარეობს. მასაჟისტი, რომელიც რუსი პოლიციელის ქუდით არის მობრძანებული (წითელ მოედანზე უყიდია), ახალს არაფერს ამბობს და ცდილობს ამ ხარვეზის თავისუფალი ქცევით, უკბილო იუმორით, უადგილო სიცილკისკისით, ტრაბახითა და ბაქიბუქით გამოსწორებას. ამბობს, რომ მისი კლიენტები იყვნენ **ბრიუს უილისი**, მომღერლები დევიდ ბოუი და **ბრიტნი სპირსი**, მუსიკოსი **სტინგი**.

გოგოლის ხლესტაკოვის უნიჭო ვარიანტია: „პუშკინი უახლოესი მეგობარია. ხშირად ვეკითხები: „რაო, ძმაო პუშკინ?“ „ისე რა, ძმაო“ — მიპასუხებს ხოლმე, — ისე, როგორც ყველა... „დიდი ორიგინალია“ (ნ. გოგოლი, „რევიზორი“). აშკარად ეტყობა, რომ ძალიან მოსწონს მრავალმილიონიანი ტელეაუდიტორიის წინაშე გაკეკლუცება და, უცოდველ უბიწოებად თუ არა, პატიოსან, ოჯახის ერთგულ ქალად თავის წარმოჩენა.

მაგრამ, ამ პროგრამაში მოწვეული პროფესიონალების ჯვარედინი დაკითხვის სამიზნეში მოხვედრილი, იძულებულია, აღიაროს, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ორჯერ შესცოდა: ერთხელ ბრიუს უილისთან, მეორედ — მიხეილ სააკაშვილთან, რომელმაც მას ნარკოტიკული ნივთიერებით გაზავებული ქართული კონიაკი ძალით შეასვა („ეს ჩვენი ეროვნული სასმელია და, თუ არ გინდა მაწყენინო, ბოლომდე დალიეო“). აქვე ჩაურთავს, რომ მიშასთან შეხვედრამდე არც კი იცოდა, რომ არსებობდა ასეთი ქვეყანა — საქართველო. ხოლო როცა გააგებინეს, ამერიკის ერთ-ერთი შტატი ეგონა. მოკლედ, მიშა მართალს ამბობდა, როცა გვარწმუნებდა, რომ მსოფლიოს გააცნო საქართველო.

ძალიან რომ მოშინაურდება, ისეთ სიბინძურეს იტყვის მიხეილ სააკაშვილსა და მისი ოჯახის ერთ-ერთ წევრზე, აშშ-ში გადასახლებულ ქართველ ტრანსგენდერზე, რომ მისი ნაამბობის გამეორებით ჩვენს მკითხველებს არ შეურაცხვყოფთ. რპი-ს ათეულ მილიონობით მაყურებელმა კი მოისმინა.

ლამაზმანი ელენა ბურჩაკი გადაცემის მეორე ნახევარში მთავარ პერსონაჟად წარმოგვიდგა. ეტყობა, თავს უხერხულად რომ გრძნობს, მოკლე პასუხებით ცდილობს ფონს გასვლას. მიხეილ სააკაშვილზე ამბობს, რომ იგი საინტერესო ადამიანად აღიქვა კიევში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე, სადაც მეგობარმა ქალმა მიიყვანა.

**— რაზე ლაპარაკობდით? — ეკითხება წამყვანი.**

— ყველაფერზე და არაფერზე.

**— ალბათ, ამინდზე არ გისაუბრიათ. უთუოდ კომპლიმენტები გითხრათ.**

— ბუნებრივია, რომ კომპლიმენტებით დაიწყო. შემდეგ განვმარტოვდით. გავცვალეთ ტელეფონის ნომრები. ბოლოს მოსკოვში გავფრინდი.

**— იცოდით, რომ ადამიანი, რომელიც გესაუბრებოდათ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი იყო?**

— არა, არ ვიცოდი.

**— როგორ წარმოგიდგათ?**

— როგორც მიხეილი...

**— შემდეგ როგორ განვითარდა თქვენი ურთიერთობა?**

— დავბრუნდი მოსკოვში. მან ესემესი მომწერა, დაინტერესდა, როგორ ჩავედი, როგორ მიდის ჩემი საქმეები და ყვავილების ძალიან ლამაზი თაიგული გამომიგზავნა.

მოკლედ, ყველაფერი საკურორტო რომანივით დაიწყო და ესემესებით, სატელეფონო საუბრებითა და ძვირფასი ბეჭდების, საყურეების, სამაჯურების მირთმევით გაგრძელდა. შემდეგ მონაკოში მიიწვია დასასვენებლად.

**— დიდხანს გარწმუნებდათ, რომ გაჰყოლოდით?**

— არა!

სტუდიის აუდიტორიას ეცინება:

ბატონკაცური ერთადერთი შეხვედრა და უცებ ასეთი ხელგაშლილობა? თავისთავად ჩნდება შეკითხვა.

— ასეთი განა რა მოხდა? მე ლამაზი ქალი ვარ, — განმარტავს ბურჩაკი.

იცის ამ ლამაზმანმა საკუთარი თავის ფასი — ძვირად ღირებულია. დოტივით არ ისაწყლებს თავს, რომელსაც სააკაშვილმა, მომსახურებისთვის „რაღაც“ 2000 ევრო გადაუხადა და ერთი კულონი ჩამოჰკიდა კისერზე.

ცოტა ხანში ბურჩაკი იმასაც იტყვის, რომ მიხეილ სააკაშვილმა (კორუფციის „დამამხობელმა“ პრეზიდენტმა, რომელსაც საქართველოს პროკურატურამ 5 მილიონი ლარის მითვისება წაუყენა ბრალად) მას ახალთახალი ავტომანქანა აჩუქა. ეკრანზე ელენას ფოტოსურათი გამოჩნდება, ამ მანქანის ფონზე გადაღებული.

საქართველოში ასე არ დახარჯულა მიხეილი, აქ იაფი უჯდებოდა სასიყვარულო თამაშები...

**— დოროტი,** — მიმართავს წამყვანი მასაჟისტს, — **არ გწყინთ, რომ მიშა ასეთ საჩუქრებს არ მოგართმევდათ?**

— არა. მე შემიძლია, საჩუქრები ჩემთვის თვითონ ვიყიდო! — ამ წატრაბახებას სტუდიაში მყოფნი ტაშით შეხვდნენ(!).

როგორი იქნება ჩვენებურების რეაქცია ხელიდან გაშვებულ ასეთ პერსპექტივაზე?

ჩალის ფასად ხომ არ გაისარჯნენ?

— მონაკოში უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. ვცხოვრობდით ძალიან კარგ სასტუმროში, მხიარულად ვატარებდით დროს, ყველაფერი მაგარი (კპუირ) იყო.

დაგიდგეს თვალები, პროვინციავ!

**— თქვენ ამბობთ, რომ რომანი მიხეილ სააკაშვილთან მონაკოში დაიწყო. ამ დროს უკვე იცით, რომ იგი სახელმწიფოს ექსპრეზიდენტია?**

— დიახ.

**—** *ელენა ამბობს:* — **დიახ.**

**— ეს მართალია თუ ტყუილი?** — *შეკითხვა ექსპერტებს.*

— მართალია! — დასტურდება პოლიგრაფით.

**— როგორ გაგრძელდა თქვენი რომანი?**

— ორჯერ ჩავფრინდი მასთან კიევში. რუსეთში არ ჩამოსულა. დასასვენებლადაც ჩავფრენილვარ.

**— ბევრი აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილს ახასიათებს სისასტიკე, გაშმაგება, რომელსაც ვერ აკონტროლებს.**

— დიახ, ასეა.

**— ბევრმა ადამიანმა აღიარა, რომ იგი მათ სცემდა. თქვენ გადაურჩით ამ ხვედრს?**

— დიახ, გადავურჩი, მაგრამ ვიტყვი, რომ ამ ადამიანს ძალიან დარღვეული აქვს ნერვული სისტემა. იგი რეაგირებს ყველაფერზე, ძალიან ფეთქებადია. ძალიან ემოციურია. მეშინოდა, რომ რომელიღაც მომენტში მეც მომხვდებოდა. მგონია, რომ ალკოჰოლის ზედმეტად მიღების ბრალია ან სხვა რამის...

**— თქვენ უცემიხართ?**

— სცემდა თავის დაცვას. რამე თუ არ მოეწონებოდა, წვრილმანიც რომ ყოფილიყო, დაიწყებოდა შტორმი.

**— ალბათ, ძალიან გეშინოდათ.**

— ბუნებრივია, მეშინოდა.

**— ეს ადამიანი თქვენ გცემდათ?**

— არა, მე არ ვუცემივარ.

**— თქვენზე ხელი არ აღუმართავს?**

— არა. მისი მხრიდან იყო აგრესიული მოქმედება, მაგრამ ჩემზე ხელი არ აღუმართავს.

**— რას ნიშნავს „აგრესიული მოქმედება“?**

— შეეძლო შეეყვირა ჩემთვის, ხელიც მოექნია, მაგრამ, რომ დაერტყა, ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

**— ელენა რომ აცხადებს, თითქოს სააკაშვილს იგი არ უცემია, მართალია?** — *კვლავ შეკითხვა ექსპერტებს.*

პოლიგრაფის დამკვირვებელი ექსპერტები ამ შეკითხვაზე პასუხს არ აცხადებენ, რადგან დაზუსტებული შეკითხვა თავად აქვთ:

**— მიხეილთან ურთიერთობისას გქონდათ თუ არა ეჭვი, რომ იგი ნარკოტიკებს მოიხმარს?**

— დიახ.

**— იგი მართალს ამბობს, —** *ადასტურებს ექსპერტი.*

**— მიხეილი თქვენდამი აგრესიული თუ ყოფილა? —** *ეკითხებიან ექსპერტები.*

— დიახ, იყო.

**— რაში გამოიხატებოდა ეს?**

— ჩვენს ინტიმურ ურთიერთობაში.

**— შემოუხევია თუ არა მას თქვენთვის ტანსაცმელი?**

— დიახ, შემოუხევია, შეეძლო დაერტყა ჩემთვის, მაგრამ ეს იყო... — პასუხს არ ამთავრებს.

**— ეს ძალიან მნიშვნელოვანია: გცემდათ?**

— დიახ.

პროგრამის წამყვანმა ამ ბლიცგამოკითხვის შედეგად მიიღო პასუხი მის მიერ რამდენიმე წუთის წინ დასმულ, მაგრამ ექსპერტების მიერ იგნორირებულ შეკითხვაზე: სცემდა თუ არა სააკაშვილი საყვარელს? ელენამ აღიარა, რომ სცემდა.

**წამყვანი:**

**— ვწუხვარ, რომ მოგიწიათ ამ ყველაფრის გადატანა, მაგრამ რატომ იცრუეთ, როცა ეს შეკითხვა დაგისვით?**

**ელენა:**

— იგი მე მცემდა, როგორ გითხრათ, არა ჩვეულებრივ ცხოვრებაში...

**ექსპერტი მიმართავს წამყვანს:**

**— შეიძლება დავეხმარო ჩვენს თანამოსაუბრეს?** — *და თანხმობის მიღების შემდეგ განაგრძობს,* — **შეიძლება ითქვას, რომ მიხეილის გეშინიათ?**

— დიახ.

**— შეიძლება ითქვას, რომ ეჭვიანია?**

— მგონია, რომ იგი უფრო მესაკუთრეა.

**— შეიძლება, რომ იგი ახლა დაემუქროს თქვენს სიცოცხლეს?**

— შესაძლებელია, მაგრამ აზრი არ აქვს.

**— შემდეგი შეკითხვა: გითვალთვალებდნენ თუ არა მაშინ, როცა მასთან ურთიერთობა გქონდათ?**

— როცა მანქანით მივდიოდი, ყოველთვის ერთი და იგივე ავტომობილი დამდევდა მთელი დღის განმავლობაში. ჩემს სახლთან ვხედავდი უცნაურ ადამიანებს.

**— ამბობთ, რომ მიხეილი თქვენ მიმართ აგრესიას გამოხატავდა. ეს აგრესია პირად, ახლო ურთიერთობასთან იყო დაკავშირებული?**

— დიახ.

**— უცემიხართ თუ არა?**

— დიახ, მაგრამ ეს იყო ინტიმური ურთიერთობისას, ლოგინში.

ოპაა! არც ახლა დაიჯერებენ ურწმუნო თომები, რომ ერთ პროვინციელ ესტრადის „ვარსკვლავს“ მკერდი ჩაუკბიჩა სექსუალურად ატეხილმა პრეზიდენტმა?

კბენის „მეთოდით“ მასაჟის პროცედურის გაკეთება ქალბატონმა დოროტიმ მიშასგან ხომ არ გადაიღო? იქნებ — პირიქით?

ცხოველები!

ექსპერტები განაგრძობენ გამოკითხვას:

**— რატომ შეწყვიტეთ ურთიერთობა სააკაშვილთან?**

— ძალიან მოსაბეზრებელი გახდა.

**— შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო აგრესია?**

— აგრესიული იყო.

**— კეთილი. მის ქცევაში თუ იყო რაღაც მანიაკური, შიზოფრენიის მსგავსი რამ?**

— დიახ, იყო.

**წამყვანი:**

**— მინდა გთხოვოთ, რომ ლენა მსგავსი შეკითხვებით აღარ შეაწუხოთ, მისი პულსი უკვე 137-ია. თქვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემისას ლენამ ერთხელ მაინც თუ იცრუა?**

— არა!

**— ელენა, თქვენ თქვით, რომ გეშინიათ საკუთარი სიცოცხლის ხელყოფის.**

— მე მეშინია ამ ადამიანის.

**— ნანობთ, რომ შეხვდით?**

— არა.

**— გიყვარდათ?**

— არა.

**— გიყვებოდათ თუ არა მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო საიდუმლოებების შესახებ?**

— მიყვებოდა ერთ კაცზე, რომელმაც აწყენინა.

**— პოროშენკოზე?**

— არა, მაგრამ პოროშენკოზეც ლაპარაკობდა; ამბობდა, რომ მას ამერიკაში ძალიან კარგი მეგობრები ჰყავს, რომლებიც არასოდეს ▶

**ჭვავი, ძირითადად, ბარტყობს შემოდგომაზე, ამიტომ ის საშემოდგომო ხორბალზე ადრე უნდა დაითესოს. საქართველოში ჭვავი ითესება 20 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. ითესება ჩვეულებრივ და ვიწრო მწკრივებად, ისე, როგორც საშემოდგომო ხორბალი; შეიძლება დაითესოს ჯვარედინადაც (ამ დროს თესლი თანაბრად ნაწილდება ფართობის ერთეულზე, რაც ზრდის მოსავლიანობას). თესვის ნორმაა 5-6 მილიონი მარცვალი ჰექტარზე, ანუ 200-240 კილოგრამი, ჩათესვის სიღრმე უნდა იყოს 4-5 სანტიმეტრი.**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მიატოვებენ და რომ მას თვალის დახამხამებაში შეუძლია პოროშენკოს თანამდებობიდან ჩამოგდება. მიშას იგი სძულდა.

**— კიდევ რისი მოყოლა მოასწრო?**

— მიყვებოდა, რომ დიდი გავლენის მქონე ადამიანია. მეუბნებოდა, რომ რუსეთი ქვეყანაა, რომელსაც მომავალი არ აქვს; უნდოდა, რომ მასთან გადავსულიყავი კიევში. მე კი აქ ვარ, თქვენთან.

პატრიოტობა ითამაშა!

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო ამერიკელი ჟურნალისტი **მაიკლ ბომი**, რომელიც რუსეთის ტელეარხების ეკრანებზე გაშინაურებული პიროვნებაა და აშშ-ის ინტერესების გააფთრებული დაცვით გამოირჩევა. რუსეთისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას ვერავინ დააბრალებს.

წამყვანი მას მიმართავს:

**— მაიკლ, ჩვენ დღეს მრავალი სკანდალური აღიარება მოვისმინეთ. ამ ყველაფრის შემდეგ შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ, რომ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა გაგრძელდება? თქვენ მას ერთხელ უწოდეთ, როგორც ამერიკაში ამბობენ, „გუშინდელი თოვლი"** (ქართულად — შარშანდელი თოვლი ან — ჭიანი თოვლი, რომელიც ხევ-ხუვებში, გაზაფხულზე აქაიქ შემორჩება ხოლმე).

**მაიკლ ბომი:**

— ვიტყოდი, გაქრილი კარტია, არა მხოლოდ ამ სკანდალების გამო. ეს სხვა ყველაფერსაა დამატებული. ამერიკის ისტებლიშმენტს ვაშინგტონში იგი აინტერესებდა მაშინ, როცა ქვეყნის პრეზიდენტი იყო, მაგრამ, დიდი ხანია, არ არის პრეზიდენტი, პერსონა ნონგრატაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უკრაინაშიც. იგი ეძებს თავის ადგილს. როგორც პოლიტიკოსი ვაშინგტონისთვის საინტერესო არ არის.

**— თქვენ ადასტურებთ, რომ, როგორც პოლიტიკოსი, საინტერესო იყო ვაშინგტონისთვის?**

— როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, დიახაც. სხვათა შორის, ეს მისი ინიციატივა იყო. 2004 წელს, როცა პრეზიდენტი გახდა, ვაშინგტონს სააკაშვილი დიდად არ მოსწონდა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ იყო იმპულსური, ერთგვარად თავზე ხელაღებული... სააკაშვილს ძალიან უყვარდა აშშ, რადგან იქ სწავლობდა, იქ ცხოვრობდა და იზიარებდა დასავლურ ფასეულობებს. შემდეგ საერთო ენა გამონახეს, მაგრამ დასაწყისში ვაშინგტონი მისდამი განსაკუთრებულ ენთუზიაზმს არ იჩენდა.

**— თქვენი აზრით, მისი კარიერა დამთავრებულია?**

— პოლიტიკური თვალსაზრისით, დიახ!

**— როგორი არჩევანი აქვს სააკაშვილს? მაგალითად, პოლონეთთან დაკავშირებით, სადაც ბევრს მისი სჯერა?**

— შეიძლება სადმე ლექციები წააკითხოს, რომელიმე გონებრივ ცენტრში იმუშაოს. ამ თვალთახედვით შეიძლება ვინმესთვის საინტერესო იყოს, პოლიტიკური თვალთახედვით კი — არა.

მოკლედ, გუდ ბაი, მიშა, **Good bye!**

**სიმონ ცისკარიძე**

# ჭვავის მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგია

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ერთობლივი პროექტი**

**რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.**



ჭვავი მნიშვნელოვანი სასურსათო კულტურაა. მისი სამშობლოა მცირე აზია, სადაც იგი პურეულის ნათესების სარეველა იყო; ხოლო, როგორც კულტურული მცენარე, ცნობილია მესამე საუკუნიდან. ჭვავი, ანუ სვილა (Secale cereale) ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ძირითად პურეულს წარმოადგენდა იმ რაიონებში, რომლებშიც ხორბლის კულტურა ჯერ კიდევ ნაკლებად იყო გავრცელებული. უკიდურეს ჩრდილოეთში იგი ადგილს უთმობდა ქერს, რომელსაც სავეგეტაციო პერიოდი უფრო მცირე აქვს. მსოფლიო მიწათმოქმედებაში ფართობის მიხედვით მას მეექვსე ადგილი უჭირავს პურეულთა შორის.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო საგაზაფხულო ჭვავის 50 და საშემოდგომო ჭვავის 2 ჯიში. მეცნიერებმა ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით გამოიყვანეს ჭვავის ტეტრაპლოიდური ჯიში, რომელიც მოსავლიანობით, მოსავლის ხარისხით, ჩაწოლის, დაავადებებისა და მავნებლების მიმართ გამძლეობით გამოირჩევა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამ მცენარის უამრავი სახელი იყო გავრცელებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველებს ჭვავი უძველესი დროიდან მოჰყავდათ. მას ერწო-თიანეთში **ბიჭაპურს** ეძახდნენ, საინგილოში — **ჩავდარს,** რაჭაში — **ზოფხს**, იმერეთში — **ქუბას**, სვანეთში — **მანაშს**. სამეგრელოში ოდითგან ითესებოდა შავი ჭვავი, თეთრი გრძელმარცვალა ჭვავი, წვრილი წითელმარცვალა ჭვავი და მსხვილმარცვალა ჭვავი. დასანანია, რომ ჩვენმა ხალხმა, ბევრი უძველესი კულტურის მსგავსად, ჭვავიც დაივიწყა და აღარ მოჰყავს.

## გამოყენება

ჭვავის ფქვილისგან მზადდება გემრიელი პური, რომელშიც შედის სრულფასოვანი ცილები და ვიტამინები. კალორიულობით ჭვავის პური ზოგჯერ ხორბლისაზე უკეთესია.

ჭვავი ძალიან სასარგებლოა დიაბეტიანებისთვის. ის არ იწვევს კუჭ-ნაწლავის გადატვირთვას და მსუბუქი მოსანელებელია, რა თქმა უნდა, თუ ადამიანი ზომიერად მიიღებს. ექიმები ჯანმრთელ ადამიანებსაც ურჩევენ ჭვავის პურის მიღებას.

ჭვავს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სვანეთის მოსახლეობისთვის. მის ფქვილს იყენებდნენ მჭადისა და პურის გამოსაცხობად. ის იცავდა მჭადს გახმობა-გაფუჭებისგან.

ჭვავი იძლევა მწვანე მასის მაღალ მოსავალს, რომელიც საუკეთესო საკვებია ცხოველებისთვის. მცენარის ვეგეტატიური ნაწილებისგან ამზადებენ თივის ფქვილს, სილოსს, სენაჟს, მწვანე საკვებს, თივას. ჭვავის მარცვალს აქვს, აგრეთვე, ტექნიკური მნიშვნელობაც. მას იყენებენ მეღვინეობასა და სახამებლის წარმოებაში. ნამჯა საუკეთესო საფენი მასალაა პირუტყვისთვის. მისგან ასევე აკეთებენ კალათებს, ქუდებსა და სხვა ნივთებს.

მარცვლის ქიმიური შემადგენლობა დამოკიდებულია ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე, აგროტექნიკის დონესა და ჯიშის თავისებურებაზე: ცილების ყველაზე მეტი შემცველობა (15-16%-მდე) აღინიშნება გვალვიან წლებში, ნალექიან წლებში კი ცილების შემცველობა 7-8%-მდე მცირდება. ასევე, ცილების მეტი შემცველობა შეიმჩნევა სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში, ხოლო ნაკლები — ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებში.

ძლიერი ბარტყობისა და ზრდის გამო ჭვავი ჩაგრავს სარეველებს, ამიტომ ის ერთ-ერთი საუკეთესო წინამორბედია სათოხნი კულტურებისთვის.

ჭვავი ეკუთვნის მაღალპროდუქტიულ კულტურებს, თუმცა მოსავლიანობით ჩამორჩება საშემოდგომო ხორბალს. მისი საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 1.8 ტონას ჰექტარზე, კარგი მოვლის პირობებში კი 3.5-5.0 ტონას აღწევს ჰექტარზე.

## ჭვავის ბიოლოგიური თავისებურებები და გარემო პირობები

ჭვავს უვითარდება ფუნჯა ფესვთა სისტემა, რომელიც 1.5 მეტრ სიღრმეზე ჩადის; ღერო 1.5 მეტრამდე აღწევს 5-7 მუხლთშორისით; ფოთლები ხაზოვანია, უფრო განიერი, ვიდრე ხორბლის. ჭვავის მარცვალი ნიადაგში ტენის საკმარისი რაოდენობისას ღივდება 1-2 გრადუსი ტემპერატურის პირობებში და აღმოცენდება 4-5 გრადუსზე. ჭვავს ხორბალზე მეტი ბარტყობა ახასიათებს. განსაკუთრებით კარგად ბარტყობს, როცა ჰაერის ტემპერატურე 12 გრადუსია.

მარცვლოვან კულტურათა შორის ჭვავი ყველაზე ყინვაგამძლედ ითვლება. უთოვლო ზამთრის პირობებში ის 20 გრადუსამდე ყინვას უძლებს, ხოლო 20-30 სმ თოვლის საფარის ქვეშ — 50-55 გრადუს ყინვას.

ჭვავი შედარებით გვალვაგამძლე კულტურაა, მაგრამ, შემოდგომაზე ტენის ნაკლებობის დროს, ზამთარში შედის არასაკმარისად დაბარტყებული, რის გამოც მცირდება მოსავალიც. წყალზე მოთხოვნა ყველაზე მაღალია აღერებიდან დათავთავებამდე. ამ პერიოდში ტენის ნაკლებობა იწვევს წვრილ და ნაკლებპროდუქტიულ დაბარტყებას.

## ჭვავის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია

ჭვავი უფრო ნაკლებმომთხოვნია წინამორბედებისადმი, ვიდრე ხორბალი. ქვიშნარ ნიადაგებზე მისთვის კარგი საანაეულო კულტურაა **ხანჭკოლა** და პარკოსანი, დამატებული შვრიის ნარევი. დაბალნაყოფიერ ნიადაგებზე თესავენ სუფთა ანეულებზე, სასილოსედ ან მწვანე საკვებად გამოყენებული სიმინდის ან ბარდის შემდეგ.

ჭვავი კარგად ვითარდება, აგრეთვე, ორ წელიწადს ზედიზედ თესვის პირობებშიც. ამას განაპირობებს ის, რომ ჭვავი ნაკლებად ზიანდება ფესვის სიდამპლით.

## განოყიერება

ჭვავის მაქსიმალური მოთხოვნა ფოსფორსა და კალიუმზე ემთხვევა აღერება-დათავთავების ფაზას. აზოტზე მოთხოვნა შედარებით მოგვიანებით, მაგრამ ყვავილობის დასაწყისისათვის, მკვეთრად ეცემა. ერთი ტონა მარცვლისა და შესაბამისი ოდენობის ნამჯის ფორმირებისათვის ჭვავი საშუალოდ მოითხოვს 31 კილოგრამ აზოტს, 13.7 კილოგრამ ფოსფორსა და 26 კილოგრამ კალიუმს.

## ნიადაგის დამუშავება

საშემოდგომო ჭვავი თუ საანეულო მინდორზე ითესება, ამ წინამორბედის საგაზაფხულო დამუშავება-კულტივაცია, ფარცხვა უნდა ჩატარდეს მინდორში გასვლის შესაძლებლობისთანავე, მარტის დასაწყისში. ამით უზრუნველვყოფთ, როგორც ტენის შენარჩუნებას, ისე სარეველების ლიკვიდაციას. უმჯობესია, საანეულო კულტურა რაც შეიძლება ადრე აიღონ. პარკოსანისა და შვრიის წინამორბედ ნათესში ნიადაგი უნდა მოიხნას სახნავი ფენის სრულ სიღრმეზე.

მზესუმზირისა და სიმინდის შემდეგ ნიადაგი მუშავდება მოსავლის აღებისთანავე 20-25 სმ სიღრმეზე. თესვის წინა დამუშავება-კულტივაცია, ფარცხვა უნდა ჩატარდეს თესლის ჩათესვის სიღრმეზე.



## თესლის მომზადება დასათესად

თესლი თესვის წინ უნდა შეიწამლოს გუდაფშუტისა და ფესვის სიდამპლის საწინააღმდეგო გრანოზანით (1-2 კილოგრამი ტონაზე და ტმდდ-ს სველებადი ფხვნილით: 1.5-2 კილოგრამი ტონაზე).

**ჭვავი, ძირითადად, ბარტყობს შემოდგომაზე, ამიტომ ის საშემოდგომო ხორბალზე ადრე უნდა დაითესოს. საქართველოში ჭვავი ითესება 20 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. ითესება ჩვეულებრივ და ვიწრო მწკრივებად, ისე, როგორც საშემოდგომო ხორბალი; შეიძლება დაითესოს ჯვარედინადაც (ამ დროს თესლი თანაბრად ნაწილდება ფართობის ერთეულზე, რაც ზრდის მოსავლიანობას). თესვის ნორმაა 5-6 მილიონი მარცვალი ჰექტარზე, ანუ 200-240 კილოგრამი, ჩათესვის სიღრმე უნდა იყოს 4-5 სანტიმეტრი.**

**ჭვავის ფქვილისგან მზადდება გემრიელი პური, რომელშიც შედის სრულფასოვანი ცილები და ვიტამინები. კალორიულობით ჭვავის პური ზოგჯერ ხორბლისაზე უკეთესია. ჭვავი ძალიან სასარგებლოა დიაბეტიანებისთვის. ის არ იწვევს კუჭ-ნაწლავის გადატვირთვას და მსუბუქი მოსანელებელია, რა თქმა უნდა, თუ ადამიანი ზომიერად მიიღებს. ექიმები ჯანმრთელ ადამიანებსაც ურჩევენ ჭვავის პურის მიღებას**

## ნათესის მოვლა

თუ ზემოხსენებული სამუშაოები — ხვნა, კულტივაცია, ფარცხვა და დათესვა — თავის დროზე და ხარისხიანად ჩატარდა ნათესი დამატებით ღონისძიებებს არ მოითხოვს. მეტად აქტუალურია ჭვავის საგაზაფხულო დაფარცხვა. ის რაც შეიძლება შემჭიდროვებულ ვადებში უნდა ჩატარდეს, მცენარე რომ არ დაზიანდეს.

სარეველების წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ ჰერბიციდი. ღიჭის, გვირილასა და წიწიბურას საწინააღმდეგოდ გამოიყენება ჰერბიციდი **ლარნტეტლი** (0.66 ლიტრი ჰექტარზე). ჰერბიციდების შეტანა ხდება 2-4 ფოთლის ფაზაში. შვრიის სარეველების წინააღმდეგ გამოიყენება პრეპარატი **თრიალიტი** (2-4 ლიტრი ჰექტარზე). დამუშვება ხდება თესვის წინ ან აღმოცენებამდე.

ნათესის ჩაწოლის წინააღმდეგ შეიძლება გამოვიყენოთ პრეპარატი **კონკუზლინი** (3-4 ლიტრი ჰექტარზე), ბარტყობა-ყვავილობის დასასრულს.

## მოსავლის აღება

კომბაინით აღება უნდა დავიწყოთ მაშინ, როდესაც თავთავების 95% სრულ სიმწიფეშია და ტენიანობა 14-18 პროცენტს შეადგენს.

**ოთარ ლიპარტელიანი,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
**ზეინაბ სარალიძე,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი**

# ვლადიმერ პუტინი: დონალდ ტრამპი ჩემი საცოლე არ არის, რომ მისით იმედგაცრუებული ვიყო



ასე უპასუხა ვლადიმერ პუტინმა ბრიჩსის სამიტზე გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტის კითხვას — იმედგაცრუებულია თუ არა აშშ-ის პრეზიდენტით.

„ტრამპი ჩემი საცოლე არ არის, არც მე ვარ მისი საქმრო. ჩვენ სახელმწიფო საქმიანობაში ვართ ჩართულნი. ტრამპი თავის საქმიანობაში თავისი ქვეყნის ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობს, მე — ჩემი ქვეყნის ინტერესებით. იმედი მაქვს, შევძლებთ ორმხრივი და საერთაშორისო საკითხების გადაჭრისას კომპრომისის გამონახვას. ჩვენ საერთაშორისო უსაფრთხოებაზე დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა

ბრიჩსის სამიტის შედეგებსა და მოსკოვისა და ვაშინგტონის თანამშრომლობის შესახებ კითხვაზე კი რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დიალოგი ქვეყანასთან, რომელსაც ავსტრია და ავსტრალია ერთმანეთში ერევა, რთულია. პუტინმა, აგრეთვე, ილაპარაკა აშშ-ში რუსეთის დიპლომატიური მისიის თანამშრომლების შემცირებაზე. „ეს მათი უფლებაა, მაგრამ ყველაფერი უხეში მანერით გააკეთეს“, — თქვა რუსეთის ლიდერმა.

2007 წელს უმცროს ჯორჯ ბუშს, რომელიც იმხანად აშშ-ის პრეზიდენტი იყო, ერთმანეთში აერია ავსტრია და ავსტრალია, აგრეთვე, „აპეკი“ (აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკური კავშირი) და „ოპეკი“ (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანების ორგანიზაცია).

# საქართველოს პროკურატურამ უკრაინას მიხეილ სააკაშვილის დაკავების მოთხოვნით მიმართა

**საქართველოს პროკურატურამ 2017 წლის 1 სექტემბერს კიდევ ერთხელ მიმართა უკრაინის იუსტიციის სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას მიხეილ სააკაშვილის დაკავებისა და ექსტრადიციის შუამდგომლობით.**



მაშინ, როდესაც ძებნილი პირის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე გამოძიების სტადიაზეა, უკრაინული კანონმდებლობის თანახმად, ექსტრადიციის საკითხის განმხილველი ორგანოა უკრაინის გენერალური პროკურატურა, ხოლო, როდესაც ძებნილი პირის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე სასამართლო განხილვის ეტაპზეა, ექსტრადიციის საკითხს განიხილავს იუსტიციის სამინისტრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან მიხეილ სააკაშვილის მიმართ არსებული ბრალდების ყველა საქმე სასამართლო განხილვის სტადიაზეა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მისი დაკავებისა და ექსტრადიციის შუამდგომლობა გააგზავნა უკრაინის იუსტიციის სამინისტროში. ამჟამად მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა.

მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ბრალდებულია სისხლის სამართლის ოთხ საქმეში, კერძოდ:

**1.** სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე ნაწილით (ალექსანდრე გირგვლიანის გარდაცვალების საქმეზე დაკავებულ პირთა შეწყალების საქმე);

**2.** 2007 წლის 07 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევის, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრისა და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებითა და 333-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, ჩადენილი ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით (ე.წ. 7 ნოემბრისა და ტელეკომპანია ,,იმედის“ დარბევის საქმე);

**3.** სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, ჩადენილი ძალადობითა და იარაღის გამოყენებით, რომელმაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია; ასევე, ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზებისთვის (სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის და გამოიწვია სახის წარუშლელი დამახინჯება), საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 25,117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ვალერი გელაშვილზე თავდასხმის საქმე);

**4.** წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით (8 837 461 ლარის) საბიუჯეტო თანხების გაფლანგვისთვის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა“ და ,,დ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით (სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხარჯების საქმე).

# სასამართლო: დეკანოზი დამნაშავეა შურისძიების მოტივით განზრახ მკვლელობის მომზადებაში

**„თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა ე.წ. ციანიდის საქმეში ბრალდებულ დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ“, — ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**



„მას ბრალად ედებოდა განზრახ მკვლელობის მომზადება ანგარებით (სსკ-ის 18-109 მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი) და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა (სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში, თუმცა საქმეში არსებულ და სასამართლო სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა შეფასებით, სასამართლომ წარდგენილი ბრალდება გადააკვალიფიცირა და დადგენილად მიიჩნია ბრალდებულის მხრიდან შურისძიების მოტივით განზრახ მკვლელობის მომზადება და მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა.

შესაბამისად, ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ და მას საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობითა და სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში“, — აღნიშნულია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.



# EADAILY: კოსოვოში დღემდე გაუხსნელია ადამიანების დაკარგვის 1500 შემთხვევა

**კოსოვოსა და მეტოხიაში უგზოუკვლოდ დაკარგული სერბების ოჯახების ასოციაციის თავმჯდომარემ მილორად ტრიფუნოვიჩმა სწორედ ამ აღმაშფოთებელ უმოქმედობას მიაქცია საზოგადოებრიობის ყურადღება. როგორც ჩანს, ბოლო 9 თვეში მხოლოდ ერთი შემთხვევაა გახსნილი, წელიწად-ნახევრის განმავლობაში კი — სამად სამი.**

„ჩვენ ჩიხში ვართ. ძალისხმევას არ ვიშურებთ არც ჩვენ, არც ალბანელები. სამი წლის წინათ დავაარსეთ საერთო მულტინაციონალური კანცელარია, რადგან ჩვენი მოთხოვნები აბსოლუტურად ერთნაირია“, — განაცხადა ტრიფუნოვიჩმა ტელევიზიით გამოსვლისას.

იგი დარწმუნებულია, რომ ამ საქმეში არსებითი დახმარება შეუძლია საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც 1999 წელს შევიდნენ კოსოვოში, მაგრამ აქტიურობა მათი მხრიდან არ ჩანს. ამასთანავე, აუცილებელი იქნება პოლიციის, კომუნალური სამსახურებისა და სერბიის არმიის არქივების გახსნა.

„გვაქვს ინფორმაცია, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ბელგრადის კომისიამ მოგვაწოდა და რომელიც კომპეტენტურ ორგანოებს გადავეცით, მაგრამ არ ვიცით, გადასცა თუ არა გაეროს თავისი მონაცემები და არქივები ნატოს. არ არის ინფორმაცია კოსოვოს გათავისუფლების არმიის არქივებიდან. იქ დევს ჩვენი პრობლემის გადაწყვეტის გასაღები“, — ხაზგასმით აღნიშნა ტრიფუნოვიჩმა. მისი აზრით, ბოლო დროს საქმეების გახსნისადმი ინტერესი თანდათან კლებულობს.

# ჰიუსტონში მაროდიორებისგან დასაცავად კომენდანტის საათი შემოიღეს

**Reuters-ი იუწყება, რომ ასეთი ღონისძიება აუცილებელი გახდა ქარიშხალ „ჰარვით“ გამოწვეული წყალდიდობის ფონზე მაროდიორობის გახშირებული შემთხვევების აღსაკვეთად.** ჰიუსტონის მერმა განაცხადა, რომ შეზღუდვა გაურკვეველი დროით არის შემოღებული.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია უსამძიმრებს ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძეს ბიცოლის

ნინო აბრამის ასულ
ჯოლოხავა-სოფრომაძის

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 7 სექტემბერს, 15:00 საათზე ვანის რაიონის სოფელ შუა გორაში.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894